ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 მარტი **შაბათი** 2010

№053(13041) ფასი 60 თეთრი

# წამოდით ფეხბურთზე!




>> გვერდი 2-3

2009 წლის 13 სექტემბერი. დინამო–ოლიმპი 4:0

ალექსანდრე კოტრიაშვილის ფოტო

**დინამო VS ოლიმპი**

**ვიტ ჯორჯია VS ზესტაფონი**




>> გვერდი 4-5

# სიონი და სპარტაკი გაამართლეს, ანუ ემოცია ყოფილა



15 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე „ბომბი“ გასკდა: ბოლნისის „სიონისა“ და ცხინვალის „სპარტაკის“ მატჩი, რომელიც 5 თებერვალს რუსთავში ჩატარდა, პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ გია ფირცხალავას, მატჩის მსაჯთა დამკვირვებელ ადიკ დურსუნიშის, დელეგატ სერგო კოტრიკაძისა და მსაჯების - მალხაზ ბეუქლიშვილის, ზაზა მენთეშაშვილის, მამუკა ურუშაძის და ზაზა ფიფიას მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, არასპორტულად მიიჩნიეს.

*„მატჩი „სამართლიანი თამაშის“ პრინციპების დარღვევით, არასპორტულ ბრძოლაში ჩატარდა. სფფ-ს სადისციპლინო დებულებისა და სპფ ლიგის სადისციპლინო დებულების თანახმად, ზემოთ ხსენებულ, ეგრეთ წოდებულ, გარიგებულ თამაშში დაფიქსირებული შედეგი (1:0 ცხინვალის „სპარტაკის“ სასარგებლოდ) გაუქმდა. ორივე გუნდს, „სიონსა“ და „სპარტაკს“, ჩაეთვალათ წაგება - 0:3 და დაჯარიმდნენ 1000-1000 ლარით“.*

ამ გადაწყვეტილებამ „სიონისა“ და „სპარტაკის“ ხელმძღვანელები ალაშფოთა, რასაც მოჰყვა სარჩელის შეტანა ფედერაციის საპელაციო კომიტეტში. კომიტეტის სხდომა გუშინ „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა. საკითხს სულ 4 წევრი განიხილავდა - თავმჯდომარე ვერა დობორჯგინიძე, მოადგილე მიხეილ საბახტარიშვილი და წევრები - ილია დათუნაშვილი და ვალერიან კობახიძე. წესით, კომიტეტი ხუთწევრიანი უნდა იყოს, მაგრამ ვახტანგ ქორიძე აჭარის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცად აირჩიეს, ხოლო შემდეგ ალმასკომში. ფედერაციის დებულება კი ერთსა და იმავე პიროვნებას ორი კომიტეტის წევრობას უკრძალავს.

მოკლედ, საპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილების სრული ტექსტი მიხეილ საბახტარიშვილმა გაგვაცნო:

*„ფეხბურთის ფედერაციის საპელაციო კომიტეტის სხდომაზე განვიხილეთ ბოლნისის „სიონისა“ და ცხინვალის „სპარტაკის“ აპელაცია ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის 15 თებერვლის გადაწყვეტილების თაობაზე. მხარეთა არგუმენტების მოსმენისა და კლუბების მიერ წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე, კომიტეტმა დაადგინა: კლუბების დასჯის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება უსაფუძვლოა და ფაქტობრივ მტკიცებულებებს არ ემყარება. ფეხბურთის ფედერაციის საპელაციო კომიტეტმა მიიღო დადგენილება: გაუქმდეს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, კლუბებს მოეხსნათ სადისციპლინო სასჯელები, აღდგეს მატჩის შედეგი (1:0 ცხინვალის „სპარტაკის“ სასარგებლოდ), კლუბები სასჯელით გათვალისწინებულ თანხებს (1000-1000 ლარი) აღარ გადაიხდიან. „სიონსა“ და „სპარტაკს“ უკან დაუბრუნდებათ აპელაციის წარდგენისთვის გადახდილი 2000-2000 ლარი“.*

შემდეგ საბახტარიშვილს ვკითხეთ იმის თაობაზე, დაეთანხმა თუ არა კომიტეტის ყველა წევრი გადაწყვეტილებას: *„გადაწყვეტილება ერთხმად მივიღეთ, რადგან გარიგების შესახებ ფაქტობრივი მტკიცებულება არ არსებობდა. თუმცა საპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში, რომელიც რეგისტრირებულია და ფორმირების სტადიაშია. საკითხის ხელმეორედ განხილვა შესაძლებელი მხოლოდ მაშინ გახდება, თუ სადისციპლინო კომიტეტი დამატებით არგუმენტებსა და მტკიცებულებებს წარმოადგენს“.*

>> გვერდი 4

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XXIV ტური. წინათქმა

# ხმაურის მოლოდინი

შუა კვირაში ჩატარებულ სანაკრებო მატჩებს ჩემპიონატში კორექტივები არ შეუტანია და XXIV ტურიც (მთლიანად) დღეს განახლდება. სრული ტურია და ხუთიდან ოთხი შეხვედრა, როგორც რეგლამენტით არის გათვალისწინებული, 15 საათზე დაიწყება; აი, ტურის ცენტრალური დაპირისპირება კი თბილისის „დინამოსა" და რუსთავის „ოლიმპს" შორის ჩვენს უპირველეს საფეხბურთო არენაზე 18 საათზე დაიწყება. საერთოდაც მართლაც განსაკუთრებული ტური გველოდება: „დინამოსა" და „ოლიმპის" შეხვედრის გარდა, სატურნირო თვალსაზრისით კიდევ სამი პრინციპული მატჩია. თანაც, ისეთი შეხვედრებია, სატურნირო ცხრილში გარკვეული კორექტივების შეტანას რომ უნდა ველოდოთ. ოღონდ, ეს ყველა გუნდს არ ეხება: ერთპიროვნული ლიდერი კვლავაც მიუწვდომელი რჩება კონკურენტებისთვის. ანუ როგორც არ უნდა დასრულდეს ტურის ცენტრალური მატჩი თუ სხვა დანარჩენი შეხვედრები, ცხრილის სათავეში კვლავაც „ოლიმპი" დარჩება. ახლა კი XXIV ტურის წინათქმას „მივყვეთ" და, რაღა თქმა უნდა, ცენტრალური შეხვედრით დავიწყებთ, ორივე გუნდის ქომაგთან ერთად, ყველა რომ დიდი ინტერესით ელოდება.

## დინამო–ოლიმპი

06.03. თბილისი. ეროვნული

**18:00**

წინა მატჩები: 4:0, 0:1

არბიტრი: ლ. კვარაცხელია
ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, მ. ელიკაშვილი
მეოთხე მსაჯი: ო. ხეცაძე

Live პირველ არხზე

გუნდს რომ ჩემპიონატში სხვებთან შედარებით ყველაზე მეტი მოგება ექნება, ყველაზე ნაკლები ფრე და ასევე ყველაზე ნაკლები წაგება, მეტოქეთა კარში ყველაზე მეტი ბურთი ექნება გატანილი და ყველაზე ნაკლები გაშვებული, ესე იგი, დამსახურებულადაც და საფუძვლიანადაც უნდა მივიჩნიოთ ამ გუნდის საჩემპიონო ამბიციები. რა მიხვედრა სჭირდება - რუსთავის „ოლიმპზე" ვსაუბრობთ, კლუბის ხანმოკლე ისტორიის განმავლობაში მეორე საჩემპიონო ტიტულს რომ უმიზნებს. თუმცა, **თემურ მახარაძის** გუნდს დღეს მეტად რთული მატჩი ელოდება - მეტოქედ ხომ თბილისის „დინამო" ჰყავს; ერთადერთი გუნდი, ამ ჩემპიონატში „ოლიმპის" დამარცხება რომ შეძლო! ჰო, ამ შემთხვევაში, ალბათ, ნაკლებად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დღესდღეობით „ოლიმპი" 11 ქულით უსწრებს „დინამოს" (თან, ერთი შეხვედრით ნაკლები აქვს ჩატარებული) - ორივე მეტოქე ერთმანეთის წინააღმდეგ განსაკუთრებული მოტივაციის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის.

საერთოდ, ოთხწრიანი მართლაც მარათონული ტურნირის მსვლელობისას სტაბილურობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება; იმაზე ალარაფერს ვამბობ, უშუალო კონკურენტებთან პაექრობებში რაც შეიძლება დადებით ბალანსს რომ უნდა მიაღწიოს გუნდმა. მაგრამ, ამასთანავე, შედარებით სუსტ გუნდებთანაც არ უნდა დაიკარგოს ძვირფასი ქულები, თორემ... „დინამოს" მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდება. თავად განსაჯეთ: დღემდე „დინამოს" 12 ქულა ისეთ გუნდებთან აქვს დაკარგული, ჩემპიონატში მოკრძალებული მიზნებით რომ ასპარეზობენ. სამაგიეროდ, **კახა კაჭარავას** გუნდმა ამ სეზონში უკვე რამდენჯერმე „მოასწრო" თავისნაირ ფავორიტთან შთამბეჭდავი მატჩის ჩატარება. თუნდაც, დღევანდელი მეტოქეების პირველი წრის დაპირისპირება გავიხსენოთ: 13 სექტემბრის იმ წვიმიან საღამოს კახა კაჭარავას შეგირდებმა ძლიერი მოწინააღმდეგე პირწმინდად დაჩაგრეს და დიდი ანგარიშით აჯობეს (4:0). არადა, იმ თამაშამდე „ოლიმპს" ასპროცენტიანი შედეგი ჰქონდა: ხუთ შეხვედრაში ხუთი გამარჯვება!..

იმ მატჩს თავის გამორჩეული ფეხბურთელიც ჰყავდა: „დინამოს" ნახევარმცველმა **ალექსანდრე კოშკაძემ** მეტოქის კარში ორი ეფექტური გოლი გაიტანა და ერთხელაც პარტნიორებს ასისტენტობა გაუწია. სხვათა შორის, „დინამოსა" და „ოლიმპის" წინა სეზონის ორი დაპირისპირებაც დასამახსოვრებელ-აღსანიშნავი იქნება კარგა ხნის განმავლობაში. ჯერ იყო და 2008 წლის 13 დეკემბერს **ვარლამ კილასონიას** „ოლიმპმა" საშინაო მატჩში აჯობა **რაინერ ცობელის** „დინამოს": საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი რუსთავში დამარცხდა. სამაგიეროდ, 2009 წლის გაზაფხულზე, კონკრეტულად კი 5 აპრილს „დინამომ" რევანში აიღო. მაგრამ აქ ბევრად მნიშვნელოვანი სხვა ორი ფაქტორი იყო: ამ მოგებით, მასპინძლებმა მეტოქის შთამბეჭდავი, 19-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტეს, ამას გარდა „დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტი ჰქონდა კახა კაჭარავას...

ისევ მწვრთნელების თემა გავაგრძელოთ და, რაღა თქმა უნდა, თემურ მახარაძეც უნდა ვახსენოთ. გამოცდილი სპეციალისტი ამ სეზონში მეოთხედ უნდა დაუპირისპირდეს „დინამოს" და უნდა ითქვას, რომ წინა სამ შემთხვევაში უპირატესობა აშკარად მახარაძის მხარეს იყო: ორი გამარჯვება და ერთი ფრე. აქვე დავაზუსტოთ: მახარაძე ორჯერ „სიონის" თავკაცის რანგში დაუპირისპირდა „დინამოს", მესამედ კი უკვე „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი გახლდათ და 22 ნოემბერს ბოლნისში ჩატარებული ის შეხვედრაც „განსაკუთრებული" იყო. შეგახსენებთ, რომ ის მატჩი „ოლიმპის" მინიმალური გამარჯვებით დასრულდა და შეხვედრის ერთადერთი გოლი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **ანდერსონ აკინომ** პირდაპირ... კუთხურიდან გაიტანა! მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, წესითა და რიგით, მეტად საინტერესო მატჩი უნდა ვიხილოთ. ახლა მთავარია, რომ გულშემატკივარმაც ინტერესი გამოიჩინოს ცენტრალური დაპირისპირების მიმართ; ოღონდ, ამ შემთხვევაში... თბილისელ ქომაგებზე გვაქვს საუბარი, თორემ რუსთავიდან გულშემატკივართა სოლიდური რაოდენობა რომ ჩამოვა საყვარელი გუნდის საქომაგოდ, ამაში ღრმად ვართ დარწმუნებული...

## ვიტ ჯორჯია–ზესტაფონი

06.03. რუსთავი. ფოლადი

**15:00**

წინა მატჩები: 1:1, 1:2

არბიტრი: გ. ვადაჭკორია
ასისტენტები: გ. კრუაშვილი, ბ. ქიჟინაძე
მეოთხე მსაჯი: თ. გვანცელაძე

ტურის კიდევ ერთი ცენტრალური შეხვედრა ასევე არანაკლებ ინტერესს იწვევს: „დიდი ოთხეულის" ამ ორი წარმომადგენლის ბოლოდროინდელი დაპირისპირებებიც ხომ მუდამ უკომპრომისოდ მიმდინარეობს. მოდი, ჯერ წინა სეზონის შეხვედრები ვახსენოთ, როცა „ვიტ ჯორჯიამ" სამივე (!) დაპირისპირება მოუგო „ზესტაფონს"; შეგახსენებთ, რომ **რამაზ მუმლაძის** გაწვრთნილმა გუნდმა საბოლოოდ სეზონი ტრიუმფით დაასრულა და ჩემპიონიც გახდა. სხვათა შორის, წინა სეზონის ის სამივე მატჩი „ვიტ ჯორჯიამ" ერთნაირი ანგარიშით (2:1) მოიგო. თანაც „ვეტერინართა" კარში გოლი ერთსა და იმავე ფეხბურთელს გაჰქონდა - „ზესტაფონისა" და, საერთოდ, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ **ნიკა გელაშვილს**. ეს უკანასკნელი ამ სეზონშიც შედეგიანად ასპარეზობს და მხოლოდ ოთხი გოლით ჩამორჩება ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულ ანდერსონ აკინოს. ვნახოთ, შეძლებს თუ არა დღევანდელ მატჩში ნიკა გელაშვილი... თავისი ყოფილი გუნდის კარში გოლის გატანას...

ამ სეზონში კი დღევანდელი მეტოქეები ერთმანეთს უკვე ოთხჯერ შეხვდნენ; ჩემპიონატში ჩატარებულ წინა ორ დაპირისპირებაში უპირატესობა „ზესტაფონის" მხარეს არის: **გია გეგუჩაძის** გუნდმა სტუმრად (გორში) ფრედ ითამაშა, ხოლო საშინაო მატჩში მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა. სხვათა შორის, მეორე წრის ეს შეხვედრა მეტად დაძაბულად და დრამატულად წარიმართა; ანგარიში **ლევან კორღალიძემ** გახსნა, რასაც **ალექსანდრე კვახაძის** საპასუხო გოლი მოჰყვა. თუმცა, მასპინძლებმა მატჩს მიწურულს მაინც შეძლეს გამარჯვება - გადამწყვეტი გოლი **ბუბა დაუშვილმა** გაიტანა, აღსანიშნავია, სტუმრებმა შეხვედრა... ცხრა კაცით ჩაამთავრეს: შეხვედრის მიწურულს მოედნიდან ჯერ ალექსანდრე კვახაძე გააძევეს, შემდეგ კი **გიორგი ვასაძე**.

არანაკლებ საინტერესოდ და დრამატულად წარიმართა დღევანდელ მეტოქეთა სათასო მეოთხედფინალური დაპირისპირებებიც. პირველი მატჩი ზესტაფონში ჩატარდა და მასპინძლებმა მართლაც დამაჯერებელი გამარჯვება (3:0) მოიპოვეს; ასეთი შედეგის შემდეგ ძალიან ბევრმა (მათ შორის - ჩვენც) „ზესტაფონს"... თასის ნახევარფინალის საგზური წინასწარ „გამოუწერეთ"; არადა, თურმე, ვცდებოდით - ზამთრის პირველ დღეს ჩატარებულ განმეორებით შეხვედრაში „ვიტ ჯორჯიამ" ერთი შეხედვით, მართლაც შეუძლებელი შეძლო და ძლიერი მეტოქე ანალოგიური ანგარიშით დაამარცხა. მერე კი, დამატებით დროში მეოთხე გოლიც გაიტანა და ნახევარფინალშიც გავიდა! სხვათა შორის, სწორედ პირველ დეკემბერს შედგა „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **გელა გომელაურის** დებიუტი და მას შემდეგ ეს ახალგაზრდა სპეციალისტი წაუგებლად უძღვება გუნდს.

## სიონი–ბაია

06.03. ბოლნისი. თ. სტეფანია

**15:00**

წინა მატჩები: 1:0, 0:2

არბიტრი: გ. დოგრაშვილი
ასისტენტები: კ. გაბრიაძე, ზ. ჯვარიძე
მეოთხე მსაჯი: ვ. გუმბერიძე

ბოლნისურ მატჩში ერთმანეთს სატურნირო ცხრილის მეზობლები ხვდებიან. მართალია, ორივე გუნდს არცთუ სახარბიელო სატურნირო მდგომარეობა აქვს, მაგრამ ამ ბოლო დროს თამაშის ხარისხი საგრძნობლად გააუმჯობესეს. ზუგდიდურმა კლუბმა ბოლო ორ შეხვედრაში ზედიზედ ორი მოგებით ცოტა „ამოისუნთქა", თორემ ახლა ცხრილის ბოლო საფეხურზე იქნებოდა. ასეთი ალმასვლა კი, ერთი შეხედვით, მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო: ახალ მწვრთნელთან (**ელგუჯა ქომეთიანი**) ერთად „ბაიაში" ერთდროულად რამდენიმე გამოცდილი ახალწვეული მივიდა. რაც შეეხება „სიონს", **ხვიჩა ქასრაშვილის** გუნდს... კალენდარში „არ გაუმართლა" - მეორე ეტაპის სტარტზე მხოლოდ ჩემპიონატის ფავორიტებთან ჰქონდა მატჩები. თუმცა ვერავინ იტყვის, რომ „სიონმა" წინა სამი შეხვედრა „ჩააგდო" - „ვიტ ჯორჯიასთან" და „ოლიმპთან" საპატიო ფრეს მიაღწია, ხოლო „ზესტაფონთან" მხოლოდ მატჩის მიწურულს გაუშვა ერთადერთი გოლი. თუმცა, გუნდს უკვე... 17 ოქტომბრის შემდეგ არ გაუმარჯვია და მოგების „გემოდაკარგული" მასპინძლებიც, ალბათ, დღეს შეეცდებიან უსიამოვნო სერიის შეწყვეტას.

## გაგრა–ლოკომოტივი

06.03. თბილისი. ამერი

**15:00**

წინა მატჩები: 2:0, 0:1

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი
ასისტენტები: ი. ფკლუბა, ა. კოკაია
მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

კიდევ ერთი პრინციპული დაპირისპირება, სადაც ერთმანეთს ცხრილის ქვედა საფეხურზე მყოფი გუნდები ხვდებიან. „გაგრამ" მეორე ეტაპი მეტად წარუმატებლად დაიწყო - ოთხ მატჩში ოთხჯერვე დამარცხდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ერთი კონკრეტული ფეხბურთელის არყოფნას არ უნდა დავაბრალოთ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ „გაგრასთვის" **გიორგი გაბედავა** მართლაც ძალიან ბევრს ნიშნავდა. ამას გარდა, პირველ ეტაპთან შედარებით, „გაგრაში" არაერთი ცვლილება მოხდა და გუნდის მთავარი მწვრთნელი **კახა კარანაძე** თითქმის ყველა შეხვედრაში აწყდება იმ სერიოზულ პრობლემას, რასაც ფეხბურთელების ერთმანეთთან შეუთამაშებლობა ჰქვია.

აი, „ლოკომოტივმა" კი, პირიქით - მეორე ეტაპი წარმატებით დაიწყო და **გელა სანაიას** გუნდი ტურიდან ტურამდე პროგრესირებს. ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა მწვრთნელის ახალგაზრდული გუნდი წაუგებლად ასპარეზობას „მიეჩვია" და წინა ტურში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ „ლოკომოტივმა" ცხრილის უკანასკნელი საფეხური დატოვა! თან, პირველად ჩემპიონატის დასაწყისიდან...

აღსანიშნავია, რომ „ლოკომოტივს" ჩემპიონატში მხოლოდ ორი გამარჯვება აქვს და აქედან ერთი სწორედ „გაგრასთან" მოიპოვა; მეორე წრის შეხვედრაში ყველაფერი მასპინძელთა ჭაბუკი ნახევარმცველის **ერეკლე კაჭახიძის** მართლაც ჩინებულად შესრულებულმა საჯარიმო დარტყმამ გადაწყვიტა...

## სპარტაკი–სამტრედია

06.03. გორი. ქართლი

**15:00**

წინა მატჩები: 2:0, 1:2

არბიტრი: მ. ურუშაძე
ასისტენტები: შ. ქუხილავა, ზ. ერქვანია
მეოთხე მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრას უექსცესოდ არ ჩაუვლია - სტუმართა ქომაგები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ხმამაღლა გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ტენდენციური (მათი აზრით) მსაჯობის გამო. ის შეხვედრა „სპარტაკის" გამარჯვებით დასრულდა; სამაგიეროდ, „სამტრედიამ" მეორე წრეში შეძლო რევანშის აღება და სწორედ მაშინ მოხდა, რომ უმაღლეს ლიგაში რვაწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული გუნდი მეხუთე ადგილამდე ალზევდა! თუმცა, ამის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და „დიდი ოთხეულის" მომდევნო ადგილს კვლავაც **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი დაეპატრონა და ალბათ, სეზონის ბოლომდეც ასე იქნება.

თუმცა მასპინძელთათვის სეზონის მთავარი მატჩები ორ კვირაში დაიწყება - საქართველოს თასის ნახევარფინალს ვგულისხმობთ. ამას გარდა, არ არის გამორიცხული, რომ „სპარტაკის" შემადგენლობაში მეტად და მეტად ცნობილი ორი ახალწვეული გამოჩნდეს. აი, ისეთი „კალიბრის", მაშინვე რომ გვათქმევინებს: XXI ჩემპიონატის ყველაზე „ხმაურიანი" ტრანსფერები განხორციელდაო...

**გია ტუხაშვილი**



2009 წლის 13 სექტემბერი. დინამო-ოლიმპი 4:0

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია




| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ოლიმპი | 21 | 16 | 4 | 1 | 47-13 | 52 | 8 | 3 | 0 | 24-3 | 27 | 8 | 1 | 1 | 23-10 | 25 |
| 2. ზესტაფონი | 23 | 14 | 6 | 3 | 40-20 | 48 | 8 | 3 | 1 | 27-11 | 27 | 6 | 3 | 2 | 13-9 | 21 |
| 3. დინამო | 22 | 12 | 5 | 5 | 37-14 | 41 | 9 | 1 | 2 | 24-5 | 28 | 3 | 4 | 3 | 13-9 | 13 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 22 | 11 | 8 | 3 | 32-21 | 41 | 6 | 5 | 1 | 20-10 | 23 | 5 | 3 | 2 | 12-11 | 18 |
| 5. სპარტაკი | 23 | 8 | 6 | 9 | 30-36 | 30 | 4 | 4 | 2 | 16-11 | 16 | 4 | 2 | 7 | 14-25 | 14 |
| 6. სამტრედია | 23 | 6 | 5 | 12 | 30-46 | 23 | 5 | 2 | 4 | 17-18 | 17 | 1 | 3 | 8 | 13-28 | 6 |
| 7. ბაია | 22 | 5 | 4 | 13 | 18-30 | 19 | 4 | 3 | 5 | 15-19 | 15 | 1 | 1 | 8 | 3-11 | 4 |
| 8. სიონი | 22 | 3 | 10 | 9 | 12-27 | 19 | 2 | 4 | 5 | 6-13 | 10 | 1 | 6 | 4 | 6-13 | 9 |
| 9. ლოკომოტივი | 22 | 2 | 9 | 11 | 11-29 | 15 | 2 | 3 | 5 | 6-14 | 9 | 0 | 6 | 6 | 5-15 | 6 |
| 10. გაგრა | 22 | 3 | 5 | 14 | 21-42 | 14 | 3 | 3 | 4 | 10-8 | 12 | 0 | 2 | 10 | 11-34 | 2 |








„დინამოსთან" ნებისმიერი ფავორიტი გუნდის თამაში საინტერესოა და მით უმეტეს ცხრილის ლიდერთან. დიახ, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი დღეს „ეროვნულზე" ოქროს მედლების მთავარ პრეტენდენტს, რუსთავის „ოლიმპს" უმასპინძლებს. თემურ მახარაძის გუნდს ჩემპიონობამდე არაერთი ბარიერის გადალახვა მოუწევს და ერთ-ერთი სწორედ „დინამოა".

ვნახოთ, რა მოხდება დღეს. მანამდე კი საინტერესოა, რა განწყობაა მოწინააღმდეგე ბანაკებში...

## მათე ვაწაძე: გოლების მარაგი უნდა გავზარდოთ

- ჩვენს გუნდში ჩინებული, საბრძოლო განწყობაა. მართალია ცხრილის ლიდერ „ოლიმპთან" დიდი ჩამორჩენა გვაქვს, მაგრამ ჩვენ შორის მატჩები ყოველთვის დაძაბული, საინტერესოა და დარწმუნებული ვარ, ეს თამაში არ იქნება გამონაკლისი. მით უმეტეს, ნაკრებ გუნდებში თამაშმა თავდაჯერებულობა შეგვმატა.

**- თქვენ შორის პირველი მატჩი „დინამომ" დიდი ანგარიშით მოიგო, მეორესი კი მინიმალური სხვაობით დამარცხდა. ამჯერად რას უნდა ველოდოთ?**

- ურთიერთშეხვედრებში მეტოქეზე მეტი გოლი გვაქვს გატანილი და ეს ტრადიცია უნდა გავაგრძელოთ, შაბათსაც მეტოქეზე მეტი უნდა გავიტანოთ.

**- მით უმეტეს დანაკლისი არ გაქვთ...**

- კი, ეგრეა, დანაკლისი არ გვაქვს... ცოტა არ იყოს, მუხლის ტკივილმა შემაწუხა, მაგრამ მჯერა, თამაშს შევძლებ.

**- ფორვარდი გოლზეა აქცენტირებული. „ოლიმპთანაც" შეეცდებით გოლთა აქტივი გაზარდოთ, მაგრამ რუსთაველთა მეკარე გია ჭანტურიას კარი ბევრი თავდამსხმელისთვის აულებელი დარჩა...**

- ჭანტურია კარგი მეკარეა, მაგრამ მე ჩემსას შევეცდები. წელს, პირველივე მატჩში დუბლი მივითვალე, მის მერე აღარ გამიტანია. ამ სეზონში ბევრი ბურთი არ მაქვს გატანილი და გოლების აქტივის გაზრდაზე უნდა ვიზრუნო.

**- მეტოქეზე რას გვეტყვით?**

- „ოლიმპი" ცხრილის ლიდერია, კარგი ფეხბურთელები ჰყავს და ამიტომაცაა პირველ ადგილზე. იმედია, ამინდიც ხელს შეგვიწყობს, გულშემატკივარიც იქნება ტრიბუნაზე და წესით, კარგი სანახაობა უნდა გამოვიდეს.

**- შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

- თანაბრად.

**- როგორ ფიქრობთ, ამ შეხვედრაში რა ფაქტორი იქნება გადამწყვეტი?**

- ვფიქრობ, პირველი გოლი ბევრს განაპირობებს. ამასთან, გუნდის მყარი ფსიქოლოგიაც გადამწყვეტი მნიშვნელობისა იქნება. თუ სწრაფი გოლი გავიტანეთ, ამას რა აჯობებს. ამ მატჩში ორივე გუნდს ძალიან გვინდა მოგება და ვნახოთ, ვის დარჩება ქულები.

## სანდრო იაშვილი: დინამოს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ...

- ასეთი მნიშვნელოვანი დერბის წინ ფსიქოლოგიურ ფონს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ ჩვენს გუნდში კარგადაა საქმე. ცხრილს ვლიდერობთ და საბრძოლო განწყობა გვაქვს.

**- ურთიერთშეხვედრებში „დინამოს" თქვენზე უკეთესი ბალანსი აქვს, მაგრამ ამჟამად 11 ქულით უსწრებთ. ეს ფაქტორი ზოგჯერ გუნდებს ადუნებს კიდეც...**

- არა, მოდუნება გამორიცხულია. მით უმეტეს, ბოლოს ჩატარებულ ტურში „სიონთან" შინ ქულები დავკარგეთ. ასე რომ, ხვალ მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ.

**- მიმდინარე სეზონში თითო მატჩი ორივე გუნდმა მოიგო. ხვალ რას უნდა ველოდოთ?**

- უშელავათო ბრძოლას, დაძაბულ და საინტერესო მატჩს. იმედი მაქვს, მაყურებელიც მოვა და ნამდვილად არ ინანებს.

**- მეტოქეს როგორ დაახასიათებდით?**

- „დინამო" კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, მოძრავი და მებრძოლი ბიჭები არიან, გამოცდილებაც არ აკლიათ. რთული მატჩი გველის, მაგრამ მხოლოდ წარმატებაზე ვფიქრობთ.

**- მოწინააღმდეგის პლუს-მინუსებად რას მიიჩნევთ?**

- ჩვენი მეტოქე „დინამოა", ჩვენი ფეხბურთის მთავარი ბრენდი და ვფიქრობ, სწორედ ესაა უპირველესი პლუსი. მინუსი? ეს ჩემი საქმე არაა, მაგრამ რადგან მკითხეთ, ასე გიპასუხებთ. „დინამოს" მინუსი ალბათ ისაა, რომ მე-3 ადგილზეა და არა უფრო ზემოთ.

**- ამ მატჩის შედეგისთვის რა იქნება გადამწყვეტი მომენტი?**

- პირველი გოლი და მყარი ნერვები. ვფიქრობ, ჩაკეტილი, ფრთხილი თამაში იქნება და სტანდარტულები გადამწყვეტი იქნება. ჩემი აზრით, გოლს ან გოლებს სწორედ სტანდარტულებიდან უნდა ელოდოს მაყურებელი.

**- შანსებს თქვენც თანაბრად აფასებთ?**

- დერბიში ყოველთვის 50/50-ზეა.

**- ყოფილი გუნდისა და თანაგუნდელების წინააღმდეგ მოგიწევთ თამაში. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- ისეთი ადამიანი ნამდვილად არ ვარ, რომ რადგან „დინამოში" ვთამაშობდი, ამ გუნდის წინააღმდეგ თავი ამიტომ უნდა გამოვიდო. „დინამო" იქნება ჩვენს წინააღმდეგ „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია" თუ სხვა გუნდი, ყველასთან ერთნაირად კონცენტრირებული გამოვდივარ მოედანზე. „დინამოს" ახლაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ უპირველესი იმ გუნდის ინტერესებია, რომელშიც ამჟამად ვთამაშობ.

**დავით ცაბაძე**

„ვიტ ჯორჯიასა" და „ზესტაფონის" დაპირისპირებები არასოდეს ყოფილა მოსაწყენი და დღესაც შინაარსიან თამაშს უნდა ველოდოთ. ორივე გუნდი საბრძოლოდაა განწყობილი, რაშიც შესაბამისად, „ვიტ ჯორჯიასა" და „ზესტაფონის" მცველებთან, ლაშა ჯაფარიძესა და გიორგი ხიდეშელთან ინტერვიუებითაც დარწმუნდებით.

## ლაშა ჯაფარიძე: შესაძლოა, ყველაფერი ერთმა გოლმა გადაწყვიტოს

- ჩვენს გუნდში საბრძოლო განწყობაა. „ვიტ ჯორჯიას" პრინციპულ მეტოქეებთან წინასამატჩო მოტივაციის პრობლემა არასოდეს ჰქონია. მზად ვართ, მოედანზე ჩვენი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინოთ და გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ. გვაქვს იმის რეალური შანსი, რომ მალე მეორე ადგილზე გადავიდეთ და ამისთვის „ზესტაფონის" დამარცხებაა აუცილებელი.

**- დანაკლისი ხომ არ გაქვთ?**

- სავარაუდოდ, მხოლოდ გიორგი ჯანელიძე ვერ დაგვეხმარება, რომელსაც ტრავმა აწუხებს. სამაგიეროდ, დაგვიბრუნდა ირაკლი კლიმიაშვილი, რაც დიდი ძალაა. ირაკლი რომ შესანიშნავ ფორმაშია, ეს საქართველო-ესტონეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩშიც გამოჩნდა. იგი 18-კაციან განაცხადში აუცილებლად მოხვდება და სავარაუდოდ, მოედანზეც გავა.

**- ამ სეზონში „ზესტაფონს" ერთი მძიმე მარცხი მიაყენეთ.**

- არავინ ელოდა, რომ თასის მეოთხედფინალში სამბურთიან ჩამორჩენას აღმოვფხვრიდით, მაგ-



რამ განმეორებით მატჩში 4:0 გამარჯვება შევძელით. თუმცა არც ისეა საქმე, რომ „ზესტაფონთან" მხოლოდ კარგი მოგონებები გვაკავშირებდეს. მიმდინარე ჩემპიონატში ხომ მისთვის ჯერ ერთხელაც არ მოგვიგია – ერთხელ დავმარცხდით და ერთხელაც ფრეს დავჯერდით. სამაგიეროდ, წინა ჩემპიონატში „ზესტაფონს" სამივე შეხვედრაში ერთნაირი ანგარიშით, 2:1 ვძლიეთ.

**- „ვიტ ჯორჯიამ" ჩემპიონატის გადადებულ მატჩში დაუგეგმავი ქულები დაკარგა.**

- „სამტრედიას" ვერ მოვუგეთ, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი უყურადღებობის ბრალი იყო. დავნინაურდით და ამის გამო ყურადღება მოვადუნეთ. გვეგონა, რომ გამარჯვებას ძალების დაზოგვითაც შევძლებდით, მაგრამ ასე არ მოხდა. ყველანი უკვე „ზესტაფონთან" შეხვედრაზე ვფიქრობდით, რისთვისაც მკაცრად დავისაჯეთ. ასეთი შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ.

**- „ზესტაფონთან" როგორ თამაშს ელით?**

- ორივე გუნდს ტაქტიკურად განსწავლული მწვრთნელი ჰყავს და ამიტომაც ვფიქრობ, „ვიტ ჯორჯიაც" და „ზესტაფონიც" აქცენტს მეტოქის შეცდომების გამოყენებაზე გააკეთებენ. ალბათ, ჩაკეტილი თამაში იქნება და ყველაფერი შესაძლოა, ერთმა გოლმა გადაწყვიტოს.

## გიორგი ხიდეშელი: ძველ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ

- პირველ რიგში, ქართველ გულშემატკივრებს ესტონეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მოპოვებულ გამარჯვებას ვულოცავ. ეს მატჩი დამსახურებულად მოვიგეთ, რაც ქომაგთა დიდი დამსახურებაა. მოხარული ვარ, რომ ამ გამარჯვებაში მეც შევიტანე წვლილი. ამ გამარჯვებით ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი გაგვიჩნდა და თუ გაუთვალისწინებელ ქულებს აღარ დავკარგავთ, მიზანსაც მივაღწევთ.

**- სანაკრებო შეხვედრის შემდეგ გადაღლილი ხომ არ ხართ?**

- ბუნებრივია, ნაკრებში ჩატარებულმა შეხვედრამ დიდი ძალა წაილო, მაგრამ კლუბში ნაკლებად



დამტვირთეს და ახლა უკვე სრულ მზადყოფნაში ვარ. დაძაბულ კალენდარს შეჩვეული ვარ და ამიტომაც ახლა მთლიანად „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩზე ვარ კონცენტრირებული.

**- ალბათ, „ზესტაფონის" ყველა წევრს თასზე განცდილი დასანანი მარცხისთვის რევანში სურს.**

- ბუნებრივია, ძალიან გვინდა დავამტკიცოთ, რომ „ვიტ ჯორჯიას" არაფრით ჩამოვუვარდებით. მეტოქე კი მართლაც სოლიდური გვყავს და მას დიდი პატივისცემით ვეკიდებით. „ვიტ ჯორჯია" საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, რომელსაც თავისი სტილი და ხელწერა აქვს.

**- „ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვება დაგაკმაყოფილებთ?**

- ჩვენ ყველა მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძვით და ახლაც ასე იქნება. ბუნებრივია, „ვიტ ჯორჯიას" დამარცხება, მით უმეტეს სტუმრად, ძალიან ძნელია, მაგრამ უკან დასახევი გზა არ გვაქვს, სამი ქულა ჰაერივით გვესაჭიროება და რაც მთავარია, გამარჯვების ძალა შეგვწევს.

**- „დინამოსთან" განცდილი მარცხი რამ განაპირობა?**

- დაშვებული შეცდომების გამო დავისაჯეთ. „დინამოსთან" პირველი ტაიმი მაღალ დონეზე ჩავატარეთ, მატჩის მეორე ნახევარში კი მწვრთნელის დავალებები ველარ შევასრულეთ და უპირატესობა მეტოქეს დავუთმეთ. ძალიან მწარე მარცხი იყო, რისგანაც სათანადო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. შეცდომები დეტალურად გავაანალიზეთ და ვფიქრობ, „ვიტ ჯორჯიასთან" გაცილებით მაღალ დონეზე ვითამაშებთ. ძველ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ და მთელი ენერგიით შევეცდებით სამი ქულის მოპოვებას. „ზესტაფონი" თავის სტილში, კომბინაციურად ითამაშებს და შეეცდება, „ვიტ ჯორჯიას" ამ კომპონენტში აჯობოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ინფრასტრუქტურა

# ვაკის სტადიონს მერია და ფედერაცია მიხედავენ

## ფეხბურთის ფედერაცია ლოკომოტივზე გადავიდა

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტის სხდომა „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა. როგორც ცნობილია, კომიტეტი ფედერაციასთან ფუნქციონირებს და სხდომებიც ყოველთვის ფედერაციის შენობაში იმართება. მიზეზით დავინტერესდით და აღმოჩნდა, რომ ფედერაცია ლამის სრული შემადგენლობით „ლოკომოტივის" სტადიონზე გადაბარგდა. ოფისში მხოლოდ ლიცენზირების კომიტეტისა და ბუღალტერიის თანამშრომლები დარჩნენ.

ფედერაციის შენობის რეკონსტრუქცია კი სერიოზული ტემპით დაიწყო. პიარ-მენეჯერ **თათია ბურდულის** თქმით, ასე იქნება რეკონსტრუქციის დასრულებამდე: *„ფედერაციის შენობის რეკონსტრუქცია 1 მაისამდე გაგრძელდება და მანამდე „ლოკომოტივის" სტადიონზე ვიმუშავებთ. ფედერაციაში კი ყველა სართული გარემონტდება და თანამედროვე ოფისები მოეწყობა. აშენების შემდეგ, შენობა საკმაოდ შეილახა და რეკონსტრუქცია აუცილებელი იყო".*

რაც შეეხება „ლოკომოტივის" სტადიონის მომავალს, ამაზე ბევრჯერ დაგვიწერია და აღარ გავიმეორებთ. ქვეყნის მეორე სტადიონი შველას ითხოვს. იქ მხოლოდ ესტონელ ახალგაზრდებს არ მოუწევთ თამაში, შემოდგომაზე ხომ თბილისში 17-წლამდელთა შესარჩევი ციკლის შეხვედრები უნდა გაიმართოს და თუ „ლოკომოტივმა" პირობები ვერ დააკმაყოფილა, ხსენებული ტურნირის მასპინძლობისა და სხვა მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრების მასპინძლობის უფლება მხოლოდ ეროვნულ სტადიონს ექნება.



ფეხბურთის ფედერაციასა და მერიას პრობლემა აფიქრებთ და საკითხის ერთობლივად გადაწყვეტას აპირებენ. ეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** გაგვიმხილა. თბილისის მერიასთან მოლაპარაკება მიმდინარეობს და სტადიონი მალე საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებს. სიჭინავა იზიარებს საერთო მოსაზრებას, რომ ასეთ მოედანზე თამაში სამარცხვინოა და რომ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონს დროულად უნდა მიეხედოს.

თათია ბურდულს ეროვნულ სტადიონზეც ვკითხეთ: *„ვინაიდან „ლოკომოტივი" ჩვენი ფეხბურთისთვის, კლუბებისა და ნაკრებებისთვის მნიშვნელოვანი სტადიონია, უმთავრესად სწორედ იქ ატარებენ შეხვედრებს ასაკობრივი ნაკრებები, ბუნებრივია, არენაზე მდგომარეობის გამოსწორებით დაინტერესებულნი ვართ. ფედერაციისთვის მნიშვნელოვანია, სტადიონი იყოს მოწესრიგებული და საამისოდ, მერიასთან თანამშრომლობას ვაპირებთ".*

როგორც ცნობილია, საქართველო-ესტონეთის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრის შემდეგ „ტრადიცია" არ დაირღვა და „ადამიანებმა", რომელთათვისაც სხვისი ქონება არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს, საკმაოდ ბევრი სკამი დაამტვრიეს.

*„ეროვნულ სტადიონზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია ასეთია: მაყურებლის ვანდალიზმს გამართლება არ აქვს და ბუნებრივია, ფედერაცია ამგვარ საქციელს გმობს. თუმცა მეორე საკითხია, რომ სტადიონზე არ უნდა იყოს უხარისხო სკამები. უეფასა და ფიფას მოთხოვნებში გარკვევით წერია, რომ იმ სტადიონებზე, სადაც საერთაშორისო რანგის შეხვედრები ტარდება, ინდივიდუალური სავარძლები არ უნდა იმსხვრეოდეს, არ უნდა იწვოდეს, ფერს არ უნდა კარგავდეს. სკამი, რომელიც იმსხვრევა, უსაფრთხოების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და ამ თვალსაზრისით, მიუღებელია. ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ ეროვნულ სტადიონზე ხარისხიანი სკამები უნდა იყოს. სხვათა შორის, ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე სწორედ ის სკამები დამონტაჟდება, რომელსაც უეფა და ფიფა ითხოვს",* - ამბობს ბურდული.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ სიჭინავამ განაცხადა, რომ 3 მარტის ამხანაგური მატჩისთვის ეროვნული გუნდი მცხეთის ტექნიკურ ცენტრ „ბასას" განახლებულ საფარზე ივარჯიშებდა. ასე ვერ მოხდა და ბურდულს ამის მიზეზიც ვკითხეთ:,

*„რეალურად აღმოჩნდა, რომ ბალახის საფარის დაგება იანვარ-თებერვალში შეუძლებელი იყო. მოედნის სპეციალისტებმა გვითხრეს, რომ რეანიმაცია შეიძლებოდა, მაგრამ დიდი ეფექტი არ ექნებოდა. შეიტანეს კიდეც სასუქი, ჩაატარეს სავეგეტაციო და სხვა სახის სამუშაოები, მაგრამ მოედანს ვერ ეშველა და აზრიც არ ჰქონდა, რადგან მერე ისევ თავიდან დასაგები გახდებოდა. მოკლედ, ახალი საფარისთვის შესაფერისი დრო არ იყო და ამიტომ, ეს სამუშაოები გაზაფხულისთვის გადაიდო. სხვაგვარად, თანხები წყალში ჩაიყრებოდა, ჩვენ კი ამხელა ფუფუნების უფლება არ გვაქვს. ახალი მოედანი შესარჩევი ციკლის დაწყებამდე აუცილებლად დაიგება. რაც შეეხება „ბასას" რეკონსტრუქციას, ესტონეთთან მატჩის შემდეგ ბაზა დაიხურა და საკმაოდ დიდი მასშტაბის სამუშაოები დაიწყო: კვების ბლოკი, საპრესკონფერენციო დარბაზი და სამრეცხაოები ძველი შენობიდან გავა და მათთვის ახალი შენობა აშენდება. მათ ხარჯზე მთავარ შენობაში საცხოვრებელი ადგილები გაიზრდება. კვების ობიექტები ცალკე უნდა იყოს, რადგან მთელ შენობაში სამზარეულოს სუნი ტრიალებდა. ცალკე მოეწყობა ოფისები მწვრთნელებისთვის, ბაზის ადმინისტრაციის ოთახები და ასე შემდეგ",* - გვითხრა ბურდულმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ძველი ნაცნობი



ივო შუშაკი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# გაორებული შუშაკი: გრძნობა და გონება

**..."ჩვენი ხორვატი მეგობარი", „მუდამ სასურველი სტუმარი", - უახლოესი წარსულის ქართულ სპორტულ პრესაში მსგავსი სათაურები, ალბათ, არაერთხელ შეგხვედრიათ. რაღა თქმა უნდა, ივო შუშაკზეა საუბარი - თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელზე, დღემდე რომ უდიდეს პატივს სცემს და ეთაყვანება ქართულ ფეხბურთს და საერთოდ, ჩვენს ქვეყანას. ადრეც არაერთხელ აგვიღნიშნავს, რომ საქართველოში სხვადასხვა დროს მომუშავე უცხოელ მწვრთნელებს შორის ყველაზე წარმატებული სწორედ ივო შუშაკი გახლდათ: ხორვატი სპეციალისტის ხელმძღვანელობით თბილისის „დინამომ" საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა, თასიც აიღო და მოსკოვში, დსთ-ს თასის გათამაშებაშიც გაიმარჯვა. აღარაფერს ვამბობთ იმ მართლაც დაუვიწყარ საღამოზე, როდესაც ივო შუშაკის გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა 2003 წლის 30 აპრილს რუსეთის ნაკრები დაამარცხა...**

**...თბილისის „დინამოდან" ივო შუშაკი 2004 წლის გაზაფხულზე წავიდა. თუმცა, ამ ექვსი წლის განმავლობაში არაერთხელ გვესტუმრა: ხან - საქმიანი ვიზიტით, ხან - მეგობრების მოსანახულებლად. ჩვენი ხორვატი მეგობარი ახლაც თბილისში გახლდათ და საქართველოსა და ესტონეთის ნაკრებების მატჩის დროს არც უცდია საკუთარი სიმპათიის დამალვა: სამთავრობო ლოჟიდან მხურვალედ ქომაგობდა ჩვენს გუნდს. არადა, ქართული საფეხბურთო სამყაროსათვის მართლაც მუდამ სასურველი სტუმარი ივო შუშაკი ამჯერად საქმიანი და ოფიციალური სტატუსით გვესტუმრა - როგორც, ხორვატიის საფეხბურთო ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრი. შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ხორვატია და საქართველო ერთად მოხვდნენ; ჰოდა, ხორვატებმა უკვე ახლავე დაიწყეს მომავალი მეტოქეების „დაზვერვა" და ამ საქმეში შუშაკზე უკეთესს ვის შეარჩევდნენ...**

**...ინტერვიუზე საქართველო-ესტონეთის მატჩის მეორე დღისთვის შევთანხმდით; და აი, ზუსტად დათქმულ დროს გამოჩნდა, ჩვეული ღიმილით შეგვეგება და ერთი კითხვის გარდა, სხვა დანარჩენ შემთხვევაში ჩვენი ცნობისმოყვარეობა მაქსიმალურად დააკმაყოფილა. და კიდევ: ინტერვიუს ბოლოს კი არა, თავშივე გვინდა მადლობა გადავუხადოთ ჩვენს კოლეგას ლევან სალუქვაძეს, რომლის დახმარებითაც მოხერხდა ჩვენი და ივო შუშაკის შეხვედრის ორგანიზება.**

**- თქვენი ამჟამინდელი ზუსტი სტატუსი გვაინტერესებს.**

- ხორვატიის ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში ვარ. უფრო ზუსტად, ხუთკაციან სადამკვირვებლო ჯგუფს ვხელმძღვანელობ და ჩემი გადასაწყვეტია, ხორვატიის ნაკრების მომავალი მეტოქეების შეხვედრებს ვინ „დაზვერავს".

**- ანუ, საქართველოში ჩამოსვლა არავის „დაანებეთ"?**

- ახალი რა უნდა ვთქვა: თქვენი ქვეყანაც ძალიან მიყვარს და ქართულ ფეხბურთსაც დიდ პატივს ვცემ; როგორც კი კენჭისყრის შედეგები გახდა ცნობილი, თქვენს ხორვატ კოლეგებთან ყველა ინტერვიუში აღვნიშნავდი, რომ საქართველოს ნაკრების სახით მეტად სერიოზული მეტოქე შეგვხვდა. მუდამ იმას ვიმეორებდი, რომ არც საქართველოს ნაკრების დაბალმა რეიტინგმა უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში და არც იმ ფაქტმა, რომ გუნდს 15-მატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა. ხაზგასმით ვცდილობდი ქართველი ფეხბურთელების ნიჭის აღნიშვნას, იმასაც, რომ ძალიან ბევრი მოთამაშე წამყვან უცხოურ კლუბებში ასპარეზობს. თქვენთანაც იმავეს თქმა მსურს და მერწმუნეთ, ყოველგვარი სიყალბის გარეშე ვამბობ - დარწმუნებული ვარ, რომ ხორვატებისთვის საქართველოს ნაკრები ერთ-ერთი ყველაზე რთული მეტოქე იქნება.

**- საქართველო-ესტონეთის მატჩს დაესწარით და თქვენი შთაბეჭდილებაც გაგვიზიარეთ.**

- უპირველეს ყოვლისა, ქართველ ქომაგთან ერთად მეც გავიხარე - ბოლოს და ბოლოს, ის დანავსული სერია ხომ უნდა შეწყვეტილიყო? პერსონალურად გამიხარდა თემურ ქეცბაიას წარმატება: პირადად ვიცნობ და უდიდეს პატივს ვცემ როგორც მწვრთნელსაც და როგორც პიროვნებასაც. ფეხბურთელიც ჩინებული იყო და მიხარია, რომ სამწვრთნელო ასპარეზზეც ასეთივე წარმატებებს აღწევს. როგორ გგონიათ, განა ბევრს შეუძლია პატარა ქვეყნის უცნობი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანოს?

**- ქეცბაიას შეფასებაში ჩვენც გეთანხმებით; თუმცა, კონკრეტულად ამ მატჩზე გვინდა რომ ისაუბროთ.**

- ძალიან მომეწონა სტადიონზე შექმნილი ატმოსფერო; მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ მეტოქეს არ ეთამაშებოდით, მაინც ბევრი ხალხი მოვიდა საქომაგოდ. წარმომიდგენია, ხორვატიის ნაკრები რომ ჩამოვა თბილისში - დარწმუნებული ვარ, სტადიონი გაივსება.

» მე-5 გვერდზე

# სიონი და სპარტაკი გაამართლეს, ანუ ემოცია ყოფილა

## პროფლიგის პრეზიდენტს ბრალდება ცხელ გულზე წავუყენეთო...

« პირველი გვერდიდან

ცხინვალის „სპარტაკის" გენერალური მენეჯერი **ჯემალ ჭიპაშვილი** მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება ლოგიკურია:

- რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ლოგიკური და სამართლიანი გადაწყვეტილებაა. ჩვენ ვიცოდით, რომ უსაფუძვლოდ დავისაჯეთ და ამის დამადასტურებელი არგუმენტებიც წარმოვადგინეთ. სწორედ ეს არგუმენტები გაიზიარეს სააპელაციო კომიტეტის წევრებმა. ასე რომ, სამართალმა პური ჭამაო, როგორც იტყვიან...

**- რა არგუმენტები წარმოადგინეთ?**

- ჩვენი დასჯა გადაწყვიტეს იმის საფუძველზე, თითქოს მატჩის მონაწილეები უემოციოდ თამაშობდნენ - ირაკლი ჩირიკაშვილმა გოლის სიხარული არ გამოხატაო. არადა, ეს მატჩის იმ ჩანაწერის საფუძველზე დაასკვნეს, რომელზეც მოვლენები სრულად არ იყო ასახული.

**- რას გულისხმობთ?**

- ჩანაწერი წარმოადგინა ბოლნისის „სიონმა", რომლის ოპერატორი მატჩის მხოლოდ ძირითად მომენტებს იღებდა, ხოლო გოლის გატანის შემდგომ რეაქციებს, ან ბურთის ხაზს იქით გადასვლისას კამერას რთავდა. ამიტომაც არ გამოჩნდა, „სპარტაკის" ფეხბურთელები გოლს ერთი წუთის განმავლობაში რომ ზეიმობდნენ, ანუ ემოცია იყო, მაგრამ ბოლნისელთა ჩანაწერზე არ ჩანდა. „სპარტაკმა" სრული ჩანაწერი წარადგინა, სადაც ემოციებიც გამოჩნდა. მოკლედ, სადისციპლინო კომიტეტმა ნაჩქარევი გადაწყვეტილება გამოიტანა.

**- მაშინ რისთვის სჭირდებოდათ დისციპლინარებსა და პროფლიგის პრეზიდენტ გია ფირცხალავას აუტკივარი თავის ატკივება?**

- ეს მათ უნდა ჰკითხოთ. ალბათ, გადაწყვეტილებას პოპულიზმის ელემენტებიც ახლდა. თუმცა გვწამს, რომ უნებლიე შეცდომა დაუშვეს და ეს არ იყო წინასწარი განზრახვით. ალბათ, აჩქარდნენ და ემოციებს აყვნენ.

**- ემოციებს აყვნენ? აკი განაცხადეთ, „სიონისა" და „სპარტაკის" წარმომადგენლებმა, პროფლიგის პრეზიდენტმა გადაწყვეტილება კომერციული ინტერესების გათვალისწინებით მიიღოო. ეს ხომ სერიოზული ბრალდებაა, რომელსაც ასევე დასაბუთება სჭირდება?!**

- ეტყობა, ჩვენც ემოციებს ავყევით და ავჩქარდით.

**- თქვენ კონკრეტული ბრალდებები წაუყენეთ, ეს ემოცია არ იყო...**

- როცა საქმეში უკეთ ჩავიხედეთ, მივხვდით, რომ ეს არასწორი ვარაუდი იყო. ორივე მხარე ემოციებს ავყევით, რადგან საქმე ძალიან მტკივნეულ თემას ეხებოდა და ამ დროს, ყველაფრის მშვიდად შეფასება შეუძლებელი იყო. მგონი, ემოციის გამოხატვის უფლება ჩვენც გვაქვს. სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებაც ასე იყო გამოტანილი. მოკლედ, ორივე მხარე უზომოდ გავცხარდით.

**- თქვენ ამტკიცებდით, პროფლიგის პრეზიდენტის კომერციულ დაინტერესებაზე კონკრეტულ ფაქტებს დავდებთო. გამოდის, რომ ეს ბრალდება უსაფუძვლოა?**

- ჩვენი ვარაუდიც არასწორი გამოდგა. ახლა მთავარია, რომ სიმართლემ გაიმარჯვა. უსაფუძვლოდ რატომ უნდა დავსჯილიყავით?

**მერაბ მამულაშვილი**

ძველი ნაცნობი

# გაორებული შუშაკი: გრძნობა და გონება

მე-4 გვერდიდან

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, კლასში სხვაობა აშკარა იყო და საქართველოს ნაკრებმა დამსახურებულადაც გაიმარჯვა. თან, ქართველი ფეხბურთელები მატჩის მინურულს გაშვებულ გოლსაც არ გაუტეხია და ბოლომდე მონდომებამაც სასურველი შედეგი მოიტანა.

**- კლასში დიდი სხვაობა იყოო, რომ ამბობთ, ცოტა ზედმეტად ხომ არ აქებთ საქართველოს ნაკრებს?**

- არავითარ შემთხვევაში! მეტსაც გეტყვით: დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრები კიდევ უფრო მოუმატებს. აი, მატჩის დროს ნათლად ჩანდა, რომ თემურ ქეცბაიას თამაშამდე მხოლოდ ერთი-ორი სრულყოფილი ვარჯიში თუ ექნებოდა ჩატარებული. თუმცა, კარგად ვიცი ქართველი ფეხბურთელების პოტენციალი და მჯერა, რომ კიდევ უფრო მოუმატებენ. გულახდილად ვამბობ: ეს ჩემი სურვილია, ისე როგორც მინდა, რომ ჯგუფში ხორვატიამ გაიმარჯვოს, ხოლო მეორე ადგილზე საქართველოს ნაკრები გავიდეს...

**- გვჯერა, რომ გულწრფელად გვქომაგობდით; მაგრამ ხორვატიაში რა ინფომაციას ჩაიტანთ? ანუ, ჩვენი ნაკრების თამაშში რა დაინახეთ დადებითი და რა - უარყოფითი?**

- იმედია, არ მიწყენთ და ამ კითხვას უპასუხოდ დავტოვებ. ეს წმინდა კონფიდენციალური ინფორმაციაა და მხოლოდ ორი ადამიანის „გასარჩევია" - ჩემი და ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის სლავენ ბილიჩის...

**- საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა თითქმის 80-90 პროცენტი თქვენთვის კარგად ნაცნობი მოთამაშეები არიან, რომლებთანაც წარმატებით გიმუშავიათ...**

- იცით, პირველი რა მომეწონა სტადიონზე მისულს? როგორც კი საქართველოს ნაკრების განაცხადს გავეცანი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სერიოზული მწვრთნელი გყავთ. ფაქტობრივად, ამ მომენტისათვის ყველა უძლიერეს ქართველ ფეხბურთელს გამოუძახა; არადა, კარგად ვიცი, რომ ბოლო წლებში ასე ნამდვილად არ ხდებოდა; წინა საკვალიფიკაციო ციკლში საქართველოს ნაკრების რამდენიმე მატჩი მაქვს ნანახი და მაშინდელთან შედარებაც არ შეიძლება; შესაძლოა, ვცდები, მაგრამ იმ წინა ციკლში ქართველი ფეხბურთელები ისე თამაშობდნენ, თითქოს არც იყვნენ დაინტერესებულნი მაღალ შედეგში. ახლა კი, საქმისადმი ბევრად სერიოზული დამოკიდებულება დავინახე.

**- ხორვატიაში რა რეაქცია ჰქონდათ, ჯგუფში ერთ-ერთი მეტოქე საქართველოს ნაკრები რომ უნდა ყოფილიყო?**

- მანამდე სხვა რამეს ვიტყვი, ბევრმა შესაძლოა არ იცოდეს. კენჭისყრამდე, ალბათ, ორი კვირა იყო დარჩენილი, სერიოზულად რომ დავიწყე... ხორვატიისა და საქართველოს ნაკრებებს შორის ამხანაგური მატჩის ორგანიზებაზე ფიქრი. ვარიანტების შეჯერება ხდებოდა - თბილისშიც რომ გვეთამაშა, ესეც მისაღები იყო. ამ დროს კი მეუღლე მეუბნება, რომ ინტუიცია მკარნახობს, ხორვატია და საქართველო ერთ ჯგუფში მოხვდებიანო... ასეც მოხდა!

**- მოვლენების ასეთი განვითარების თქვენ თვითონ წინააღმდეგი იყავით?**

- არ დაგიმალავთ: კენჭისყრიდან მოყოლებული დღემდე გაორებული გრძნობა მაქვს; ერთი მხრივ, ძალიან გამიხარდა, რომ კიდევ ერთხელ მომეცემოდა ჩემთვის საყვარელ ქვეყანაში ჩამოსვლის საშუალება და ჩემს უამრავ აქაურ მეგობარსაც შევხვდებოდი; მაგრამ, მეორე მხრივ, მე ხორვატიის ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში ვმუშაობ და ყველანაირად ვცდილობ გვერდში დავუდგე მთავარ მწვრთნელს სლავენ ბილიჩს. კიდევ ვიმეორებ, დღემდე გაორებული გრძნობა მაქვს - ერთ-ერთმა ხომ უნდა წააგოს; მაგრამ, ისევ ჩემს „ძველ პროგნოზს ვაწვები": ჯგუფში ხორვატიამ გაიმარჯვოს, საქართველომ კი მეორე ადგილი დაიკავოს. ოღონდ, ეს ჩემი სურვილია, თორემ ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ამ ჯგუფში ფავორიტები ხორვატიისა და საბერძნეთის ნაკრებები იქნებიან.

**- როგორ ფიქრობთ, ამ შესარჩევ ჯგუფში სიურპრიზებს არ უნდა ველოდოთ?**

- პირიქით: რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სანაკრებო დონეზე დღესდღეობით დიდი განსხვავება აღარ გვხვდება.

**- ხორვატიის ნაკრებმა ბოლო შესარჩევი ციკლი ჩააგდო - სლავენ ბილიჩის გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური ვერ მოიპოვა...**

- ამის უპირველესი მიზეზი წამყვანი ფეხბურთელების ტრავმები იყო. ხორვატიაც და საქართველოც პატარა ქვეყნებია. სამწუხაროდ, არც ჩვენ და არც თქვენ 30-40 მაღალი კლასის შემსრულებელი ნამდვილად არა გვყავს. აი, ხორვატიის მაგალითზე მოგახსენებთ: ძირითადი შემადგენლობის ორმა ფეხბურთელმა (ედუარდომ და მოდრიჩმა) ტრავმები მიიღეს, ნიკო კოვაჩმა სანაკრებო კარიერა დაასრულა და ყოველივე ეს შედეგზე აისახა. თუმცა, იყო სხვა შეცდომებიც: მაგალითად, ინგლისთან მატჩის წინ ყველანი იმაზე ვფიქრობდით, როგორ უნდა დაგვემარცხებინა ასეთი ძლიერი მეტოქე. ამ დროს კი რაც მოხდა, კარგად იცით - დიდი ანგარიშით წავაგეთ. სამაგიეროდ, მსგავს შეცდომებს აღარ გავიმეორებთ და ნებისმიერ მეტოქესთან ბევრად უფრო კონცენტრირებულნი ვიასპარეზებთ. სხვათა შორის, ხშირად მიწევს ამის აღნიშვნა, მაგრამ ფაქტია: ქართველებსაც და ხორვატებსაც თითქმის ერთნაირი საფეხბურთო ხედვა აქვთ.

**- ვიდრე ხორვატიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში დაინიშნებოდით, მანამდე ჩვენს მეზობლად, სომხურ „მიკაში" ჯერ მთავარი მწვრთნელი იყავით, მერე - კონსულტანტი...**

- სამწუხაროდ, საქართველოსა და სომხეთში ფეხბურთის მიმართ სხვადასხვა მიდგომაა; მეტსაც ვიტყვი: სომხეთისგან განსხვავებით საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა. რატომღაც, თქვენს მეზობლებს ჰგონიათ, რომ ერთ ღამეში შეიძლება მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდის ჩამოყალიბება...

**- ანუ, გეტყობათ, რომ „მიკაში" მუშაობის პერიოდში მთლად კმაყოფილი ვერ იყავით.**

- როგორც მწვრთნელი, კმაყოფილი ვერ ვიქნებოდი, რადგან გუნდს არ გააჩნდა მომზადებისთვის აუცილებელი პირობები, არ ჰქონდა საწვრთნელი ბაზა, და არც - სავარჯიშო მოედანი. ყოველივე ამის მიუხედავად მაშინაც და დღესაც ნორმალურზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა კლუბის მეპატრონე ბალდასაროვთან. „მიკასთან" კონტრაქტი პირველ დეკემბერს დამიმთავრდა და ბალდასაროვმა სხვა სამსახურიც შემომთავაზა - საფრანგეთის მესამე ლიგის ერთ-ერთი გუნდის შეძენას (!) ვაპირებ და შენ უნდა გაწვრთნაო. კიდევ ვიმეორებ, პიროვნულად არაფერს ვერჩი, კარგი კაცია, მაგრამ... მთავარი მწვრთნელის საქმიანობაში ჩარევაც უყვარს. ასეთ სიტუაციაში კი არც ადრე არსად მიმუშავია და არც ვაპირებ.

**- გამოდის, რომ „მიკაში" გატარებული წელიწადი, ფაქტობრივად, კარიერაში დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ.**

- არა უშავს - არ მიჭირს იმის აღიარება, რომ გარკვეული გამოცდილება შევიძინე; ალბათ, საჭიროც კი იყო, მით უფრო, რომ ყოველთვის მიყვარს ახალ-ახალი გამოწვევები. აი, მაგალითად, ხვალ ან ზეგ, შესაძლოა სულაც ჩინეთის ან აზერბაიჯანის რომელიმე გუნდში დავიწყო მუშაობა - ორივე ქვეყნიდან მაქვს წინადადება, მაგრამ ამ ეტაპზე მთლიანად ხორვატიის ნაკრებთან ურთიერთობით ვარ დაკავებული. სამომავლოდ კი ვინ იცის, იქნებ, საქართველოშიც მომიწიოს დაბრუნებამ, ოღონდ, არა მოწინააღმდეგის რანგში...

**გია ტუხაშვილი**

ევრო 2012

კალენდრის ირგვლივ



# ბერძნებმა, მეორე მატჩში ქართველებს ვუმასპინძლებთო...

## როგორმე, ორშაბათამდე უნდა შეთანხმდნენ

7 თებერვალს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრამ, რომელიც ვარშავაში ჩატარდა, ჩვენი ჯგუფის მეტოქეები გაარკვია. თუმცა სათამაშო კალენდარი ჯერ კიდევ არ არის შეთანხმებული და დამტკიცებული. საამისოდ უეფამ ყველა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას 30-დღიანი ვადა მისცა. ეს ვადა 9 მარტს იწურება. ჩვენი ჯგუფის ბინადარი ქვეყნების წარმომადგენლები წილისყრის დღესვე შეთანხმდნენ, რომ 7-8 მარტს საბერძნეთის დედაქალაქში შეიკრიბებოდნენ მატჩების განრიგის შესათანხმებლად. ეს დროც მოვიდა და დღეს ათენში, ერთ-ერთ კომფორტულ სასტუმროში ჩვენს ჯგუფში მყოფი ნაკრებებისა და ფედერაციის წარმომადგენლები შეიყრებიან.

მასპინძელი საბერძნეთი ამ თავყრილობაზე ნაკრების თავკაც **ოტო რეჰაგელითა** და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **სოფოკლის პილავიოსით** იქნება წარმოდგენილი. ხორვატიიდან ნაკრების მთავარ მწვრთნელ **სლავენ ბილიჩსა** და მის თანაშემწე **ალიოშა ასანოვიჩს** ელიან. საქართველოდან **თემურ ქეცბაიას**, მალტიდან ფედერაციის პრეზიდენტ **ჯოზეფ მიფსუდს**, რომელიც ამავე დროს უეფას აღმასკომის წევრიცაა. ამის შესახებ ბერძნული პრესა წერს, მაგრამ ელადური მედიისთვის წუხელ უცნობი იყო, ვინ ჩავა ათენში ისრაელიდან და ლატვიიდან.

რა თქმა უნდა, ყველა მხარე მატჩების განრიგის საკუთარი ვარიანტის გატანას შეეცდება. თუ ამ შეხვედრის მონაწილენი კომპრომისებზეც წავლენ, მაშინ შეთანხმების მიღწევის დიდი შანსია. თუ 9 მარტს ჩვენი ჯგუფის მატჩების შეთანხმებული და ყველას მიერ ხელმოწერილი განრიგი არ იქნება უეფაში, მაშინ ევროპული ფეხბურთის მამები თავად შეგვიდგენენ სათამაშო კალენდარს, რომელშიც მეტ-ნაკლებად ყველა გუნდის ინტერესი იქნება გათვალისწინებული.

ბუნებრივია, საინტერესოა, თუ რა ვარიანტს დაიცავენ მხარეები. როგორც გავიგეთ, თემურ ქეცბაიას სურვილია, შესარჩევი ციკლი საშინაო მატჩით დავიწყოთ, მეტოქედ კი ლატვია, მალტა ან თუნდაც ისრაელი გვყავდეს. ქართული მხარე სასტარტო ტურში გასვლაზე მალტასთან თამაშზეც არ იქნება უარს.

რაც შეეხება მეტოქეთა გეგმებს. ამაზე უცხოურ საიტებზე მწირი ინფორმაციაა. ბერძნული ვებგვერდების - gazzetta.gr-სა და sportaction.gr-ს მტკიცებით, ოტო რეჰაგელს სურს პირველი ორი მატჩი მალტისა და საქართველოს ნაკრებებთან გამართოს. პირველი სტუმრად კუნძულზე და მერე ათენში თემურ ქეცბაიას გუნდთან. index.hr-ს ინფორმაციით, ხორვატთა ნაკრების თავკაცი სლავენ ბილიჩი შესარჩევი ციკლის დაწყებას ბერძნებთან მატჩით არ ისურვებდა და პირველ მეტოქედ ლატვია, საქართველო ან მალტა უნდა, მაგრამ შინ. ვებგვერდ maltatoday-ზე მოძიებული მასალის მიხედვით, ჯოზეფ მიფსუდი ყველანაირად შეეცდება, რომ სტარტზე ხორვატიასთან და საბერძნეთთან არ მოუწიოს თამაშმა. ლატვიისა და ისრაელის კალენდრისეული ვარიანტები ჯერჯერობით უცნობია.

ბერძნულ ვებგვედებზე ქეცბაია სხვა თემაშიც მოექცა ყურადღების ქვეშ. საქმე ის არის, რომ „ანორთისისის" ყოფილმა მმართველმა დირექტორმა **ანდრეას პანტელიმ** იგივე პოსტი ბერძნულ „ირაკლისში" ჩაიბარა. დადასტურდა ისიც, რომ პანტელისა და ქეცბაიას შორის უკვე ყოფილა სატელეფონო საუბარი და ჟურნალისტები ჩვენი ეროვნულის თავკაცს ამაზე დაეკითხნენ.

*„ანდრეას პანტელისთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს. ის თავისი საქმის პროფესიონალია. ჩემპიონთა ლიგაზე „ანორთოსისის" წარმატებული ასპარეზობა მის მიერ კლუბის მენეჯმენტის სწორად წარმართვამ და მუშაობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა. მას „ირაკლისის" მმართველად დანიშვნა მივულოცე და წარმატებები ვუსურვე. მჯერა, პანტელი „ირაკლისს" უფრო წარმატებულ კლუბად აქცევს. ამჟამად საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვარ და ამ ეტაპზე ჩვენი გზები გაყოფილია. რა იქნება მომავალში, ამაზე ახლა არ ვფიქრობ"*, - განაცხადა თემურ ქეცბაიამ.

**დავით ცაბაძე**

ამბები

## ხოჯავამ დანიელებს გაუტანა

მახაჩყალის „ანჟიმ" უკვე დაასრულა თურქული შეკრება, სადაც დასკვნითი საკონტროლო მატჩი დანიის პირველი დივიზიონის ბინადარ „ჰორსენსთან" ჩაატარა.

ეს შეხვედრა დაღესტნური კლუბის გამარჯვებით, 2:1 დასრულდა. ანგარიში **გოჩა ხოჯავამ** გახსნა 23-ე წუთზე. ხოჯავამ მატჩი შეუცვლელად ჩაატარა. მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა **ნუკრი რევიშვილი**, **ზურაბ არზიანი** კი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს.

## ამისულაშვილი დაბრუნდა

„სპორტ-ექსპრესის" ცნობით, ნალჩიკის „სპარტაკისა" და სოჭის „ჟემჩუჟინას" საკონტროლო მატჩში **ალექსანდრე ამისულაშვილმა**, რომელმაც საქართველოსა და ესტონეთის ეროვნული ნაკრებების შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა, 90 წუთი ითამაშა. „ჟემჩუჟინას" წინააღმდეგ მოედანზე არ გასულან ნაკრებში გამოძახებული სპარტაკელები, **გოგიტა გოგუა** და **დავით სირაძე**. ეს მატჩი „სპარტაკმა" 3:0 მოიგო. სხვათა შორის, „ჟემჩუჟინას" კარს იცავდა ერთ დროს საქართველოს ნაკრების კანდიდატი **ალექსანდრე ჩიხრაძე**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 17

მეტოქე

# ცვლილებები უკრაინელთა ბანაკში

## მახარაძე გამოაკლდათ, აქუბარდია და ბოხაშვილი დაემატათ

უკრაინის 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდისთვის მზადებას განაგრძობს. შეგახსენებთ, 30 მარტს, ელიტრაუნდის ბოლო ტურში, ერთმანეთს საქართველოსა და უკრაინის ნაკრებები შეხვდებიან.

უკრაინელებმა ელიტრაუნდისწინა შეკრება კვიპროსზე მოაწყვეს, სადაც ამხანაგური მატჩი ნიქოზიის აპოელ-ის ახალგაზრდულ გუნდთან ჩაატარეს და მეტოქე 9:0 გაანადგურეს.

უკრაინა პირველ ტაიმში: **ვოლინეცი, სუხომლინოვი, გლუშიცკი, ბალანი, ბრატკოვი, ვაკულენკო, კალიტვინცევი, ჩურკო, ბალდასაროვი, ლუკანიუკი, იაკოვენკო.** მეორე ტაიმში: **ვოლინეცი, აქუბარდია, პრინდეტა, შევცოვი, ტროიანოვსკი, პოლიულიახი, მელნიკი, ბოხაშვილი, ტაშჩი, მარკოვეცი, ხამიდი.**

გოლები: **ლუკანიუკი (2), მარკოვეცი (2), ხამიდი (2), ჩურკო, იაკოვენკო, ბოხაშვილი.**

ალსანიშნავი ისაა, რომ უკრაინელთა მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ ლისენკომ** კვიპროსზე კარდინალურად გადახალისებული შემადგენლობა წაიყვანა. იმ კონტინგენტიდან, რომელიც უკრაინის ნაკრების ღირსებას პირველ შესარჩევ ეტაპსა და თებერვალში პორტუგალიაში ჩატარებულ ოთხთა ტურნირზე იცავდა, ბოლო შეკრებაზე ბევრი ფეხბურთელი ვერ მოხვდა. ამის ზუსტი მიზეზი უცნობია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ტურნირში დაკავებული ბოლო ადგილის გამო, მწვრთნელმა რამდენიმე მოთამაშეზე უარი თქვა. როგორც იცით, პორტუგალიაში უკრაინელებმა მასპინძლებთან 0:0 ითამაშეს, ინგლისთან 0:3 დამარცხდნენ, საფრანგეთთან კი 0:1.

ამ „შემცირებაში" მოყვა ქართული წარმოშობის მეკარე **ზაურ მახარაძე**, რომელიც აქამდე შეუცვლელი პირველი ნომერი იყო, კვიპროსზე კი საერთოდ არ წაუყვანიათ. სამაგიეროდ, ახალწვეულთა შორის ვხედავთ ქართული გვარის მქონე ორ მოთამაშეს - კიევის „დინამოს" მცველ **ბადრი აქუბარდიასა** და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ნახევარმცველ **ევგენი ბოხაშვილს.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესპანეთი

ლა ლიგა. XXV ტურის წინ



რეალი მხიარულად ვარჯიშობს

# ის რეალი აღარ ვართ...

## ლა ლიგაში ყველაზე მნიშვნელოვანი იწყება

| დღეს | |
|---|---|
| დეპორტივო-ტენერიფე | 21:00 |
| ალმერია-ბარსელონა | 23:00 |
| რეალი-სევილია | 01:00 |
| **ხვალ** | |
| ესპანიოლი-ვილიარეალი | 20:00 |
| მალაგა-ხერესი | 20:00 |
| მალიორკა-სპორტინგი | 20:00 |
| ოსასუნა-ხეტაფე | 20:00 |
| ბილბაო-ვალიადოლიდი | 22:00 |
| სარაგოსა-ატლეტიკო | 00:00 |
| **ზეგ** | |
| ვალენსია-რასინგი | 00:00 |

ესპანეთის ნაკრები პარიზიდან უძლეველის მანტიით, ტრიუმფით დაბრუნდა სამშობლოში და ფეხბურთელებმა (სამი ლეგიონერის გარდა) საკუთარ კლუბებს მიაშურეს. ლა ლიგაში 25-ე ტურია, პროგრამის მშვენება კი დღევანდელი მატჩი იქნება „სანტიაგო ბერნაბეუზე" - „სამეფო კლუბი" „სევილიას" მასპინძლობს. „რეალს" სულ სამი მარცხი აქვს, აქედან ერთი მადრიდულმა გუნდმა სწორედ ანდალუსიის დედაქალაქში, „სევილიასგან" იწვნია, მაგრამ **ჩაბი ალონსო**, რომელიც საფრანგეთ-ესპანეთის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო, ანდალუსიელებს აფრთხილებს: *„ჩვენ ის „რეალი" აღარ ვართ, სეზონის დასაწყისში რომ მოგვიგეთ, მას მერე ბევრად მოვუმატეთ და გვიფრთხილდით, შური უნდა ვიძიოთ".* პრინციპში, ჩაბი სიმართლეს ლაპარაკობს - მაშინ როცა, „ბარსელონა" ბრწყინვალედ შეხვდა ახალ სეზონს, **მანუელ პელეგრინის** გუნდი თანდათან შევიდა ფორმაში, ახლა კი ისეთი სიჩქარით გაქანდა პელეგრინის მატარებელი, „ბარსელონა" მონაგონია. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში „სანჩეს პისხუანზე" „სევილიამ" 2:1 მოიგო.

ისე, მადრიდის „რეალს" უახლოესი კალენდარი ისეთი აქვს, პელეგრინის ძალების გადანაწილების საშუალებას არ მისცემს. „სამეფო კლუბი" ჯერ „სევილიას" მასპინძლობს, შემდეგ „ლიონს" ჩემპიონთა ლიგაში ეთამაშება „ვალიადოლიდს" და შინ „ბარსელონას" იღებს. ამ ოთხი თამაშიდან როტაციის განხორციელების საშუალება პელეგრინის აუტსაიდერ „ვალიადოლიდთან" თუ ექნება, ისიც კი საეჭვოა...

თავად მადრიდელთათვის „სევილიასთან" ჯახი სერიოზული ტესტი იქნება, რამდენად საფუძვლიანია მათი პრეტენზია ესპანეთის ჩემპიონობაზე. „რეალი" მართლაც შესაშურ ფორმაშია, გუნდმა მოიგო ლა ლიგის ბოლო 6 მატჩი (არ დაგვავიწყდეს, რომ გუნდმა მოიგო ყველა საშინაო შეხვედრა ჩემპიონატში). საქმე მხოლოდ მოგებებზეც არ არის, „სამეფო კლუბი" თამაშობს ლაღ, სანახაობრივ და ზეშემტევ ფეხბურთს - ბოლო ხუთ მატჩში „ლოს ბლანკოსმა" 20 გოლი გაიტანა, ანუ თამაშში საშუალოდ 4 გოლი!

თუკი მადრიდელთა მიზანი ტიტულია, „სევილიას" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ სეზონში მიღწევად მე-3 ადგილს ჩათვლის (თუმცა თავიდან ისინიც ჩემპიონობაზე ფიქრობდნენ). მესამე ადგილი კლუბს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო გზას გაუიოლებს, ამ ადგილისთვის კი ანდალუსიელებს მთავარ მეტოქედ „ვალენსია" ესახებათ. **მანოლო ხიმენესს** პრობლემები უფრო საშინაო თამაშებში ექმნება, ამის მიზეზი კი მისი გუნდის თამაშის სტილია, „სევილიას" გულშემატკივართა უმეტესობას სჯერა, რომ ხიმენესი იმაზე მეტად დაცვით ფეხბურთს ათამაშებს გუნდს, ვიდრე ეს მას ეკადრება. ხიმენესი „სანჩეს პისხუანზე" მეტად არაპოპულარული პირია. ასე რომ, მისი საშველი მხოლოდ წარმატებაა. თავის მხრივ, „სევილიაც" შესანიშნავ ფორმაშია - ბოლო 6 მატჩიდან 4 მოიგო, მის ფეხბურთელებს თვითრწმენას ვერ დავუკარგავთ. **ფედერიკო ფასიო**, რომელიც ახლახან მძიმე ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა ფეხბურთს, აცხადებს: *„ჩვენ იოტისოდენადაც არ გვეშინია „რეალის", დაე, მათ ეშინოდეთ".* ისე, ამის მედიისთვის თქმა ადვილია, ახლა „ლოს ნერვიონენსესმა" თავიანთი უშიშრობა „ბერნაბეუს" მოედანზე უნდა დაამტკიცონ...

„რეალის" ლაზარეთში **ქარიმ ბენზემა** და **როისტენ დრენტე** (**პეპე** თავისთავად) რჩებიან, თუმცა საზარდულმტკივანი ფრანგი ფორვარდის და კუნთდაზიანებული ჰოლანდიელი ვინგერის თამაში ბოლომდე გამორიცხული არ არის. დისკვალიფიკაციის გასვლის შემდეგ მოედანს უბრუნდება **ალვარო არბელოა**. ის ალბათ დაიბრუნებს სასტარტოში მარჯვენა მცველის ადგილს, რაც „რეალის" დაცვის ხაზში მცირე გადაადგილებებს უთუოდ გამოიწვევს.

„სევილიას" რიგებში ვერ ვიხილავთ **აბდულა კონკოს** და ნაოპერაციებ **სებასტიენ სკილაჩის**. ფრანგი მცველი ნავარაუდევზე ნელა მიდის უკეთესობისკენ. გაციებულია **ადრიანო** და მუცლის პრობლემები აქვს **მარიუს სტანკევიჩიუსს**, ფეხი სტკივა **რენატოს**, ამ სამეულის თამაში საეჭვოა. დისკვალიფიკაცია გაუვიდათ **ალვარო ნეგრედოსა** და **დიდიე ზოკორას**. ასე რომ, ნეგრედოს ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მოუწევს თამაში, კლუბისა, რომელმაც ყიდვიდან ერთ თვეში გაყიდა ფეხბურთელი. ნეგრედო ბოლო მატჩებში უცნაურად აქტიურია, ის შეტევაში ბევრს ქმნის და ბევრსაც აშავებს - ბოლო ექვს მატჩში 24 წლის ფორვარდმა 4 გოლი კი გაიტანა, მაგრამ ერთიც საკუთარ კარში შეაგდო და ორი თამაში წითელი ბარათის მიღების გამო ვერ ჩაამთავრა.

*„სევილია" ძალიან ძლიერი ოპონენტია, მათ დაგვამარცხეს პირველ წრეში, თანაც ძალიან კარგად ითამაშეს. ახლა ჩვენი მოგების დროა. გუნდები ახლა სულ სხვა ფორმაში არიან, ვიდრე მაშინ. ჩვენც და „სევილიამაც" მოვუმატეთ, ასე რომ, რასაც გპირდებით, ეს უკეთესი სანახაობაა. მეტოქეს ბევრი მაღალი დონის ვარსკვლავი ჰყავს, ისინი ერთობ მოტივირებულნი გავლენ „ბერნაბეუზე". მათი ყველაზე სახიფათო ფეხბურთელი ხესუს ნავასია, უზომოდ ნიჭიერი ვინგერი, თუმცა საფრთხე ჩვენს კართან მხოლოდ მისგან არ წამოვა. 14 მატჩი რჩება და ყოველ ქულას უკვე ოქროს ფასი აქვს. რაც შეეხება „ლიონთან" თამაშს, ამაზე ფიქრს კვირიდან დავიწყებთ",* - განაცხადა მანუელ პელეგრინიმ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე.

### სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი (4-3-2-1):** კასილიასი - არბელოა, ს. რამოსი, ალბიოლი, მარსელო - ჩაბი ალონსო, ლ. დიარა, გრანერო - კაკა, რონალდო - იგუაინი.

**სევილია (4-4-2):** პალოპი - სტანკევიჩიუსი, დრაგუტინოვიჩი, ესკუდე, ნავარო - ხ. ნავასი, რენატო, ზოკორა, პეროტი - კანუტე, ნეგრედო.

ტურის ცენტრალურ მატჩამდე ორი საათით ადრე ჩემპიონი და ერთპიროვნული ლიდერი „ბარსელონა" ანდალუსიაში ჩადის მე-13 ადგილზე მყოფ „ალმერიასთან" სათამაშოდ. სამხრეთული გუნდი ახლა შესანიშნავ ფორმაშია, ბოლო ხუთი მატჩიდან სამი მოიგო და ორი ფრედ დაასრულა. რამდენად ეყოფა ეს „ალმერიას" კატალონიელებთან წარმატების მოსაპოვებლად, დღეს გამოჩნდება. მექსიკელმა **ხუან მანუელ ლილიომ** საკუთარი ხელი უკვე დაატყო „ალმერიას", რომელიც აღარ არის გასავარდნად განწირული სუსტი გუნდი.

„ალმერიას" ტრავმების გამო, შესაძლოა, **მიგელ ანხელ ნიეტო** და **კორონა** დააკლდეს. შვედი ფორვარდი **ჰენოკ გოიტომი** კი დაუბრუნდა ნორმალურ ვარჯიშს და „ბარსას" წინააღმდეგ ითამაშებს, **დომინგო სისმამ** მოიხადა დისკვალიფიკაცია და ისიც ბრუნდება.

„ბარსას" ტრავმების კრიზისი თებერვლის შუაში ჰქონდა, ახლა კი მდგომარეობა ნელ-ნელა გამოსწორდა. „ალმერიასთან" მატჩში ვერ ითამაშებენ მხოლოდ **ერიკ აბიდალი** და **სეიდუ კეიტა**. აბიდალი ჯერ ვერ ვარჯიშობს, კეიტას საბოლოო გამოჯანმრთელებას კი მომდევნო ტურისთვის ვარაუდობენ.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ალმერია (4-2-3-1):** დ. ალვეში - მიჩელი, პელერანო, ჩიკო, სისმა - მბამი, ბერნარდელო - პიატი, სორიანო, კრუსატი - გოიტომი.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პუიოლი, მარკესი, მაქსველი - ჩავი, ტურე, ინიესტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი, პედრო.

ტური გალისიაში, „რიასორზე" გაიხსნება, სადაც მე-6 ადგილოსანი „დეპორტივო" აუტსაიდერ „ტენერიფეს" მასპინძლობს. **მიგელ ანხელ ლოტინას** გუნდი მთლად კარგ ფორმაში ვერ არის, ბოლო 7 მატჩიდან „დეპორმა" 4 წააგო. „დეპორს" კიდევ კარგა ხანს არ ეყოლება **ფელიპე**, **რიკი**, **ანგულო** და **ლასადი**. „ტენერიფესთან" ვერ ითამაშებენ ვერც **ჟუკა**, **სერხიო** და **ზე კასტრო**. დისკვალიფიკაცია მოიხადა **ალბერტო ლოპომ** და ის დაცვის ცენტრს დაუბრუნდება.

**დეპორტივო (სავარაუდო შემადგენლობა, 4-2-3-1):** არანსუბია - მანუელ პაბლო, ლოპო, კოლოტო, ლაურე - როდრიგესი, ტომასი - ალვარესი, დომინგესი, გუარდადო - ადრიანი.

კვირის თამაშებიდან მცირე ინტერესს არ იწვევს ბარსელონური ჯახი „ესპანიოლსა" და „ვილიარეალს" შორის. ორივე გუნდს ცუდი სტარტი ჰქონდა, მაგრამ თუკი „ვილიარეალმა" შეძლო კრიზისიდან გამოსვლა, „ესპანიოლი" გავარდნის საფრთხის წინაშეა. მასპინძლებს არ ეყოლებათ **დავიდ გარსია**, რომელიც ტრავმის გამო სრულფასოვნად ვერ ვარჯიშობს. არ იქნებიან არც **კორომინასი** და **ნიკო პარეხა**, **ივან დე ლა პენია** კი ამ სეზონში ველარ დაეხმარება „ესპანიოლს". „ელ სუბმარინოს", როგორც იქნა, ამერიკიდან დაუბრუნდა იტალიელი ფორვარდი **ჯუზეპე როსი**, რომელიც პირადი პრობლემების გამო შინ იმყოფებოდა. ამიტომ ფორვარდი **მარკო რუბენი** ისევ B გუნდში დააბრუნეს. **სანტი კასორლა** კვლავ ტრავმირებულია.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ჩიკა, ფორლინი, რუისი, დიდაცი - მოისესი, მარკესი - ლ. გარსია, ვერდიუ, კალეხონი - ოსვალდო.

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ვენტა, გოდინი, გონსალო, კაპდევილია - კანი, სენა, ბრუნო, პირესი - ლორენტე, ნილმარი.

საინტერესო დაპირისპირება ელის მადრიდის „ატლეტიკოს" არაგონის პროვინციაში „სარაგოსას" წინააღმდეგ, ბალეარებზე „მალიორკა" „სპორტინგს" მასპინძლობს. ორშაბათის მატჩში კი „ვალენსია" შეეცდება „რასინგის" დამარცხებით მე-3 ადგილის განმტკიცებას.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 24 | 19 | 4 | 1 | 59-14 | 61 |
| 2. რეალი | 24 | 19 | 2 | 3 | 64-18 | 59 |
| 3. ვალენსია | 24 | 13 | 7 | 4 | 42-26 | 46 |
| 4. სევილია | 24 | 13 | 4 | 7 | 36-25 | 43 |
| 5. მალიორკა | 24 | 12 | 4 | 8 | 38-28 | 40 |
| 6. დეპორტივო | 24 | 11 | 5 | 8 | 26-26 | 38 |
| 7. ბილბაო | 24 | 11 | 4 | 9 | 32-30 | 37 |
| 8. ვილიარეალი | 24 | 9 | 5 | 10 | 36-37 | 32 |
| 9. ხეტაფე | 24 | 10 | 2 | 12 | 31-32 | 32 |
| 10. სპორტინგი | 24 | 8 | 7 | 9 | 28-29 | 31 |
| 11. ოსასუნა | 24 | 8 | 6 | 10 | 24-26 | 30 |
| 12. ატლეტიკო | 24 | 8 | 6 | 10 | 37-37 | 30 |
| 13. ალმერია | 24 | 7 | 8 | 9 | 27-33 | 29 |
| 14. მალაგა | 24 | 6 | 9 | 9 | 29-29 | 27 |
| 15. ესპანიოლი | 24 | 7 | 6 | 11 | 18-32 | 27 |
| 16. რასინგი | 24 | 6 | 7 | 11 | 24-37 | 25 |
| 17. სარაგოსა | 24 | 6 | 6 | 12 | 29-47 | 24 |
| 18. ვალიადოლიდი | 24 | 3 | 11 | 10 | 27-42 | 20 |
| 19. ტენერიფე | 24 | 5 | 5 | 14 | 20-49 | 20 |
| 20. ხერესი | 24 | 2 | 6 | 16 | 14-44 | 12 |

ამბები

## უარი ესპანეთს

ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციამ ფიფასგან უარი მიიღო - ესპანელებს „სამეფო თასის" ჩატარება 26 მაისს სურდათ. ფიფას წესის მიხედვით, მსოფლიოს ჩემპიონატის გამო წლეულს, ყველა იმ ფეხბურთელმა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ითამაშოს, 16-დან 23 მაისამდე უნდა დაისვენონ, ხოლო ამის შემდეგ საკუთარ ნაკრებს შეუერთდნენ. გამონაკლისები მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასული ორი გუნდის ფეხბურთელები იქნებიან - ლიგის ფინალი 22 მაისს „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება. ასე რომ, ჯერჯერობით უცნობია, როდის და სად ითამაშებენ „სამეფო თასის" ფინალში გასული „სევილია" და „ატლეტიკო".

## ახალი დროგბა ესპანეთში?

„მარკას" ცნობით „რეალი" და „ბარსელონა" ერთნაირად არიან დაინტერესებული „ანდერლეხტის"



ფორვარდის **რომელუ ლუკაკუს** ხელში ჩასაგდებად. 16 წლის კონგოელს უკვე შეარქვეს „ახალი დროგბა". ლუკაკუ მაღალია და ფიზიკურად ძლიერი, მას შესანიშნავი საგოლე ალღო აქვს. „რეალისა" და „ბარსელონას" გარდა, მისი შეძენა „ჩელსის", „არსენალსა" და „ინტერსაც" სურთ. ფეხბურთელის სავარაუდო საბაზრო ფასი 15 მილიონი ევროა.

## ნენეზე ვფიქრობთ

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვისენტე დელ ბოსკემ** აღნიშნა, რომ ის „მონაკოს" ნახევარმცველ **ნენეს** გამოცდას მართლა აპირებს, თუმცა იქვე დასძინა, რომ



ბრაზილიელისთვის ძალიან ძნელი იქნება სამხრეთ აფრიკაში წამსვლელთა შორის მოხვედრა. *„ნენე ბრწყინვალედ თამაშობს საფრანგეთის ჩემპიონატში, რამდენადაც ვიცი, ესპანეთის მოქალაქეა და ნაკრებში თამაშიც სურს. მოკლედ, ის ჩემს გაფართოებულ სიაშია",* - განაცხადა „ლა ფურია როხას" თავკაცმა. მოკლედ, ნენეს სამი თვე რჩება თავის გამოსაჩენად.

გვერდი მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია | ბუნდესლიგა. XXV ტურის წინ

# მოდი, ვნახოთ ბაიერნი...

## ხომ არ დაავიწყდა რეკორდმაისტერს, როგორ უნდა ლიდერობის შენარჩუნება?



ფილიპ ლამს (ბაიერნი), ყოფილი თანაგუნდელის, ლუკას პოდოლსკის (კიოლნი) შეჩერება, წესით, არ უნდა გაუჭირდეს, რადგან პოლდი საშინელ ფორმაშია

| დღეს | |
|---|---|
| კიოლნი-ბაიერნი | 18:30 |
| ვერდერი-შტუტგარტი | 18:30 |
| ჰამბურგი-ჰერტა | 18:30 |
| აინტრახტი-შალკე | 18:30 |
| ფრაიბურგი-ჰანოვერი | 18:30 |
| ვოლფსბურგი-ბოხუმი | 18:30 |
| ბორუსია (დ)-ბორუსია (მ) | 21:30 |
| **ხვალ** | |
| ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 18:30 |
| ჰოფენჰაიმი-მაინცი | 20:30 |

რაკი ამ ტურში პარასკევის მატჩი არ იყო, დღეს 7 შეხვედრა გაიმართება, ხვალ კი ორი. მიუნხენის „ბაიერნი" სატურნირო ცხრილის სათავეში თითქმის ორწლიანი შესვენების შემდეგ მოექცა და საინტერესოა, როგორ ითამაშებენ მიუნხენელები ლიდერის რანგში, რამდენ ხანს შეინარჩუნებენ პირველ ადგილს - გალიდერებულ რეკორდმაისტერს პირველი გამოცდა კიოლნში ელის. უალრესად საინტერესოა „ჰამბურგისა" და „ჰერტას" დუელიც - ერთი შეხედვით, აქ ფავორიტი „ჰამბურგია". „ვერდერისა" და „შტუტგარტის", ისევე როგორც „აინტრახტისა" და „შალკეს" დაპირისპირებებში საქმე ევროტურნირების საგზურებს ეხება. გადარჩენისთვის ბრძოლის დუელებიდან კი დღეს უმთავრესი ჯახი ფრაიბურგშია, სადაც ბრაისგაუელები „ჰანოვერს" მასპინძლობენ. ტურის ცენტრალური შეხვედრა საღამოს, დორტმუნდში იმართება, სადაც ერთმანეთს სეხნია „ბორუსიები" დაუპირისპირდებიან. მდევრის როლში გადასული „ლევერკუზენი" კი ხვალ თამაშობს - ნიურნბერგში.

„ბაიერნი" როგორც იქნა, გალიდერდა და მიუნხენელები პირველი ადგილის შენარჩუნებას დღეს კიოლნში ეცდებიან. ალსანიშნავია, რომ „თხებს" რეკორდმაისტერთან საშინაო მატჩებში კომპლექსი აქვთ: „კიოლნმა" „ბაიერნთან" ჩატარებული ბოლო შვიდი თამაშიდან შვიდივე წააგო. **ზვონიმირ სოლდოს** გუნდმა „ლევერკუზენთან" დაამტკიცა, რომ დაცვაში სტაბილურად დგომა ძველებურად ეხერხება და ფაქტია, რომ კიოლნელები მიუნხენურ გრანდთანაც დაცვით ტაქტიკას აირჩევენ. ბავარიულ კლუბს **დანიელ ვან ბუიტენი** უბრუნდება, რომელმაც მცირე ტრავმის გამო ბელგიისა და ხორვატიის ნაკრებების ტესტმატჩი გააცდინა, რათა რეკორდმაისტერისთვის სრულ მზადყოფნაში ყოფილიყო. ვან ბუიტენის დაბრუნება „ბაიერნისთვის" უალრესად მნიშვნელოვანია, რადგან **მარტინ დემიკელისი** დაშავდა (გერმანიისა და არგენტინის მატჩში). უკვე გაირკვა, რომ არგენტინელი მცველი ლაზარეთში სამ კვირას დაყოფს. რაკი დემიკელისი არ თამაშობს, **ჰოლგერ ბადშტუბერი** მარცხენა ფრთიდან ცენტრში გადაიწევს და ვან ბუიტენს შეუწყვილდება, მის ადგილს კი, დაცვის მარცხენა ფლანგზე ან ახალგაზრდა **დიეგო კონტენტო** დაიკავებს, ანაც **დანიელ პრანიჩი**. არის მეორე ვარიანტიც. კერძოდ, ბადშტუბერი მარცხნივ დარჩეს და ვან ბუიტენთან ერთად, დაცვის ცენტრი **ანატოლი ტიმოშჩუკმა** გაამაგროს, რომელიც საყრდენი ნახევარმცველია, თუმცა დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში.

*„უკვე ლიდერები ვართ, რაც იმას ნიშნავს, რომ თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობთ. „ბაიერნს" პირველი ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა გერმანიაში ყველაზე უკეთ ეხერხება და არა მგონია, რომ სერიოზული პრობლემები შეგვექმნას. მთავარია, კონცენტრირებულები ვიყოთ,"* - ეს მიუნხენელთა კაპიტან **მარკ ვან ბომელის** სიტყვებია.

„ჰამბურგმა" წინა ტურში „ბაიერნთან" წააგო და ისევ 40 ქულა აქვს, რის გამოც ჩრდილოგერმანულ კლუბს კონკურენტები ძალიან მიუახლოვდნენ. დღეს **ბრუნო ლაბადიას** გუნდი ბოლოადგილოსან „ჰერტას" მასპინძლობს და შესაბამისად, წაფორხილების უფლება არ აქვს. ჰამბურგელთა რიგებში კითხვის ნიშნის ქვეშაა მეკარე **ფრანკ როსტის** და ფორვარდ **მლადენ პეტრიჩის** თამაში და რაკი კვლავ ვერ ესწრება **რუუდ ვან ნისტელროის** გამოჯანმრთელება, ლაბადიას გუნდს „ჰერტასთან" უდიდესი სიფრთხილე მართებს. ბერლინელებისთვის ამიერიდან ყველა მატჩი ფინალივითაა და ფაქტია, რომ **ლევან კობიაშვილი** და მისი თანაგუნდელები უკან ალარაფერზე დაიხევენ. **ფრიდჰელმ ფუნკელის** გუნდს უკან დასახევი გზა ალარც აქვს. თანაც, „ჰერტა" ისევ ამოუცნობ გუნდად რჩება - „ფრაიბურგს" სტუმრად მოუგო (3:0), მერე სახლში „ჰოფენჰაიმთან" წააგო და ახლა ისევ სტუმრად თამაშობს და მართალია თუ არა ის მოსაზრება, რომ ბერლინელები თავს სტუმრად უფრო კომფორტულად გრძნობენ, ვიდრე შინ, ამას დღეს შევიტყობთ. ფაქტი ის არის, რომ ფუნკელს კრიტიკოსები მოუმრავლდნენ - გულშემატკივრები უკვე ითხოვენ მის გათავისუფლებას.

ძალიან საინტერესო ბრძოლას ველით ბრემენის „ვეზერშტადიონზე", სადაც ერთმანეთის პირისპირ „ვერდერი" (38 ქულა) და „შტუტგარტი" (34) უნდა წარდგნენ. მას მერე, რაც ბრემენულმა კლუბმა ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო (ბუნდესლიგა, გერმანიის თასი, ევროპის ლიგა), „ვერდერის" ბაზაზე მზემ გამოანათა, თუმცა **თომას შააფის** გუნდს „შტუტგარტთან" ძალიან მძიმე მატჩი ელის. შვაბების პროგრესზე უკვე ბევრჯერ დავწერეთ და ახლა მხოლოდ იმასლა შევახსენებთ, რომ „შტუტგარტს" ჰყავს **კაკაუ**, რომელიც ბოლო ორი კვირაა, ბრწყინვალედ თამაშობს და მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. ყველაფერთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ შვაბები საუკეთესო ხუთეულს მხოლოდ 5 ქულითლა ჩამორჩებიან.

საუკეთესო ხუთეულში მოხვედრის კარგი შანსი აქვს „აინტრახტსაც". მართალია, ფრანკფურტელებმა წინა ტურში „შტუტგარტთან" 1:2 წააგეს, მაგრამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და გუნდის დაცვის ბურჯი **კრისი** ამბობს, ჩვენ ისევ ზემოთ ვიყურებითო. მაგრამ „აინტრახტს" დღეს უმძიმესი ბრძოლა ელის „შალკესთან". ჰო, ფრანკფურტელები სახლში თამაშობენ, მაგრამ გელზენკირხენელები სტუმრად საკმაოდ კარგად ასპარეზობენ (5 მოგება, 4 ფრე, 2 მარცხი) და თანაც, „შალკე" საუკეთესო სამეულშია. უფრო მეტიც: **ფელიქს მაგათის** გუნდი ლიდერ „ბაიერნს" მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ „შალკეს" ჯერ კიდევ აქვს ჩემპიონობის შანსი და თანაც, არცთუ ურიგო.

ისე მოხდა, რომ 25-ე ტურში ერთმანეთს ყველაზე უსახური გუნდები ხვდებიან: „ფრაიბურგი" „ჰანოვერს" მასპინძლობს. წინა ტური ორივე კლუბისთვის შედარებით იღბლიანი გამოვიდა - ფრაიბურგელებმა მიონხენგლადბახიდან ქულა წაილეს (1:1), „ჰანოვერი" კი ალარ განადგურდა და „ვოლფსბურგთან" მხოლოდ 0:1 დამარცხდა. „ფრაიბურგს" ათმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს (0/4/6), „ჰანოვერს" კი 13 მატჩია, არ მოუგია (0/2/11), ხოლო **მირკო სლომკას** ხელში ექვსივე თამაში წააგო. ექსპერტები პირდაპირ ამბობენ, რომ დღევანდელი მატჩი სლომკასთვის უკანასკნელი შანსია და თუ „ჰანოვერი" ფრაიბურგში, ანუ, უშუალო კონკურენტთანაც დამარცხდა, მირკო ისევ უმუშევარი დარჩება, „ჰანოვერი" კი ამ სეზონში უკვე მეორე მწვრთნელს დაითხოვს.

მოქმედმა ჩემპიონმა „ვოლფსბურგმა" ბოლო დროს მოგებები დაიწყო და მდგომარეობა ოდნავ გამოისწორა. დღეს „მგლების" მეტოქე „ბოხუმია", რომელსაც რვამატჩიანი წაუგებელი სერია აქვს (3/5/0). საღამოს კი ბორუსიების დუელია დორტმუნდში, „ვესტფალენშტადიონზე". დორტმუნდელებმა წინა ტურში რურის დიდი დერბი წააგეს (1:2 შალკესთან), რის გამოც მათი მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** ძალიან გაბრაზდა და ცოფები ყარა. ქულებთან ერთად „შავ-ყვითლებმა" დერბიში სამი წამყვანი ფეხბურთელიც დაკარგეს: დაშავდნენ **მატს ჰუმელსი**, **სვენ ბენდერი** და **კევინ გროსკროიტცი**. ჰუმელსს დღეს **ფელიპე სანტანა** შეცვლის, ბენდერს გამოჯანმრთელებული **სებასტიან კელი**, გროსკროიტცს კი, სავარაუდოდ, ან **ტამაშ ჰაინალი**, რომელიც 4-2-3-1 სქემაში ცენტრალური შემტევი ნახევარმცველის ადგილს დაიკავებს, ანაც **ნელსონ ვალდესი**. გოლეადორმა **ლუკას ბარიოსმა** დისკვალიფიკაცია მოიხადა და ძირითად შემადგენლობაში ბრუნდება.

„ლევერკუზენი" ისევ დაუმარცხებელია, მაგრამ ლიდერობა დაკარგა და ახლა უკვე მდევრის რანგშია. სამაგიეროდ, „ფარმაცევტებს" ფრეები აქვთ უხვად და სხვათა შორის, მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** თქვა, ამ სეზონში არც ერთი თამაში რომ არ წაგვეგოთ და მეორე ადგილზე გავიდეთ, ესეც კარგი შედეგი იქნებოდაო. მოკლედ, „ბაიერი" უამბიციო გუნდია - სხვა დასკვნას ვერ ვაკეთებთ. „ფარმაცევტები" დღეს ნიურნბერგში ჩადიან, სადაც ორი კვირის წინ „ბაიერნმაც" კი ვერ მოიგო (1:1). „ნიურნბერგის" პრობლემა ის არის, რომ ფრანკებს თავიანთი მთავარი გოლეადორი, **ბუნიაკუ** (11 გოლი მიმდინარე სეზონში) არ ეყოლებათ. ალსანიშნავია ისიც, რომ „ლევერკუზენისა" და ზოგადად ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო ბომბარდირი **შტეფან კისლინგი** ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს - მან ფეხი ხომ სწორედ ნიურნბერგში აიდგა. ხვალ საღამოს „ჰოფენჰაიმისა" და „მაინცის" ჯახია - გუნდებისა, რომლებსაც სატურნირო ცხრილის შუაში მშვიდად სძინავთ.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 24 | 15 | 7 | 2 | 50-20 | 52 |
| 2. ლევერკუზენი | 24 | 13 | 11 | 0 | 50-20 | 50 |
| 3. შალკე | 24 | 14 | 6 | 4 | 36-18 | 48 |
| 4. ჰამბურგი | 24 | 10 | 10 | 4 | 43-26 | 40 |
| 5. ბორუსია (დ) | 24 | 11 | 6 | 7 | 36-32 | 39 |
| 6. ვერდერი | 24 | 10 | 8 | 6 | 48-29 | 38 |
| 7. აინტრახტი | 24 | 9 | 8 | 7 | 31-32 | 35 |
| 8. შტუტგარტი | 24 | 9 | 7 | 8 | 34-31 | 34 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 24 | 9 | 5 | 10 | 34-29 | 32 |
| 10. მაინცი | 24 | 8 | 8 | 8 | 27-32 | 32 |
| 11. ვოლფსბურგი | 24 | 8 | 7 | 9 | 41-45 | 31 |
| 12. ბორუსია (მ) | 24 | 8 | 6 | 10 | 34-39 | 30 |
| 13. ბოხუმი | 24 | 6 | 9 | 9 | 25-38 | 27 |
| 14. კიოლნი | 24 | 6 | 8 | 10 | 21-31 | 26 |
| 15. ფრაიბურგი | 24 | 5 | 5 | 14 | 22-45 | 20 |
| 16. ნიურნბერგი | 24 | 4 | 6 | 14 | 19-40 | 18 |
| 17. ჰანოვერი | 24 | 4 | 5 | 15 | 25-46 | 17 |
| 18. ჰერტა | 24 | 3 | 6 | 15 | 21-44 | 15 |

სკანდალის ახალი დეტალები

# მსაჯი წერდა: იმედია, ბაიერნი გავარდება და მაგრად მოვილხენთ!



მიხაელ კემპტერი და მანფრედ ამერელი. რომელია მათ შორის მსხვერპლი, ამას სასამართლო გაარკვევს

გუშინ გერმანიაში **მანფრედ ამერელის** პროცესი დაიწყო. როგორც იცით, 63 წლის ყოფილ ფუნქციონერს, რომელიც გერმანიის საფეხბურთო კავშირის სამსაჯო კომისიის მდივანი გახლდათ, რამდენიმე მსაჯმა სექსუალური ძალადობის მცდელობაში დასდო ბრალი. ამერელი პოსტიდან გადადგა და თავს დამნაშავედ არ ცნობს. პირიქით, ის აცხადებს, რომ თვითონ არის მსხვერპლი.

ამერელმა სასამართლო პროცესის პირველივე დღეს განაცხადა, რომ ის ბისექსუალია და თანაც, გამოამზეურა ორი წლის წინანდელი ტექსტური შეტყობინებები და ელექტრონული წერილები, რაც მან ახალგაზრდა არბიტრ **მიხაელ კემპტერისგან** მიიღო. წერილებში კემპტერი ამერელს სიყვარულს ეფიცება და მას საყვარელს უწოდებს.

რატომ ლაპარაკობს კემპტერი სექსუალური ზეწოლის მცდელობაზე, თუკი ის ამერელს ასეთი შინაარსის წერილებს სწერდა? *„ვერ წარმოიდგენთ, როგორ ტერორში ვყავდი მანფრედ ამერელს,* - ამბობს 27 წლის მსაჯი, - *წერილის ბოლოს უბრალოდ რომ დამეწერა „საუკეთესო სურვილებით, მიხაელი", მაშინვე ბრაზდებოდა და მემუქრებოდა, არც ერთ მატჩზე აღარ გამსაჯებო. მეც იძულებული ვიყავი, რომ ასეთი შინაარსის წერილები მეწერა. თუმცა მე მასთან სექსი არ მქონია. რა სისულელეა, მე ჩვეულებრივი ორიენტაცია მაქვს. უბრალოდ, კარიერის გამო იძულებული ვიყავი, მისთვის წერილებით სიყვარული ამეხსნა. ამერელი მეც და სხვებსაც გვატერორებდა და ამისთვის პასუხს აგებს."*

ამავდროულად, ერთ-ერთ ელექტრონულ წერილში (2007 წლის 11 აპრილი) კემპტერი ამერელს წერს: *„სალამი საყვარელო! მოუთმენლად ველოდები „ბაიერნისა" და „მილანის" მატჩს. იმედია, მიუნხენელები გავარდებიან და მერე მაგრად მოვილხენთ!"*

„ბაიერნი" მართლაც გავარდა, მაგრამ ამერელი ამბობს, რომ მას ეს კემპტერთან არ აღუნიშნავს. *„ჩემი აზრით, არ შეიძლება, რომ გერმანელი მსაჯი ევროტურნირებზე გერმანული კლუბის წინააღმდეგ იყოს. საერთოდად, არბიტრი არ უნდა ამჟღავნებს თავის სიმპათია თუ ანტიპათიას რომელიმე კლუბის მიმართ. იმედია, ყველა მალე მიხვდება, რომ მსხვერპლი კემპტერი კი არ არის, მე ვარ, ის კი დამნაშავეა, უდანაშაულო ადამიანს სექსუალურ ძალადობაში რომ მადანაშაულებს,"* - ამბობს ამერელი.

გუშინ კემპტერს, წესით, მეორე ბუნდესლიგის მატჩი (უნიონი-დუისბურგი) უნდა ემსაჯა, მაგრამ ბოლო მომენტში მოხსნეს. ფაქტია, რომ ამ სკანდალში ბოლო სიტყვა ჯერ კიდევ არ თქმულა.

**გოტფრიდ ლენცი**

ინგლისი · პრემიერლიგა. XXIX ტური

# ლიდერი ნახევარი საათით?

| დღეს | |
|---|---|
| არსენალი-ბარნლი | 19:00 |
| ვესტ ჰემი-ბოლტონი | 19:00 |
| ვულვზი-მანჩესტერ იუნ | 21:30 |
| **ხვალ** | |
| ევერტონი-ჰალი | 20:00 |
| **ზეგ** | |
| უიგანი-ლივერპული | 00:00 |

*სხვა მატჩები გადაიდო*

დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი" ვულვერჰემპტონში თამაშობს, თუმცა უპირველესი ცნობა, რომელმაც მანჩესტერელთა ბანაკიდან დედამიწა გუშინ შუადღისას მოირბინა, თამაშს არ ეხებოდა. ის ასეთი გახლდათ: ვეტერანმა ფორვარდმა **მაიკლ ოუენმა** ორთავა კუნთზე ოპერაცია უნდა გაიკეთოს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ამ სეზონში ვის „შემადგენლობის როტაცია" ენოდებინა, მაგრამ არ გამოუვიდა.

დღეს ინგლისური გაზეთები წერენ, რომ სუსტი შემადგენლობის გამოყვანა „იუნაიტედს" უწევს - ინგლისის ჩემპიონს მომდევნო ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა ელის „მილანთან" და ძალების დაზოგვაა საჭირო. თუმცა, ფერგიუსონი ისეთი გულუბრყვილო არ არის, „ვულვზის" შესაძლებლობები არად ჩააგდოს და დაავიწყდეს, რომ მაკარტის გუნდმა ამ სეზონში შინ „ლივერპულსა" და „ასტონ ვილასთან" ფრედ ითამაშა, „ტოტენჰემს" მოუგო, „ჩელსისთან" კი ფეხბურთის ასოციაციის თასზე მართალია დამარცხდა, მაგრამ ძალიან ყოჩაღად ითამაშა. ცნობისათვის: თუ ამ შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედი" დამარცხდება, ეს მისი მე-100 წაგება იქნება პრემიერლილით ჩამორჩნენ, თუმცა 7 კვირაში ვენგერის რაზმი ისევ მაღლა იყო და ტიტულის მოპოვებაზე აცხადებდა პრეტენზიას. თებერვალში „არსენალს" კვლავ დაუცდა ფეხი - „მანჩესტერ იუნაიტედთან" და „ჩელსისთან" წაგებებმა გუნდი ამჯერად 9 ქულით ჩამოარჩინა - მთელ ინგლისს ეგონა, რომ ჩემპიონატის დარჩენილი ნაწილი „ორი ცხენის დოლად" იქცა, მაგრამ ვენგერის ბიჭები კვლავ აღზევდნენ, რაშიც, „იუნაიტედისა" და „ჩელსის" მოულოდნელმა ფეხის დაცდენებმაც ითამაშა თავისი როლი. ლონდონელთა მცველმა **გაელ კლიშიმ** ორიოდ დღის წინ ასეთი ინტერვიუ მისცა:

*„ხალხი ამბობდა, რომ „არსენალი" ძლიერი გუნდი არ არის და ჩემპიონობისთვის ბრძოლას ველარ შეძლებდა, მაგრამ ჩვენ საკუთარი თავისა გვწამს*



არსენალმა შეიძლება ჩელსის დღეს ნახევარი საათით გადაასწროს

ველარ ითამაშებს. ეს ამბავი საზოგადოებას თავად „იუნაიტედის" მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** შეატყობინა. ოუენს ფეხი გასულ კვირა დღეს, „უემბლიზე", ლიგის თასის ფინალში, „ასტონ ვილასთან" შეხვედრისას უტკენია, თუმცა საქმე ამდენად სერიოზულად რომ იყო, გუშინღა გახდა ცნობილი. რასაკვირველია, ამ ტრავმამ ევროპის 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის ისედაც შემცირებული შანსი საერთოდ მოუსპო.

*„ეს, რასაკვირველია, დიდი დარტყმაა, - ბრძანა სერ ალექსმა, - სამწუხაროდ, ყველაფერი გაცილებით სერიოზული გამოდგა, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ოუენს ოპერაციას კვირას დილით გაუკეთებენ. მთელი სეზონის განმავლობაში მაიკლს ერთი ვარჯიშიც კი არ გაუცდენია. რასაკვირველია, რაც მოხდა, უიღბლობის ამბავია, მაგრამ მასში „უემბლის" რბილმა გრუნტმაც შეიტანა თავისი წვლილი".*

ახლა კი „ვულვზისა" და „იუნაიტედის" დღევანდელ შეხვედრას დავუბრუნდეთ. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები ბოლოს ამ სეზონში „ოლდ ტრეფორდზე" შეხვდნენ ერთმანეთს, „იუნაიტედმა" 3:0 მოიგო და ეს სწორედ ის შეხვედრა გახლდათ, რომლის გამოც ვულვერჰემპტონელები 25 ათასი ფუნტით დააჯარიმეს - **მიკ მაკარტიმ** ძლიერ მეტოქესთან (რომელიც ისედაც გაიმარჯვებდა) ფაქტობრივად სათადარიგო შემადგენლობა ათამაშა. ფეხბურთის ასოციაციამ ეს დანებებად და ბრძოლისთვის თავის არიდებად მიიღო, მაკარტიმ კი სცადა თავისი საქციელისთგაში, თუმცა, წესით, „საიუბილეო მარცხი" მომდევნო ტურებისთვის გადაიდება. და კიდევ, ბოლოს ეს გუნდები ვულვერჰემპტონში 2004 წელს შეხვდნენ ერთმანეთს და იმ შეხვედრაში მასპინძლებმა 1:0 მოიგეს. ერთი სიტყვით, ინგლისის ჩემპიონს მაინც სიფრთხილე უჯობს.

„ჩელსი" ამ ტურს ტოვებს, თუმცა რაკილა პრემიერლიგის ამბებს მიმოვიხილავთ, ბარემ ვიტყვით, რომ დასავლეთლონდონელებს პორტუგალიელი მცველი **ჟოზე ბოსინგვა** ისე დაუშავდათ, რომ ოუენის მსგავსად საბრალო მთელ სეზონს გამოტოვებს და ვერც მსოფლიოს ჩემპიონატზე გაეშურება. ბოსინგვას მუხლზე ხელმეორე ოპერაცია სჭირდება.

დღეს „არსენალი" „ბარნლის" მასპინძლობს. საოცარი გუნდი ჰყავთ ჩრდილოლონდონელებს, ამ სეზონში უკვე მეორედ აღდგა ფერფლიდან - დღეს, ჩემპიონატის დასრულებამდე 9 ტურით ადრე, ისევ არის შანსი იმისა, რომ „მეთოფენი" ცხრილს სათავეში მოექცნენ. მეტიც, „არსენალს" ნახევარი საათით დღესაც შეუძლია პრემიერლიგის სათავეში მოქცევა. საქმე ის გახლავთ, რომ **არსენ ვენგერის** გუნდი საქართველოს დროით 19 საათზე თამაშობს, „მანჩესტერ იუნაიტედი" კი საღამოს ათის ნახევარზე გააგორებს ბურთს. თუმცა ხუმრობა გვერდით იყოს და, ის, რასაც მიმდინარე ჩემპიონატში „არსენალი" აკეთებს, მართლა საოცრებაა.

პირველი ჩაფლავება „მეთოფეებს" ნოემბრის ბოლოს ჰქონდათ, როდესაც შინ „ჩელსისთან" 3:0 წააგეს და 11 ქუ-

*და მდგომარეობა გამოვასწორეთ. კარგად ვიცით, რომ ჩვენთან საუცხოო ფეხბურთელები თამაშობენ - სწორედ ეს არის მთავარი. რასაკვირველია, როდესაც ლიდერს 11 ქულით ჩამორჩები, საკუთარ თავს ჰკითხავ: შევძლებ კი ამ მდგომარეობიდან გამოსვლას? მაგრამ გადის რამდენიმე კვირა და ხედავ, რომ გუნდი ისევ ტიტულისთვის იბრძვის. ეს შესანიშნავი გრძნობაა. ერთი სიტყვით, ამ სეზონში „არსენალმა" მტკიცე ხასიათი გამოავლინა და, ერთხელაც გავიმეორებ, ასეთი ფეხბურთელებით, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონობისთვის რეალურად ვიბრძოლებთ".*

ამ ტურში ბევრი თამაში გადაიდო. კერძოდ, არ გაიმართება „მანჩესტერ სიტისა" და „ტოტენჰემის", „ასტონ ვილა"-"სანდერლენდის", „ფულჰემი"-"სტოკ სიტისა" და სხვა შეხვედრები.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 28 | 19 | 4 | 5 | 65-26 | 61 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 28 | 19 | 3 | 6 | 66-24 | 60 |
| 3. არსენალი | 28 | 18 | 4 | 6 | 66-31 | 58 |
| 4. ტოტენჰემი | 28 | 14 | 7 | 7 | 50-27 | 49 |
| 5. მანჩესტ. სიტი | 27 | 13 | 10 | 4 | 52-35 | 49 |
| 6. ლივერპული | 28 | 14 | 6 | 8 | 45-28 | 48 |
| 7. ასტონ ვილა | 26 | 12 | 9 | 5 | 37-21 | 45 |
| 8. ბირმინგემი | 27 | 11 | 7 | 9 | 26-28 | 40 |
| 9. ფულჰემი | 28 | 10 | 8 | 10 | 32-29 | 38 |
| 10. ევერტონი | 27 | 10 | 8 | 9 | 39-39 | 38 |
| 11. სტოკი | 27 | 8 | 10 | 9 | 27-32 | 34 |
| 12. ბლეკბერნი | 28 | 9 | 7 | 12 | 30-45 | 34 |
| 13. ვესტ ჰემი | 27 | 6 | 9 | 12 | 35-43 | 27 |
| 14. სანდერლენდი | 27 | 6 | 9 | 12 | 32-44 | 27 |
| 15. ბოლტონი | 27 | 6 | 8 | 13 | 30-49 | 26 |
| 16. უიგანი | 27 | 6 | 7 | 14 | 26-53 | 25 |
| 17. ვულვზი | 27 | 6 | 6 | 15 | 21-45 | 24 |
| 18. ჰალი | 27 | 5 | 9 | 13 | 25-54 | 24 |
| 19. ბარნლი | 27 | 6 | 5 | 16 | 28-57 | 23 |
| 20. პორტსმუთი | 27 | 5 | 4 | 18 | 23-45 | 19 |

მანჩესტერ სიტი



შონ რაიტ-ფილიპსი

# მამის ჩივილი

„არსენალის" ლეგენდამ და საგაზეთო მესვეტე **იან რაიტმა** „მანჩესტერ სიტის" მისი გერის, **შონ რაიტ-ფილიპსის** „გაქურდვაში" დასდო ბრალი - ვეტერანი რაიტ-ფილიპსის საკონტრაქტო მოლაპარაკებების ჩაშლამ გააბრაზა. საქმე ასეა: 28 წლის ნახევარმცველს, რომელმაც ოთხშაბათს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ეგვიპტეს გოლი გაუტანა, ისტლენდზე კარიერის დასრულებამდე სურს დარჩენა, თუმცა კლუბის აღმასრულებელ შეფ **გერი კუკთან** და საფეხბურთო საქმეთა ადმინისტრატორ **ბრაიან მერვუდთან** ვერაფრით მოილაპარაკა. შეგახსენებთ, რომ რაიტ-ფილიპსი 2005-08 წლებში „ჩელსიში" თამაშობდა, თუმცა შემდეგ 8,5 მილიონ გირვანქად ისევ მშობლიურ „სიტიში" დაბრუნდა. რაიტი ჩივის:

*„კლუბი მას ისე ექცევა, გეგონება შონი საყმაწვილო გუნდის მოთამაშე იყოს. კუკმა და მერვუდმა მას გუნდში უხმეს. ისიც მზადაა, დარჩენილი კარიერა „სიტიში" გაატაროს და ამიტომ, დროა, კონტრაქტის შესახებ მოლაპარაკება შედგეს. სულ მალე მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება და ბიჭი ტურნირზე დამშვიდებული უნდა წავიდეს. „სიტის" მხრიდან არასწორია შონისადმი ისეთი მიდგომა, თითქოს ის კლუბში მოწყობისთვის თავს იკლავდეს. მან თავისი თანხმობა მანამდე თქვა, სანამ საერთოდ ფულზე ლაპარაკს დაიწყებდნენ. არ ვარ დარწმუნებული, კუკსა და მერვუდს კარგად ჰქონდეთ გააზრებული, რას აკეთებენ. შონი მოედანზე გასვლას ტრავმირებულიც კი არ გაურბის. ამბობს - თუ გუნდს ვჭირდები, ვითამაშებო. ის „სიტის" ერთგულად ემსახურება, კლუბი კი თითქოს მის გარიყვას ლამობს. ამ ყველაფერს კიდევ ერთი პრობლემა ერთვის - შონი ასე ფორმას დაკარგავს და ინგლისის ნაკრებში, შესაძლოა, სათადარიგოთა სკამზეც კი აღარ დასვან. ხომ ნახეთ, ეგვიპტესთან შეხვედრაში ის შეცვლაზე შეიყვანეს, მაგრამ მაინც შეძლო გოლის გატანა. რომ ვუყურებდი, მეგონა, იტირებდა".*

საინტერესო რამ უთხრა ინგლისურ ტაბლოიდებს „მანჩესტერ სიტის" მავანმა თანამშრომელმა, რომელიც მოვლენებს ყოველდღიურად შიგნიდან აკვირდება:

*„შონს აშკარად სურს, კლუბს კარიერის დარჩენილი ნაწილი მიუძღვნას, გერი კუკი და ბრაიან მერვუდი კი, თითქოს, მისი დარჩენით აღარ არიან დაინტერესებულნი. რაიტ-ფილიპსი აშკარად გულგატეხილია".*

სატრანსფერო ამბები

# წაბრძანდი, ბატონო!

**ჯო კოული** შიშობს, რომ „ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩთან** ურთიერთობის გაფუჭება, შესაძლოა, ზაფხულში გუნდიდან წასვლად დაუჯდეს. საქმეში ჩახედული ადამიანები ჰყვებიან, რომ კოულმა და მისმა აგენტებმა რუსი ოლიგარქი ხელფასის ჯიუტი მოთხოვნით გააკვირვეს. ისინი თურმე დაიმუქრნენ კიდეც - რასაც ჩვენ ვითხოვთ, იმას თუ არ დაგვინიშნავთ, კოული გუნდიდან წავაო.

ამგვარმა მიდგომამ უკუშედეგი გამოიღო. აბრამოვიჩს მიაჩნია, რომ 28 წლის ფეხბურთელი კვირაში 100 ათას გირვანქაზე მეტს არ იმსახურებს. ეს შეხედულება კამჩატკის ყოფილ გუბერნატორს „ლურჯების" ახალმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმაც** გაუმტკიცა - რაც გუნდს სათავეში იტალიელი უდგას, ჯო კოული ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი ნამდვილად არ არის. მოგეხსენებათ, კოულის დაბრკოლებას მძიმე ტრავმამაც შეუწყო ხელი. სწრაფ ინგლისელ ჰავბეკს მუხლის ტრავმამ 9 თვე გამოატოვებინა.

ახლა ასეთი ვითარებაა: კოულს „ჩელსიში" გატარებული 7 წარმატებული წლის შემდეგ სხვა გუნდში გადასვლა არ სურს, მაგრამ ბოლო დროს რამდენჯერმე დაწყებული მოლაპარაკებები ყოველ ჯერზე ჩიხში შედის. ვარსკვლავს, რომლის დღევანდელი ჯამაგირიც 80 000 ფუნტია, ეჭვი არ არის, ზაფხულში ბევრი მსურველი გამოუჩნდება, მით უფრო, რომ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთლონდონელებთან კონტრაქტი არ განაახლა, თავისუფალი აგენტი გახდება. შეგვიძლია მსურველთა სიაც ჩამოვწეროთ - „ტოტენჰემი" (რომლის თავკაცი **ჰარი რედნაპი** კოულის დიდი თაყვანისმცემელია და მასთან ყმაწვილკაცობაში „ვესტ ჰემში" უმუშავია), „მანჩესტერ იუნაიტედი", „ლივერპული" და „მანჩესტერ სიტი".

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



კარლო ანჩელოტი ჯო კოულს ნაკლებად სწყალობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ისტორია

# საუკეთესო... მტრები

თურმე, ენდი კოულს მთელი 15 წლის განმავლობაში ეზიზღებოდა **ტედი შერინგემი**... ამის შესახებ „მანჩესტერ იუნაიტედის" დიდი გუნდის ფორვარდმა ახლალა უამბო საზოგადოებას. არადა, კოულისა და შერინგემის წყვილმა მთელი ოთხი წელიწადი ითამაშა მხარდამხარ. ერთად მათ მეტოქეთა კარში 54 გოლი გაიტანეს. ორივე მონაწილეობდა 1999 წლის ფანტასტიკურ გამარჯვებაში, როცა სერ **ალექს ფერგიუსონის** ხელმძღვანელობით გუნდმა ეგრეთ წოდებული „ტრებლი" მოიგო - ერთ სეზონში დაეუფლა ინგლისის ჩემპიონის ტიტულს, საფეხბურთო ასოციაციის თასსა და ჩემპიონთა თასს. და მთელი ამ ხნის განმავლობაში კოულსა და შერინგემს ერთმანეთისთვის გადაბრუნებული სიტყვაც კი არ... თუმცა, რა გადაბრუნებული, საერთოდ სიტყვა არ უთქვამთ.

38 წლის ენდი კოული: *„1996 წელს ნილ რადოკმა ორ ადგილას მომტეხა ფეხი. ჰოდა, მირჩევნია სუფრას რადოკთან ერთად მივუჯდე, ვიდრე ტედი შერინგემთან. ეს კაცი უკვე 15 წელიწადია მეზიზღება. ჩვენ ოთხი წლის განმავლობაში ერთმანეთის მხარდამხარ ვთამაშობდით, ბევრი გოლიც შევყარეთ, მაგრამ ერთხელაც არ გამოვლაპარაკებივარ. შერინგემს საერთოდ არ ველაპარაკები".*

...და ამის მიუხედავად, „სანმა" შერინგემისგან შეიტყო, რომ ამ დღეებში კოულმა მას ხელი ჩამოართვა. 43 წლის შერინგემს გაუკვირდა: *„რას ამბობთ? ეს იმავე ენდი კოულმა თქვა, რომელიც ამას წინათ პაბში შემხვდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა, რომ ძველ დროსთან შედარებით ძალიან გაიზარდა, დალვინდა და იმედოვნებს, რომ აღარც მე ვარ ძველი ტედი შერინგემი? მას მრავალჯერ გამოუწვდია ხელი და მე ის ჩამომირთმევია".*

სიძულვილის ამბავი კი 1995 წელს დაიწყო, როცა ინგლისისა და ურუგვაის ნაკრებთა შეხვედრაში კოულმა შერინგემი შეცვალა - „ნიუკასლის" ყოფილ მოთამაშეს იმ დღეს ეროვნულ გუნდში დებიუტი ჰქონდა, ძალიან ღელავდა, ტედის კი, როგორც ჩანს, ეს ჩირადაც არ ულირდა და მოედნიდან რომ გამოდიოდა, დებიუტანტს გაწვდილი ხელი არ ჩამოართვა. ისედაც აღელვებულმა კოულმა თვალებს არ დაუჯერა - ვერ წარმოედგინა, ასე თუ მოექცეოდნენ. იმავე 1995 წელს ენდი კოული „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა, სადაც 2001 წლამდე, „ბლექბერნში" გადასვლამდე დაყო, ხოლო 1997-ში ფერგიუსონმა „იუნაიტედში" შერინგემიც მიიყვანა.

ასე მოუხდა კოულს შერინგემთან ერთად ერთ გუნდში თამაშის ატანა, არადა, ურუგვაის ნაკრებთან მომხდარი დღემდე თვალწინ უდგას: შეხვედრის დასრულებამდე 20 წუთი რჩებოდა. ის გვარიანად შეშინებული გახლდათ და თუ რამეს არ ელოდა, ეს „ტოტენჰემის" ლეგენდისგან ცხვირის აბზუება იყო - მოედნიდან გამოსვლისას ხელის ჩამორთმევა ხომ ძალიან ჩვეულებრივი რამ გახლავთ.

*„მე მოედანზე ფეხი შევდგი, 60 ათასი კაცი ტრიბუნიდან მიყურებდა და დაძაბული ველოდი ხელის დაკვრას, სიტყვებს „აბა, შენ იცი, კოულ!" ან რამე ამგვარს. შინაგანად ამისთვის მოვემზადე, ხელი ჩამოსართმევად გავამზადე, მან კი არაფრად ჩამაგდო. ზედაც არ შემომხედა და რაც ყველაზე საინტერესოა, საამისოდ არანაირი მიზეზი არ ჰქონდა. პირველი, რაც იმ მომენტში გავიფიქრე, ეს იყო: „ღმერთო, დიდებულო, რამდენმა ათასმა ქომაგმა დაინახა, რომ ტედიმ არაფრად ჩამაგდო". მე დაზაფრული დავრჩი. იმ წუთიდან ნათელი გახდა, რომ ეს ადამიანი ჩემთვის აღარ არსებობდა".*

**ილია ბაბუნაშვილი**



აკი მეზიზღებოდა?!

იტალია

სერია A XXVII ტური

# მდევართა ჯახი ოლიმპიკოზე

| დღეს | |
|---|---|
| ფიორენტინა-იუვენტუსი | 21:00 |
| რომა-მილანი | 23:45 |
| **ხვალ** | |
| ატალანტა-უდინეზე | 18:00 |
| ბარი-კიევო | 18:00 |
| ბოლონია-ნაპოლი | 18:00 |
| კალიარი-კატანია | 18:00 |
| პალერმო-ლივორნო | 18:00 |
| სამპდორია-ლაციო | 18:00 |
| სიენა-პარმა | 18:00 |
| ინტერი-ჯენოა | 23:45 |

სერია A-ს XXVII ტურის შეხვედრებიდან დღევანდელი პაექრობები აშკარად გამოირჩევა. ფლორენციაში „ფიორენტინა" „იუვენტუსს" მიიღებს, „ოლიმპიკოზე" კი „რომა" „მილანს" დაუხვდება. თავდაპირველად ფლორენციულ მატჩზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

**ჩეზარე პრანდელი** მიიჩნევს, რომ „იუვეს" დამარცხებით მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსს შეინარჩუნებს. ჯერ მოვუსმინოთ „ვიოლას" თავკაცს და შემდეგ გუნდებში არსებულ ვითარებას გადავხედოთ:

*„ვიყოთ რეალისტები და ვაღიაროთ, რომ ეს ერთ-ერთი ბოლო შესაძლებლობაა, შევინარჩუნოთ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი. ჩემი შეგირდები მობილიზებულნი არიან და უდიდესი მოტივაცია ამოძრავებთ, რაც იმედს მაძლევს, რომ სამი ქულა სწორედ ჩვენ დაგვრჩება. „იუვენტუსი" ძლიერი მეტოქეა, მაგრამ არა იმდენად, რომ მისი დამარცხება ვერ შევძლოთ. აუცილებლად შევუტევთ და შევეცდებით, მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს".*

თავად პრანდელი ამბობს, რომ შემტევ სტრატეგიას აირჩევს. აი, რაც შეეხება ტაქტიკას, თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, 4-2-3-1-ზე უნდა შეაჩეროს არჩევანი. ცენტფორვარდის პოზიციაზე **ალბერტო ჯილარდინო** ითამაშებს, მის პასებით მომარაგებაზე კი ერთბაშად სამი ფეხბურთელი იზრუნებს: **ხუან მანუელ ვარგასი, სტევან იოვეტიჩი** და **მარკო მარკიონი**. საყრდენის პოზიციაზე **დონადელი** და **მონტოლივო** გაირჯებიან და ვნახოთ, როგორ წარმოაჩენენ თავს.

**ბუფონის** გარეშე უწევს ასპარეზობა „იუვენტუსს", რომელმაც მიჯრით მოგებული შეხვედრების შემდეგ, საკუთარ მოედანზე „პალერმოსთან" წააგო და მეოთხე ადგილი სიცილიურ კლუბს გადაულოცა. სამაგიეროდ, დაბრუნდა **ვინჩენცო იაკვინტა**, რომელიც მთელი ოთხი თვის განმავლობაში გადიოდა მკურნალობის კურსს. ვინჩენცო სავარაუდოდ სათადარიგოთა სკამზე იქნება და შესაძლოა, მეორე ნახევარში ჩაერთოს თამაშში. იაკვინტაზე „იუვეს" ტიფოზები დიდ იმედებს ამყარებენ და ვნახოთ, რამდენად გაამართლებს ახმახი ფორვარდის გაცემულ ავანსებს.

**ალბერტო ძაკერონი** ორი ფორვარდით შეუტევს, ერთი **ალესანდრო დელ პიერო** იქნება, ხოლო მეორე **დავიდ ტრეზეგე**. ძირითადში იქნება **დიეგო რიბასიც**, ისევე როგორც **კლაუდიო მარკიზიო, პაოლო დე ჩელიე, მოჰამედ სისოკო** და **ფელიპე მელო**. ძაკერონის ერთი რამ აღარდებს, ფეხბურთელთა უმეტესობამ სანაკრებო მატჩებში მიიღო მონაწილეობა და შესაძლოა, გადაღლილობის პრობლემამ იჩინოს თავი: *„გამიჭირდება იმის თქმა, რამდენად კარგად არის გუნდი მზად ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრის გასამართად. სამწუხაროდ, სანაკრებო პაექრობები არცთუ ხელსაყრელ დროს გაიმართა, რაც ძალიან მაფიქრებს. მიუხედავად ამისა, ოპტიმისტად ვრჩები და ვფიქრობ, რომ სამი ქულის აღება სავსებით ხელგვეწიფება".*

სავარაუდო შემადგენლობები

**ფიორენტინა:** ფრეი - კომოტო, ფელიპე, კროლდრუპი, პასკუალი - დონადელი, მონტოლივო - მარკიონი, იოვეტიჩი, ვარგასი - ჯილარდინო.

**იუვენტუსი:** მანინგერი - ლეგროტალიე, კანავარო, კიელინი - სისოკო, ფელიპე მელო, დე ჩელიე, მარკიზიო - დიეგო - დელ პიერო, ტრეზეგე.

ტურის ცენტრალური შეხვედრა უდავოდ რომში გაიმართება, სადაც ჩემპიონატის მეორე და მესამე გუნდები წარდგებიან ერთმანეთის პირისპირ. **კლაუდიო რანიერის ფრანჩესკო ტოტის** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა, სამაგიეროდ, **ლუკა ტონი** უბრუნდება და სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაშიც დააყენებს. „ბაიერნის" ექსფორვარდი **მირკო ვუჩინიჩს** შეუწყვილდება და მასთან ტანდემს შექმნის. ნახევარდაცვაში ნაცადი ოთხეული გაირჯება: **დავიდ პისარო, სიმონე პეროტა, დანიელე დე როსი, როდრიგო ტადეი**. ამჯერად სათადარიგოთა სკამზე დარჩება **ჟულიო ბაპტიშტა** და თუ საჭირო გახდა, მეორე ნახევარში ჩაერთვება თამაშში. რანიერი ოპტიმისტურად არის განწყობილი, რაც მისი კომენტარიდან კარგად ჩანს:

*„ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტია, რადგან ერთმანეთის პირისპირ ორი დიდი გუნდი წარდგება. მეტოქეს კარგად ვიცნობთ და შევეცდებით, მათი მინუსები გამოვიყენოთ. „მილანს" ბურთზე კონტროლის დაწესების საშუალება არ უნდა მივცეთ, რაც პრესინგით და მჭიდრო თამაშით გახლავთ შესაძლებელი. თუ ჩემი შეგირდები დავალებებს კარგად შეასრულებენ, ვფიქრობ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება".*

**ლეონარდოს კლარენს ზეედორფის, ალეშანდრე პატოს** და **ჯენარო გატუზოს** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. პირველ ორს ტრავმა აქვთ, მესამე კი დისკვალიფიცირებული გახლავთ. სამაგიეროდ, ბრუნდება **ამანტინი მანსინი** და დიდია შანსი, ყოფილ კლუბს პირველივე წუთებიდან შეერკინოს. ბრაზილიელი მარჯვენა ფლანგიდან შეუტევს, მისი თანამემამულე **რონალდინიო** მარცხნიდან, ცენტრფორვარდის ფუნქციებს კი **მარკო ბორიელო** იტვირთებს. ნახევარდაცვაში **ანდრეა პირლოსა** და **მასიმო ამბროზინისთან** ერთად ან **მატიო ფლამინი** გაირჯება, ანაც **დევიდ ბექჰემი**. უფრო ძვირად ინგლისელის შანსები ფასობს, თუმცა არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ სასტარტოში ფრანგი შუახაზელი მოხვდება. სამწუხაროდ, „გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, კვლავ განაცხადს მიღმა რჩება **კახა კალაძე** - დაცვის ცენტრში **ალესანდრო ნესტა** და **ტიაგო სილვა** გაირჯებიან, ფლანგებზე კი **დანიელე ბონერა** და **მარეკ იანკულოვსკი**. დიახ, სწორედ ჩეხს უწინასწარმეტყველებენ მარცხენა ფრთაზე თამაშს და ვნახოთ, რამდენად გამართლდება ეს პროგნოზი.

სავარაუდო შემადგენლობები

**რომა:** ჟულიო სერჟიო - ბურდისო, მექსე, ჟუანი, რიისე - პისარო, დე როსი, ტადეი, პეროტა - ვუჩინიჩი, ტონი.

**მილანი:** აბიატი - ბონერა, ტიაგო სილვა, ნესტა, იანკულოვსკი - პირლო, ამბროზინი, ბექჰემი - რონალდინიო, მანსინი - ბორიელო.

ტურის უკანასკნელი შეხვედრა „ჯუზეპე მეაცაზე" გაიმართება, სადაც „ინტერი" „ჯენოას" უმასპინძლებს. **ჟოზე მოურინიო** დისკვალიფიცირებულია, თუმცა არა გვგონია პორტუგალიელ სპეციალისტს ეს დიდად აღელვებდეს. ჟოზე იმდენად ხშირად ზის ტრიბუნებზე, რომ ვფიქრობთ, უკვე მიეჩვია კიდეც.

„ინტერი" ტრადიციული ტაქტიკით, 4-3-1-2-ით ითამაშებს. სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ **მარიო ბალოტელის**. ფერადკანიანი ფორვარდი **დიეგო მილიტოს** შეუწყვილდება, **გორან პანდევი** და **სამუელ ეტოო** კი სათადარიგოთა სკამზე დარჩებიან. გამთამაშებელი **ვესლი სნეიდერი** იქნება, მის უკან კი **სალი მუნტარი, დეიან სტანკოვიჩი** და **ტიაგო მოტა** გაირჯებიან. **ხავიერ ძანეტის** თქმით, ამას იქით, თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს:

*„ჩემპიონატი დასკვნით ფაზაში შედის და თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. „ჯენოა" ძლიერი გუნდია და არაფერს დათმობს, დიდი ძალებით დაიცავს თავს და კონტრშეტევებზე შეეცდება ხეირის ნახვას. ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ და ვეცადოთ, რომ მეტოქე სწრაფი გოლით გავტეხოთ. დაუგეგმავი ქულები დავკარგეთ და მდევრებს მოახლოების საშუალება მივეცით, ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. ჟურნალისტები ხშირად „ჩელსისთან" განმეორებით პაექრობაზე მეკითხებიან, მე კი ყოველთვის ვპასუხობ, რომ დღეს მხოლოდ „ჯენოასთან" დაპირისპირებაზე ვფიქრობ".*

გენუური კლუბი მხოლოდ **რობერტ აკვაფრესკას** მოისაკლისებს, რომელიც ტრავმირებული გახლავთ. დანარჩენები მწყობრში არიან და ვნახოთ, რამდენად კარგად დაუდგებიან მრისხანე მეტოქეს. **ჯამპიერო გასპერინი** გვარწმუნებს, რომ ტაქტიკას არ შეცვლის, რაც იმას ნიშნავს, რომ „ჯენოა" „ინტერს" 3-4-3-ით დაუპირისპირდება. შეტევის წინა ხაზზე **სუასო, პალასიო** და **სკული** გაირჯებიან, თუმცა არ არის გამორიცხული, გარემარბებმა დროის უდიდესი ნაწილი დაცვითი ფუნქციების შესრულებას დაუთმონ. ბოლოს სიტყვა გასპერინის გადავცეთ, რომელიც აღიარებს, რომ ფავორიტი „ინტერია":

*„ფავორიტი „ნერაძურია", ეს ფაქტია, მაგრამ უშანსოდ არც ჩვენ ვართ. გვაქვს გარკვეული პლუსები, რომელთა გამოყენებასაც ვაპირებთ. მთელი გუნდით დაცვაში ნამდვილად არ ჩავჯდებით და ვეცდებით, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ. მხოლოდ ასე თუ შევძლებთ „ინტერისთვის" ღირსეული კონკურენციის გაწევას. სამწუხაროა, რომ მოურინიო დისკვალიფიცირებულია, თამაშის შემდეგ სიამოვნებით ჩამოვართმევდი ხელს".*

სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, ძანეტი - ტიაგო მოტა, სტანკოვიჩი, მუნტარი - სნეიდერი - მილიტო, ბალოტელი.

**ჯენოა:** ამელია - პაპასტატოპულოსი, მორეტი, ბოკეტი - როსი, მილანეტო, საპატერი, კრიშიტო - პალასიო, სუასო - სკული.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 26 | 17 | 6 | 2 | 52-22 | 58 |
| 2. მილანი | 26 | 16 | 6 | 4 | 46-26 | 54 |
| 3. რომა | 26 | 15 | 6 | 5 | 45-29 | 51 |
| 4. პალერმო | 26 | 12 | 7 | 7 | 37-31 | 43 |
| 5. იუვენტუსი | 26 | 12 | 5 | 9 | 40-35 | 41 |
| 6. ნაპოლი | 26 | 10 | 11 | 5 | 34-29 | 41 |
| 7. სამპდორია | 26 | 11 | 7 | 8 | 32-32 | 40 |
| 8. კალიარი | 26 | 11 | 5 | 10 | 41-34 | 38 |
| 9. ჯენოა | 26 | 11 | 5 | 10 | 44-43 | 38 |
| 10. ფიორენტინა | 26 | 10 | 5 | 11 | 32-31 | 35 |
| 11. კიევო | 26 | 10 | 5 | 11 | 26-26 | 35 |
| 12. პარმა | 26 | 9 | 6 | 11 | 27-36 | 33 |
| 13. ბარი | 26 | 8 | 8 | 10 | 31-34 | 32 |
| 14. ბოლონია | 26 | 8 | 7 | 11 | 30-36 | 31 |
| 15. კატანია | 26 | 6 | 9 | 11 | 27-31 | 27 |
| 16. უდინეზე | 26 | 7 | 6 | 13 | 32-39 | 27 |
| 17. ლაციო | 26 | 5 | 11 | 10 | 21-28 | 26 |
| 18. ლივორნო | 26 | 6 | 5 | 15 | 17-36 | 23 |
| 19. ატალანტა | 26 | 5 | 6 | 15 | 22-38 | 21 |
| 20. სიენა | 26 | 5 | 5 | 16 | 27-47 | 20 |

**ლაშა წიკლაური**



ზიძინა ზარიათაშვილი წარმოგიდგენთ

# იქ, ამერიკაში...

მექსიკა

# მონტერეის ტიტულის შენარჩუნება შეუძლია

მექსიკის ჩემპიონატი ერთი თვის დაწყებულია და დღეს გვსურს გაგიზიაროთ ჩვენი მოსაზრებები ტურნირის მიმდინარეობის, მისი ფავორიტებისა და აუტსაიდერების შესახებ.

## ფავორიტები

**ჩივასი (24 ქულა).** ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი. ამის საუკეთესო დასტურია 8 ტურში მოპოვებული 8 დამაჯერებელი გამარჯვება!!! მექსიკის ერთადერთი ულეგიონერო კლუბი ახლა ფორმის პიკზეა და უახლოეს მდევარს 5 ქულით უსწრებს, რაც ერთწრიანი პირველობის პირობებში ძალიან დიდი ჰანდიკაპია.

შესანიშნავ ფორმაშია ბომბარდირი **ხავიერ ერნანდესი**, რომელმაც 8 გოლის გატანა მოასწრო და უკვე ორჯერ დასახელდა ტურის საუკეთესო მოთამაშედ. კარგად თამაშობენ **ადოლფო ბაუტისტა** (3 გოლი), **ალბერტო მედინა** და **ექტორ რეინოსო** (2-2).

ის რომ რეგულარულის ჩემპიონი გახდეს, არც ერთ ექსპერტს ალარ გააკვირვებს. თუმცა, არის საშიშროება, რომ გუნდმა არასწორად გაანაწილოს ძალები და პლეი-ოფში ფავორიტის სტატუსით გასულმა, საბოლოოდ ვერ მიაღწიოს საწადელს. მექსიკაში ასეთი მაგალითები მრავლად გვხვდება. უკანასკნელი რეგულარულის მომგებმა „ტოლუკამ" 1/4 ფინალში წააგო „მონტერეისთან" 1:1, 0:2; 2008 სეზონში „სან ლუისმა" 1/4 ფინალში დაუთმო გზა „სანტოსს" („აპერტურა") 1:2, 1:3; „ჩივასმა" კი „მონტერეის" („კლაუსურა") 1:4, 4:4; 2007 წელს 1/2 ფინალში იგივე ბედი ეწია „სანტოსს" - „პუმასთან" 0:3, 4:2...

**მონტერეი (19).** ვფიქრობთ, ჩემპიონს თამამად შეუძლია იფიქროს ტიტულის შენარჩუნებაზე. მართალია, „სარაგოსაში" გაიყიდა ჩილელი ბომბარდირი **უმბერტო სუასო**, მაგრამ მისი ფუნქციები მალევე გადაინაწილეს **აბრახამ დარიო კარენიომ** (5 გოლი) და **ლიონელ მესისთან** ერთად ახალგაზრდული მუნდიალის მომგებმა **ნერი კარდოსომ** (3), რომელსაც ასაკისთვის მოულოდნელად ბევრი ტიტული (8) აქვს მოპოვებული „ბოკა ხუნიორსის" რიგებში. კვლავაც დიდ ძალას წარმოადგენენ ადგილობრივი ნაკრების წევრები **ხესუს არელანო** და **ალდო დე ნეგრისი**. ახლა გუნდმა ფორმის პიკს მიაღწია, ზედიზედ 4 თამაში მოიგო და „კოპა ლიბერტადორესზეც" წარმატებით ასპარეზობს.

**მორელია (16).** გუნდი, რომელიც 8 შეხვედრიდან 6 შემთხვევაში კარს მშრალად შეინახავს და ჯამში მხოლოდ 4 გოლს გაუშვებს, ავტომატურად ფავორიტთა რიცხვში ხვდება. დაუმატეთ ამას მექსიკის ნაკრების 2 გამოცდილი ფორვარდი **მიგელ საბა** (5 გოლი) და **ხარედ ბორგეტი**, კოლუმბიელი ლატერალი **ლუის გაბრიელ რეი** და მიიღებთ სრულ სურათს.

**სანტოსი (15).**

„ოქროს" კიდევ ერთმა პრეტენდენტმა მთლიანად შეინარჩუნა შემადგენლობა. კარში საიმედოა ნაკრების კიპერი **ოსვალდო სანჩესი**, ნახევარდაცვაში **ორიბე პერალტა**, კვლავ ფორმაშია არგენტინული ტრიო **ვალტერ ხიმენესის, ემანუელ „ხაჩიტა" ლუდუენიასა** და **ვისენტე მატიას ვუოსოს** შემადგენლობით, რომელთაგან უკანასკნელიც მექსიკური პასპორტით მიემგზავრება მუნდიალზე.

**პაჩუკა (13).** შემადგენლობისა და გამოცდილების მხრივ, „პაჩუკა" ერთი თავით აღემატება კონკურენტებს. კოლუმბიის ნაკრების მეკარე **მიგელ კალერო**, მექსიკის ეროვნულის შემტევები **ულისეს მენდივილი** (4 გოლი, 2-ჯერ ტურის გმირი) და **კარლოს კაჩო**, გამოცდილ არგენტინელ ნახევარმცველთა დუეტი (**დამიან ალვარესი - დამიან მანსო**, 2 და 3 გოლი) და „აიაქსიდან" ნათხოვარი მათი თანამემამულე **დარიო ცვიტანიჩი** (2), პარაგვაის ნაკრების თავდამსხმელი **ედგარ ბენიტესი** (2)... ასეთი შემადგენლობა ლიგაში არავის ჰყავს, მაგრამ ბოლო 3 ტურში მექანიზმში რაღაც მოიშალა და ფავორიტმა 9 შესაძლებლიდან 1 ქულა აიღო.

## სიურპრიზი

**კერეტარო (14).** დიდია ალბათობა იმისა, რომ აუტსაიდერად მონათლული კლუბი საბოლოოდ პლეი-ოფში მოხვდეს. არადა, ამას ვერც მწვრთნელი **კარლოს რეინოსოს** კვალიფიკაციით ახსნი, ვერც შემადგენლობის სიძლიერით, სადაც აბსოლუტურად უცნობი **ისააკ რომო** და არგენტინელი **ხულიო სესარ ლაფატიგე** სოლირებენ.

**ატლასი (12).**

როცა სეზონის დაწყების წინ კლუბში „ბოკა ხუნიორსის" ყოფილი მწვრთნელი **კარლოს ისკია** დაინიშნა, არავის სჯეროდა, რომ იგი ასე უცებ დაატყობდა თავის ხელს გავარდნის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატის თამაშს. არადა, სადღეისოდ „ატლასი" ლიგის ყველაზე უკომპრომისო გუნდია და შემთხვევითი არაა, რომ ჯერ ფრედ არ უთამაშია. მეორე ახალგაზრდობას განიცდის 33 წლის ვეტერანი **მიგელ სეპედა** (7 გოლი), რომელიც უკვე ორჯერ მიიჩნიეს ტურის საუკეთესო მოთამაშედ. კარგად შეეწყო გუნდს „პაჩუკადან" გადმოსული კოლუმბიელი **ანდრეს ჩიტივა**, ხოლო არგენტინელმა **დარიო ბოტინელიმ** მეორე სეზონში დაიწყო იმ ჰონორარის გამართლება, რაც მას „სამპდორიიდან" წამოსვლის მერე დაუნიშნეს. სხვათა შორის, ბოტინელი და „ვილიარეალიდან" ნაყიდი მისი თანამემამულეები მეკარე **მარიანო ბარბოსა** და მცველი **ფაბრისიო ფუენტესი** მწყრალად არიან დისციპლინასთან. ისინი თოთოჯერ გააძევეს მინდვრიდან (სულ გუნდური 4 წითელი ბარათი), რაც გვადალახარელებს ზედიზედ ორ წაგებად დაუჯდათ.

## გრანდები

**პუმასი (13).** „ოქროს" კიდევ ერთი მუდმივი მაძიებელი ჯერჯერობით კარგად გამოიყურება. თუმცა, არა გვგონია მოკლე სათადარიგო სკამისა და ორად ორი საშუალოზე ოდნავ მაღალი კლასის ფორვარდის იმედად მყოფი სტუდენტები დიდხანს შერჩნენ დღევანდელ პოზიციებს. არადა, **პაბლო ბარერას** 5 გოლიდან 2 ტურში ულამაზესად ჩაითვალა, არგენტინელი **მარტინ ბრავო** (3) კი სამივეჯერ მოხვდა ხუთეულში.

**ამერიკა (13).** გუნდის არასტაბილურობას ლოგიკური ახსნა აქვს - ფეხბურთელები ჯერაც ბოლომდე ვერ გამოსულან 25 იანვარს მიღებული შოკიდან. იმ საღამოს მათი პარაგვაელი ლიდერი **სალვადორ კაბანიასი** ბარში უცნობმა თავდამსხმელებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს და თავში ესროლეს. ამ ვანდალიზმმა მთელი ლათინური ამერიკა შეძრა, ქუჩებში გაჩნდა კაბანიასის პლაკატები, მის გადარჩენისთვის ლოცულობდნენ ყველა ეკლესიაში. შეგახსენებთ, რომ სულ რაღაც ორიოდე თვის წინ ანალოგიური შემთხვევა არგენტინაში მოხდა, სადაც ნაკრების ყოფილი მცველი **ფერნანდო კასერესი** დაზარალდა. საბედნიეროდ, კასერესის მსგავსად, კონტინენტის 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელიც სასწაულებრივ გადარჩა და ჰოსპიტალში გატარებული 36 დღის შემდეგ უკვე სახლშიც დაბრუნდა, მაგრამ ამ ინციდენტმა გუნდი გარდა ფსიქოლოგიურისა, წმინდა სპორტულ ასპექტშიც დააზარალა. პარაგვაელ ბომბარდირზე აწყობილი სქემა მოიშალა და ახლა მისი ფუნქციების შესრულება ნახევარმცველებს - არგენტინელ **დანიელ „როლფი" მონტენეგროსა** და **ანხელ ედუარდო რეინას** უწევთ.

**კრუს ასული (11).** საჩემპიონო ამბიციების მქონე კლუბს არ შეიძლება რვიდან ხუთ მატჩში საერთოდ ვერ გაჰქონდეს გოლი, 2 თამაშში კი თითო ბურთით კმაყოფილდებოდეს!!! შედეგიც შესაბამისია - ლიდერთან 13-ქულიანი ჩამორჩენა. არადა, ტურნირის დაწყებამდე აქცენტი სწორედ მაღალ შედეგიანობაზე კეთდებოდა. შარშანდელი პირველობის საუკეთესო ბომბარდირ, არგენტინელ **ემანუელ ვილიას** „პაჩუკაში" მეწყვილედ თანამემამულე **კრისტიან ხიმენესი** უყიდეს, მაგრამ ამ ტანდემმა მხოლოდ გასულ კვირაში გამოიღვიძა. „ატლასთან" ვილიამ სეზონში პირველად გაიტანა, ხიმენესმა კი საგოლე პასები დაურიგა მას და 31 წლის **მელვინ ბრაუნს**, რომელიც ტურის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

**ტოლუკა (10).** შარშანდელი რეგულარულის გამარჯვებულმა სეზონი სუსტად დაიწყო და მეექვსე ტურამდე არ მოუგია. თუმცა, ახლა გუნდმა აშკარად მოუმატა, ორ საშინაო მატჩში 3-3 გოლი გაიტანა და სატურნირო ცხრილშიც გამოისწორა პოზიცია. მექსიკის ნაკრების ბრაზილიელი წევრი **ანტონიო ნაელსონ „ზინია" კარლოს ესკიველთან** ერთად ეხმარება ჩილელ ბომბარდირ (3 გოლი) ექტორ მანსილიას. მოედნის ცენტრი კი არგენტინელ **მარტინ რომანიოლისა** და კოლუმბიელ **ვლადიმირ მარინს** აბარია.

## უპრეტენზიოები

**სან ლუისი (7).** 2008 წელს კლუბმა „აპერტურას" რეგულარული მოიგო, დღეს კი საუკეთესო ბომბარდირად 35 წლის მცველი **ბრაულიო ლუნა** ჰყავს.

**პუებლა (8).** შარშანდელი წარმატება (ყველაზე ნაკლები წაგება რეგულარულში - 3) ისტორიას ჩაბარდა. დღეს გუნდის თამაშს ურუგვაელ ფორვარდთა წყვილის (**ალვარო გონსალესი-მარსელო პალაუ**) სპორტული ფორმა განაპირობებს.

## აუტსაიდერები

**ინდიოსი (3).** ლიგის ყველაზე სუსტი გუნდი და გავარდნის უმთავრესი კანდიდატი. პირველი გოლი მეხუთე ტურში გაიტანა, მეორე და დღემდე უკანასკნელი - მეექვსეში. ისე, ჯობდა, არც გაეტანა, ასეთი თავხედობით გაბრაზებულმა „ატლასმა" საპასუხოდ 7 მიართვა!!! იმ მატჩში საცოდავ მეკარე **უმბერტო ერნანდესს** მეორედ ანდეს კარის დაცვა (პირველად „მონტერეისგან" გაუშვა 4 გოლი) და საკუთარი რეკორდი დაამხობინეს... მაჩანჩალები დისციპლინითაც ვერ დაიკვეხნიან - 4 გაძევება მექსიკისთვისაც კი ბევრია.

**ტიგრესი (6).** ერთ დროს მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი კლუბი ახლა კრიზისს განიცდის. მოგეხსენებათ, მექსიკაში ლიგიდან გავარდნა 3-წლიანი ციკლის შეჯამებით ხდება. ჰოდა, ამ ცხრილში იგი მხოლოდ „ინდიოსს" უსწრებს და ისიც ძალიან მცირე სხვაობით. არადა, პერსპექტივაც არ ჩანს. მეკარე **სირილიო საუსედო** საშუალოდ 2 გოლს უშვებს, დაცვა დაშლილია და მეტოქეებს მუდმივად იმაზე მეტს ატანინებს, ვიდრე ბრაზილიელი **იტამარ ბატიშტასა** (3 გოლი) და არგენტინელი **ლუკას ლობოსის** (2) ტანდემს გააქვს.

**ხაგუარესი (4).** წელს კლუბს გადარჩენისთვის უწევს ბრძოლა - იგი ბოლოდან მეორეა წლევანდელ, და მესამე - სამწლიან გასავარდნ ცხრილში. სუსტი დაცვისა (15 გაშვებული გოლი) და ერთადერთი ხეირიანი ფორვარდის (კოლუმბიელი **ჯექსონ მარტინესი**, 4 გოლი) პირობებში ეს ურთულესი ამოცანაა.

**ატლანტე (5).** შარშანდელი სეზონის დასაწყისში მიღწეული წარმატების (გუნდმა „კოპა ინტერამერიკანა" მოიგო და საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდა) შემდეგ დადგა სტაგნაციის ხანა. მნიშვნელოვნად მოუკლო მეკარე **ფედერიკო ვილარმა** (13 გაშვებული გოლი), რომელსაც **დიეგო მარადონა** არგენტინის ნაკრებშიც კი იწვევდა. უკბილოა შეტევის ხაზიც, სადაც 1 გოლზე მეტი არავის გაუტანია.

**ესტუდიანტესი (5).** ნამდვილად არ ულხინს სტუდენტთა მეკარე **მარიო როდრიგესს** - 19-ჯერ მოუხდა ბურთის ბადიდან გამოტანა! ეს ძირითადად დაცვისა და ნახევარდაცვის სუსტი თამაშის ბრალია, თორემ შეტევის ინტერნაციონალური ტრიო პარაგვაელი **ფრედი ბარეიროს** (4 გოლი), ჩილელი **როდრიგო რუისისა** (3) და არგენტინელი **მაურო სეხასის** (2) შემადგენლობით ურიგოდ ნამდვილად არ ირჯება.

დაბოლოს, ვნახოთ, ვინ დაასახელეს საუკეთესო მოთამაშეებად და ულამაზესი გოლების ავტორებად განვლილ ტურებში.

**I ტური** - ხავიერ ერნანდესი (**ჩივასი**-ტოლუკა 3:1), პაბლო ბარერა (**პუმასი**-ატლასი 2:0); **II ტური** - მიგელ სეპედა (**ატლასი**-მონტერეი 3:0), ბრაულიო ლუნა (**სან ლუისი**-ატლანტე 3:2); **III ტური** - ხავიერ ერნანდესი (**ჩივასი**), ისააკ რომო (**კერეტარო**-პუებლა 2:1); **IV ტური** - ულისეს მენდივილი (**პაჩუკა**-სან ლუისი 2:0), პაბლო ბარერა (**პუმასი**-ტიგრესი 2:2); **V ტური** - ულისეს მენდივილი (**პაჩუკა**-პუებლა 5:3), მარსელო პალაუ (პაჩუკა-**პუებლა** 5:3); **VI ტური** - მიგელ სეპედა (**ატლასი**-ინდიოსი 7:1), ხავიერ ბაესი (**ჩივასი**-პაჩუკა 1:0); **VII ტური** - ადოლფო ბაუტისტა (**ჩივასი**-პუებლა 3:2), ჯექსონ მარტინესი (**ხაგუარესი**-პაჩუკა 2:2); **VIII ტური** - მელვინ ბრაუნი (**კრუს ასული**-ატლასი 3:1), ალვარო გონსალესი (**პუებლა**-ხაგუარესი 3:3).



მონტერეიმ ფორმის პიკს მიაღწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპარლამენტო კომიტეტში



# ნითელი შუქი დოპინგს, მწვანე ბავშვთა სპორტს

## სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან არსებული სპორტის განვითარების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

ანტიდოპინგურ საქმიანობასთან დაკავშირებული ევროპული კონვენციის მოთხოვნები, რომელსაც საქართველო ამ ცოტა ხნის წინათ შეუერთდა, საქართველოს კანონმდებლობაში აისახება. სწორედ ამ საკითხზე გაიმართა მსჯელობა დღეს საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან არსებული სპორტის განვითარების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე.

ანტიდოპინგურ საკითხებზე ცვლილებები შევა „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ" კანონში. განისაზღვრა დოპინგის ცნება, როგორც სპორტული შედეგების ხელოვნურად გაზრდის ხელშემწყობი ფარმაკოლოგიური და სხვა მასტიმულირებელი საშუალებები, აგრეთვე პროცედურები, ხერხები და მეთოდები. ცვლილებები შევა აგრეთვე იმ მუხლებში, რომლებიც ეხება სპორტის განვითარებისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერას, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტის დაფინანსებას და სპორტში აკრძალულ საშუალებებს.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი, რომელსაც კომიტეტი საკანონმდებლო ინიციატივის სახით პარლამენტს წარუდგენს.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან არსებული სპორტის განვითარების სამეცნიერო-სკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, **ვაჟა შუბლაძემ** ასევე წარმოადგინა ინფორმაცია საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა სპორტული განათლების ეროვნული კონცეფციის შემუშავების პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, განათლების მესვეურები სკოლებში ფიზიკური კულტურის გაკვეთილების გაუქმებას ითხოვდნენ და პრაქტიკულად აპირებდნენ ამის განხორციელებას, რასაც სპორტული საზოგადოებრიობა და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი წინ აღუდგა. კომიტეტის თავმჯდომარის, ოლიმპიური ჩემპიონის **გიორგი ასანიძის** დიდი ძალისხმევის შედეგად, გადაწყდა, რომ შეიმუშავებენ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული განვითარების ეროვნულ კონცეფციას. ეს გაეროს ფინანსური მხარდაჭერით მოხდება და ამ პროცესში, საპარლამენტო კომიტეტის და მასთან არსებული სამეცნიერო-აკონსულტაციო საბჭოს წევრებთან ერთად, ბუნებრივია, განათლების, სპორტისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. გიორგი ასანიძის განცხადებით, კონცეფციის შემუშავებისას გაითვალისწინებენ საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, მოზარდთა განვითარების ეტაპებს და ქვეყნის ინტერესებს.

ტყვიის სროლა | საქართველოს ჩემპიონატი

# მსროლელთა აქტიური გაზაფხული

ნორვეგიულ მერაკერში მალე ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, მანამდე კი ჩვენმა მსროლელებმა რეპეტიცია **ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში გაიარეს, სადაც გუშინ საქართველოს ჩემპიონატი დამთავრდა სწორედ პნევმატური იარაღიდან სროლაში.

ამ ტურნირში მონაწილეთა გეოგრაფია არ შეცვლილა - მასში ამჯერადაც მხოლოდ თბილისელი და ქუთაისელი მსროლელები ცდიდნენ ძალებს, თუმცა მოასპარეზეთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მომატებულია - 40 სპორტსმენი. თბილისელები კვლავაც ორი კლუბით გამოდიოდნენ - საკუთრივ სალუქვაძის და სკა-ს კლუბები.

ქალთა ტურნირში მოულოდნელობებს დიდი ხანია, არ ველოდებით და არც ამჯერად მომხდარა - ტურნირის მასპინძელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ 483 ქულით გაიმარჯვა და საგრძნობლად ჩამოიტოვა ქუთაისელი **ნინო უჩაძე** (469,7) და თბილისელი **თამილა ასათიანი** (463), რომელიც სალუქვაძის კლუბშივე ვარჯიშობს. ვაჟებში საკუთარი მაჩვენებელი გააუმჯობესა სალუქვაძის კლუბის კიდევ ერთმა წევრმა **ლევან ქადაგიძემ**, რომელიც ბოლო ხანებში გამუდმებით უმატებს შედეგებს. მან შესარჩევში 572 ქულა დააგროვა, რასაც ფინალში 100,3 დაუმატა და ჩემპიონატი 672,3 ქულით მოიგო. ვერცხლი თბილისელმა **გივი ბურჭულაძემ** მოიპოვა (სკა, 657,4), ბრინჯაო - ქუთაისელმა **გია სვანიძემ** 646,1-ით.

უფროსებისგან განსხვავებით, ახალგაზრდებში ქუთაისელებმა იყოჩაღეს და გოგოებშიც და ვაჟებშიც ოქროს მედლები დასავლეთში წაიღეს. გოგოებში **ნინო ფანჩულიძემ** 365 ქულით გაიმარჯვა და საგრძნობლად ჩამოიტოვა სალუქვაძის კლუბის წევრები **ანა გაგილაძე** (358) და **თეონა იაშვილი** (356). ვაჟებში ჩემპიონი **შოთა გირგვლიანი** გახდა - 554, რომელმაც ასევე სალუქვაძის კლუბის წევრები ჩამოიტოვა - **გიორგი ბერიშვილი** (552) და **გიორგი წნალაშვილი** (546).

ევროპის ჩემპიონატში საქართველოდან მხოლოდ სალუქვაძე და ქადაგიძე გამოვლენ. ისინი დანიაში 9 მარტს გაემგზავრებიან. კონტინენტის პირველობისთვის მზადების მიზნით მათ თებერვლის ბოლოს ერევანში შეკრებაც გაიარეს.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო | საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებში

# ჭაბუკთა უპერსპექტივო პერსპექტივა

გუშინ დილომში, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო. წლეულს ჭაბუკებს მხოლოდ ევროპის პირველობა ელოდებათ (მსოფლიოსი გაისად იმართება), რომლისთვისაც კანდიდატთა შერჩევის პირველი ეტაპი სწორედ ქვეყნის ჩემპიონატია. ნაკრებში მოხვედრის პერსპექტივამ მონაწილეთა სიმრავლეც განაპირობა და ტურნირის სიძლიერეც - პირველობაში ქვეყნის ყველა რეგიონი და 140-ზე მეტი მოზარდი მონაწილეობს.

გუშინ შეჯიბრებები ოთხ უმჩატეს - 50, 55, 60 და 66 კილოგრამ წონით კატეგორიებში გაიმართა და დაძაბული, ლამაზი შეხვედრებიც ბლომად ვიხილეთ. ცხადია, ნაკრებში მოხვედრა ყველას სურს და მიზნის მისაღწევად პატარებმა თავი არ დაზოგეს. ერთიმეორეზე დაძაბული, უშელავათო ბრძოლა ბევრი იყო. გასაგებია, რომ ამ ასაკის მოზარდებისგან უშეცდომო ჭიდაობას არავინ ელოდა, მაგრამ აშკარაა - მოზარდები ჩემპიონატს შემართებით შეხვდნენ. მათი ეს თვისება მოგვიანებით ნაკრების ახალდანიშნულმა თავკაცმა **რამაზ ჩოჩიშვილმაც** აღნიშნა, პატარები ნამდვილი პროფესიონალებივით ირჯებოდნენო. მწვრთნელმა დაძაბულობით 60 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალი გამოარჩია **თორნიკე ტვილდიანსა** და **მიხეილ მეზურნიშვილს** შორის, ჩვენ კი 66-ის ფინალზე შევაჩერებთ ყურადღებას, სადაც **თომა თავზარაშვილმა პავლე ქავთარაძე** ჩინებული გდებით დააიპონა. არადა, მანამდე ვაზარით აგებდა და იმ მომენტშიც ილეთი ქავთარაძემ დაიწყო.

ჩოჩიშვილის თქმით, ამ ჩემპიონატმა ოპტიმიზმის საფუძველი მოგვცა, რადგან ძალიან ბევრი კარგი მოზარდი წარმოჩნდა. მედალოსნები თავისთავად და, მწვრთნელმა რამდენიმე უმედლოდ დარჩენილიც ჩაინიშნა - **ავთანდილ კილაძე** (50), **აპოლონ ზურაბიანი** (60), **გიორგი კუპატაძე** (60)...

მწვრთნელმა კი ჩაინიშნა, მაგრამ ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო და, უმედლოდ დარჩენილებს კი არა, მედალოსნებსაც ვერსად გამოსცდის - ნაკრებისთვის გამოყოფილი მწირი ბიუჯეტის გამო შეკრებაზე ბრინჯაოს მედალოსნებიც ვერ მიჰყავს. ცხადია, ტურნირებზე ლაპარაკიც არაა. დიდი ეკონომიით ორ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობა გადაწყდა: 20-21 მარტს ანთალიაში ევროპის თასზე და 24-25 აპრილს ჩეხურ ტეპლიცეში. მწვრთნელს ანთალიაში ნაკრების პირველი-მეორე ნომრები მიჰყავს, სადაც უშუალო კონკურენტებს კიდევ ერთხელ მიეცემათ თავის გამოჩენის საშუალება. აი, სწორედ იქ გამოვლინდებიან ევროპის პირველობაზე წამსვლელები და მერე ტეპლიცეშიც ის გუნდი იჭიდავებს. მათთვის ის შეჯიბრება სასტარტო იქნება. თვითონ ევროპის პირველობა 25-27 ივნისს ისევ ჩეხეთში, ოღონდ უკვე დედაქალაქ პრაღაში ჩატარდება. იქ წასვლამდე ნაკრები სამ შეკრებას გამართავს, თუმცა, როგორც გითხარით, იქ ბრინჯაოს მედალოსნების წაყვანაც არ იგეგმება, რაც ძალზე ცუდია. დაგვეთანხმებით, ტურნირებისა და შეკრებების გარეშე სპორტსმენი ვერ გაიზრდება. უფროსებზე ზრუნვა კარგია, მაგრამ ნურც რეზერვი დაგვავიწყდება. ვინც ნაკრებში მოხვდება, მათი მდგომარეობა კიდევ გასაგებია, მაგრამ დანარჩენებისთვის მსგავსი ტურნირები უპერსპექტივო პერსპექტივაა.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

50 კგ. 1. **გელა კელეხაშვილი** (თბილისი), 2. **მიხეილ იმერლიშვილი** (თბილისი), 3. **ლერი ჭელიძე** (იმერეთი) და **ცოტნე ნიკლაური** (კახეთი). 55 კგ. 1. **ომარ ნიაზაშვილი** (თბილისი), 2. **ზაზა როსტომაშვილი** (კახეთი); 3. **ჯაბა შაყულაშვილი** (თბილისი) და **ზაზა შველიძე** (თბილისი). 60 კგ. 1. **თორნიკე ტვილდიანი** (იმერეთი), 2. **მიშიკო მეზურნიშვილი** (თბილისი), 3. **სიმონ ვაჩლიანი** (ქვემო ქართლი) და **ზურაბ ჩადუნელი** (სამცხე-ჯავახეთი). 66 კგ. 1. **თომა თავზარაშვილი** (თბილისი), 2. **პავლე ქავთარაძე** (მცხეთა), 3. **ბექა ხამათაშვილი** (აფხაზეთი) და **უშანგი მარგიანი** (იმერეთი).



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მძლეოსნობა

# სპორტის დედოფალი ზამთარს ემშვიდობება

დიდუბის მანეჟში გუშინ დაიწყო მძლეოსანთა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი, რომელშიც 21 ქალაქისა და რაიონის 300-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს. მედლებისთვის ბრძოლაში ქართველ სპორტსმენებთან ერთად 7 ერევნელი ათლეტიც ჩაება და ასპარეზობის პირველ დღეს 60 მეტრზე რბენაში **არმენ ანდრიასიანმა** ჩემპიონობაც მოიპოვა. ამავე დისტანციაზე ქალებში ყველას ქუთაისელმა **სალომე სირაძემ** აჯობა. ყოფილი სპრინტერის - **მაკა იანტბელიძის** ქალიშვილი ჯერ მხოლოდ 15 წლისაა, მაგრამ მეორე წელიწადია, უფროსებს ტოლს არ უდებს და ოქროს ოქროზე იხვეჭს.

*„სპორტული სეზონი ორი თვეც არ არის, რაც დაიწყო, მაგრამ ზოგიერთმა მძლეოსანმა, ცივი დარბაზის მიუხედავად, საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ახალციხელი ენდრიკ ზილბერშტეინის წარმატება 400 მეტრზე რბენაში. თავი ისახელა ბირთვის მკვრელმა ბენიკ აბრამიანმა, რომელმაც უახლოეს მეტოქეს მთელი ხუთი მეტრით აჯობა. მართალია, ამ სახეობაში ტრავმის გამო ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ გიორგი ბედოშვილს არ უასპარეზია, ზურაბ გიგაიამ კი პირველსავე ცდაზე ხელი იტკინა და შეჯიბრებას გამოეთიშა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აბრამიანის შედეგი მათს ზამთრის მაჩვენებლებსაც აღემატება. საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა სიმაღლეზე მხტომელმა ზურაბ გოგოჭურმა - იგი 205 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო. ეს ჩემპიონატი ჩვენთვის ზამთრის ბოლო შეჯიბრებაა. მალე ღია არენაზე გავალთ და, იმედია, ჩვენი ათლეტების მაჩვენებლები საგრძნობლად გაუმჯობესდება",* - გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ყარამან საბანაშვილმა**.

გაუწყებთ გუშინ გამართულ პაექრობებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა შედეგებს:

ქალები. **60 მ.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 7,8), 2. სალომე აბშილავა (ზუგდიდი, 7,9), 3. ლიკა ლოლუა (ფოთი, 8.0). **60 მ. თარჯრბენი.** 1. თეა ფაცურია (ფოთი, 9,0), 2. მაია გოგოლაძე (თიანეთი-თბილისი, 9,1), 3. ნანა კაშია (ქუთაისი, 9,8). **400 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 1.00,8), 2. თეა ფაცურია (ფოთი, 1.01,0), 3. სოფიო ჩილინგარაშვილი (ახალციხე, 1.04,.2), **1500 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 5.04,9), 2. სოფიო ჩოჩნიძე (თბილისი-ბორჯომი, 5.22,2), 3. ანიჩკა მურადიანი (ახალციხე, 5.26,4). **სამხტომი.** 1. ქრისტინე შალამბერიძე (ქუთაისი, 12,10 მ). **ბირთვი.** 1. სალომე რიგიშვილი (თბილისი-თიანეთი, 13,21 მ). 2. ანა კაშია (ქუთაისი, 10,44), 3. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 9,97).

ვაჟები. **60 მ.** 1. არმენ ანდრიასიანი (ერევანი, 6,6), 2. გიორგი ანთელიძე (თბილისი, 6,7), 3. ბექა ჯიშკარიანი (ქუთაისი, 6,8). **60 მ. თარჯრბენი.** 1. ლევან შანავა (ზუგდიდი, 6,6), 2. თემურ ცირამუა (ზუგდიდი, 9,8), 3. გიორგი კორტავა (ხობი, 10,6). **400 მ.** 1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 48,7), 2. ნიკა კარტავცევი (ოზურგეთი-თბილისი, 50,2), 3. დენის ჟვანია (ზუგდიდი-თბილისი, 50,3). **1500 მ.** 1. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 4.01,0), 2. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 4.01,4), 3. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 4.14,4). **სამხტომი.** 1. ლაშა ღულელაური (ახმეტა, 13,97), 2. ვასილ ელანიძე (ახმეტა, 13,30), 3. გოჩა დინგაშვილი (ქუთაისი, 12,93). **ბირთვი.** 1. ბენიკ აბრამიანი (თბილისი, 17,69), 2. გოგა ჭიხვარია (ოზურგეთი, 12,62), 3. დავით შონია (ფოთი, 12,22). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ზურაბ გოგოჭური (თბილისი, 205), გიორგი ნიკლაური (თბილისი, 140).



**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ქართული სპორტი

## კალათბურთი

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | ბათუმი | 13 | 269 | 20.69 |
| 2. სერგო ათუაშვილი | შსს | 13 | 264 | 20.31 |
| 3. ბესიკ ლეჟავა | ბათუმი | 13 | 259 | 19.92 |
| 4. ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 14 | 275 | 19.64 |
| 5. გიორგი ნიკოლაძე | შსს | 13 | 255 | 19.62 |
| 6. დავით ბარბაქაძე | თსუ | 11 | 198 | 18 |
| 7. კოტე ტულუში | ენერჯი | 12 | 210 | 17.5 |
| 8. მერაბ ბოძოლიშვილი | სამედ/აკადემია | 13 | 223 | 17.15 |
| 9. ბექა წივწივაძე | სსაუ | 14 | 233 | 16.64 |
| 10. დუდა სანაძე | დინამო | 10 | 166 | 16.6 |
| 11. დავით ბერიშვილი | შსს | 10 | 164 | 16.4 |
| 12. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 13 | 204 | 15.69 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | მგ. | სკ. | ჯ | საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | ბათუმი | 13 | 52 | 116 | 168 | 12.92 |
| 2. ჟულიენ ტუჯანი | ენერჯი | 13 | 47 | 101 | 148 | 11.38 |
| 3. სერგო ათუაშვილი | შსს | 13 | 52 | 91 | 143 | 11 |
| 4. პლასიდე როდუმტა | ბათუმი | 12 | 48 | 70 | 118 | 9.83 |
| 5. რევაზ ათანელიშვილი | სსაუ | 13 | 45 | 74 | 119 | 9.15 |
| 6. დავით ბარბაქაძე | თსუ | 11 | 40 | 59 | 99 | 9 |
| 7. ილია ლონდარიძე | დინამო | 9 | 38 | 41 | 79 | 8.78 |
| 8. კახა მუმლაძე | სამედ/აკადემია | 13 | 41 | 63 | 104 | 8 |
| 9. თეიმურაზ თავამაიშვილი | ჭიათურა | 13 | 42 | 59 | 101 | 7.77 |
| 10. ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 14 | 38 | 66 | 104 | 7.43 |

**პასი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა წივწივაძე | სსაუ | 14 | 98 | 7 |
| 2. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 10 | 60 | 6 |
| 3. კოტე ტულუში | ენერჯი | 12 | 62 | 5.17 |
| 4. ნოდარ სიგუა | დინამო | 13 | 67 | 5.15 |
| 5. ზურა ბადრიძე | ავიამშენი | 9 | 44 | 4.89 |
| 6. შიო ხეცურიანი | თსუ | 10 | 43 | 4.3 |
| 7. დავით ბერიშვილი | შსს | 10 | 41 | 4.1 |
| 8. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 13 | 45 | 3.46 |
| 9. ბესიკ ლეჟავა | ბათუმი | 13 | 42 | 3.23 |
| 10. შალვა კოხრეიძე | თსუ | 11 | 33 | 3 |

**მე-14 ტურის სიმბოლური ნაკრები**

1. ნოდარ სიგუა (დინამო): 27 წთ, 12 ქ, 11 პ, 3 მ, 4 ჩ
2. ბექა წივწივაძე (სსაუ): 36 წთ, 25 ქ, 7 მ, 7 პ
3. კოტე ტულუში (ენერჯი): 24 წთ, 20 ქ, 5 მ, 4 პ, 2 ჩ
4. ზვიად ბაბიაშვილი (ენერჯი): 26 წთ, 22 ქ, 6 მ, 4 ჩ
5. რიჩარდ მათიაშვილი (სსაუ): 25 წთ, 19 ქ, 15 მ, 1 პ, 1 ჩ, 1 დ

### რეკორდები

**ქულა**

დავით იმნაძე (ბათუმი) – 46
12.12.09 ჭიათურა-ბათუმი

**პასი**

გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ) – 11
19.12.09 თსუ-მერანი;
28.12.09 აკადემია-თსუ

ნოდარ სიგუა (დინამო) – 7
27.02.10 ჭიათურა-დინამო

**მოხსნა**

დავით იმნაძე (ბათუმი) – 23
09.01.10 ბათუმი-დინამო

ჟულიენ ტუჯანი (ენერჯი) – 23
13.02.10 აკადემია-ენერჯი

**შეცდომა**

ფარნაოზ გურული (ჭიათურა) – 10
19.12.09 თსუ-მერანი

ლაშა ეძგვერაძე (დინამო) – 10
26.12.09 დინამო-ენერჯი

**ჩაჭრა**

ნოდარ სიგუა (დინამო) – 7
28.12.09 შსს-დინამო

**დაფარება**

შიო ხეცურიანი (თსუ) – 5
28.11.09 თსუ-ენერჯი

პლასიდე როდუმტა (ბათუმი) – 5
18.12.09 ბათუმი-სამედ/აკად

სერგო ათუაშვილი (თსუ) – 5
19.12.09 თსუ-ენერჯი

ბექა ბექაური - 5
28.12.09. სამედ/აკად-თსუ

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ბუბა ბერიშვილი | სოხუმი | 12 | 42 | 3.5 |
| 2. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 13 | 35 | 2.69 |
| 3. შალვა კოხრეიძე | თსუ | 11 | 28 | 2.55 |
| 4. ნოდარ სიგუა | დინამო | 13 | 33 | 2.54 |
| 5. კოტე ტულუში | ენერჯი | 12 | 28 | 2.33 |
| 6. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 10 | 22 | 2.2 |
| 7. ირაკლი გულისაბედაშვილი | სსაუ | 13 | 28 | 2.15 |
| 8. ფარნაოზ გურული | ჭიათურა | 13 | 28 | 2.15 |
| 9. ჟულიენ ტუჯანი | ენერჯი | 13 | 27 | 2.08 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ | დ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა ბექაური | სამედ/აკადემია | 14 | 29 | 2.07 |
| 2. სერგო ათუაშვილი | შსს | 13 | 22 | 1.69 |
| 3. პლასიდე როდუმტა | ბათუმი | 12 | 17 | 1.42 |
| 4. ნოდარ მეზვრიშვილი | მერანი | 9 | 12 | 1.33 |
| 5. ჟულიენ ტუჯანი | ენერჯი | 13 | 17 | 1.31 |
| 6. დავით იმნაძე | ბათუმი | 13 | 16 | 1.23 |
| 7. გიორგი კვეტენაძე | სოხუმი | 9 | 11 | 1.22 |
| 8. დავით ბარბაქაძე | თსუ | 11 | 13 | 1.18 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | შ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ფარნაოზ გურული | ჭიათურა | 13 | 76 | 5.85 |
| 2. ნოდარ სიგუა | დინამო | 13 | 58 | 4.46 |
| 3. ბესიკ ლეჟავა | ბათუმი | 13 | 57 | 4.38 |
| 4. ლაშა ეძგვერაძე | დინამო | 13 | 54 | 4.15 |
| 5. ბექა წივწივაძე | სსაუ | 14 | 54 | 3.86 |
| 6. ილია ლონდარიძე | დინამო | 9 | 33 | 3.67 |
| 7. ბუბა ბერიშვილი | სოხუმი | 12 | 43 | 3.58 |
| 8. ირაკლი სორდია | სოხუმი | 11 | 39 | 3.55 |
| 9. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 13 | 46 | 3.54 |
| 10. დავით ბერიშვილი | შსს | 10 | 35 | 3.5 |

*სუპერლიგა. XIV ტური*



# MVP
## ტაილერის კოლეჯიდან

**აგრარული უნივერსიტეტის გუნდში ამერიკის კოლეჯების იუნიორთა ლიგიდან ჩამოვიდა ცენტრი, რომელიც მე-14 ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. ლაპარაკია რიჩარდ მათიაშვილზე, რომელმაც 25 წუთში 19 ქულა, 15 მოხსნა მიითვალა და „ბათუმის" ძლევაში დიდი წვლილი შეიტანა. მას ამერიკულ ამბებზეც ვესაუბრეთ და „აგრარულზეც":**

- ალიარებისთვს მადლობას მოგახსენებთ. სასიამოვნოა, რომ არაერთ ძლიერ კალათბურთელს შორის გამომარჩიეთ. ვფიქრობ, მეც და გუნდსაც დაცვასა და შეტევაში კარგი თამაში დაგვიფასდა.

**- საუკეთესოს არჩევისას ერთ-ერთი კანდიდატი ბექა წივწივაძე იყო...**

- ბექაც დამაჯერებლად გაისარჯა, იერიშებს კარგად წარმართავდა და 25 ქულა ჩააგდო. მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. მეტოქეზე 18-ით მეტი მოხსნა მოვაგროვეთ, „ბათუმმა" 62 ქულაზე მეტი ვერ ჩააგდო, რაც დაცვაში კარგი თამაშის მანიშნებელია.

**- გუნდს შუა სეზონში შეუერთდი. აკლიმატიზაცია არ გაგიჭირდა?**

- „აგრარულში" მოთამაშეთა უმეტესობასთან შარშან, შარშანწინ მითამაშია. ამიტომ გუნდთან მორგება რთული არ იყო.

**- როგორ ფორმაში ხარ?**

- თავს მშვენივრად ვგრძნობ. ვფიქრობ, ნორმალურ ფორმაში ვარ. ეს „ბათუმთან" შეხვედრამაც დაადასტურა. გუნდიც სათანადო კონდიციებშია და ვეცდებით, პროგრამა-მაქსიმუმი შევასრულოთ.

**- მაქსიმუმში რა იგულისხმება?**

- ჯერ ფინალში მოხვედრისთვის ვიბრძოლებთ, შემდეგ - ჩემპიონობისთვის...

**- ხვალ მესამე ადგილზე მყოფ თსუ-ს დაუპირისპირდებით...**

- სტუდენტურ დერბიში გამარჯვებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებას მეორე ადგილზე ვაპირებთ. თუმცა თსუ-ც ძლიერი გუნდია და მისი ძლევა იოლი არ იქნება.

**- ამერიკიდან ესპანეთში აპირებდი გადასვლას, მაგრამ „აგრარულში" ამოჩნდი...**

- ესპანეთში იმ შემთხვევაში ჩავიდოდი, თუ 27 თებერვლამდე მოვასწრებდი სავიზო საკითხების მოწესრიგებას. თან ესპანეთში სხვა ქვეყნის გავლით უნდა ჩავსულიყავი... ამ ეტაპზე საქართველოში დაბრუნება და „აგრარულში" თამაში ვამჯობინე. ესპანეთში მომავალ სეზონში წავალ.

**- სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინათ ესპანურ „არონაში" ვარჯიშობდი, მაგრამ მალევე დაბრუნდი. ახლა ამერიკიდან ჩამოხვედი სეზონის დაუმთავრებლად...**

- ამჯერად დაბრუნებისთვის სერიოზული მიზეზი მქონდა - მწვრთნელი არ მენდობოდა. არაერთხელ ვუთხარი - შანსი მომეცი-მეთქი, მაგრამ 4-5 წუთზე მეტს არ მათამაშებდა. ეს ნებისმიერი კალათბურთელისთვის ძალიან მცირე დროა... არადა, უნივერსიტეტში სწავლის მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო. უთამაშებლობა რომ არა, ტაილერის კოლეჯში სიამოვნებით დავრჩებოდი. ბიზნეს-მარკეტინგის განხრით ვსწავლობდი.

ვაჟა სიმონიშვილი

*სუპერლიგა. XV ტური*

# იმნაძემ ჭიათურას თავი შეახსენა

**5 მარტი. ბათუმი**

| ბათუმი–ჭიათურა | 100:56 |
|---|---|

21:17, 22:10, 24:11, 33:18

ბათუმი: მიქელაძე (8ქ, 8პ), ვ. მაისურაძე (10ქ, 5პ), ბ. ლეჟავა (2ქ, 5მ), ელიაშვილი (2ქ, 6მ), კეშელავა (13ქ, 5პ, 10მ, 3ჩ), ნინუა (6ქ), მ. ბოლქვაძე (21ქ, 12მ), იმნაძე (38ქ, 17მ, 3პ)

ჭიათურა: ფ. გურული (12ქ, 3ჩ), არონია (3ქ), ხაჩიური (3პ), ენუქიძე (5ქ, 4პ), სვანიძე (10ქ, 3პ), გაბუნია, მჭედლიშვილი (6ქ), თავამაიშვილი (20ქ, 9მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

კომისარი: გ. სანაძე

სუპერლიგის მე-15 ტური ბათუმში გაიხსნა - ადგილობრივებმა ჭიათურელები 100:56 დაამარცხეს.

მასპინძელთა თავკაცმა **დავით უსტიაშვილმა** თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდებს მისცა, თუმცა გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი მაინც გამოცდილმა **დავით იმნაძემ** ითამაშა. მან 14 ორქულიანი, 2 სამიანი და 4 საჯარიმო ჩააგდო და 38 ქულას 17 მოხსნა დაამატა.

სხვათა შორის, მიმდინარე სუპერლიგის რეკორდი, 46 ქულა იმნაძემ სწორედ „ჭიათურასთან" თბილისურ მატჩში დაამყარა.

ვაჟა სიმონიშვილი

*საქართველოს ჩემპიონატი. ენერჯი*

# ამერიკელი ლეგიონერი ენერჯიში?

საქართველო პატარა ქვეყანაა, მით უმეტეს, პატარაა საკალათბურთო თემიც. ჰოდა, ბევრი ამბავი კულუარებს მილმა გამოდის. ყურმოკვრით გავიგეთ, რომ რუსთავის „ენერჯი" ლეგიონერით ძლიერდება. ლოგიკურიცაა, ერთი კარგი ამერიკელი გამთამაშებელი ქვემოქართლელებს ნამდვილად არ აწყენდათ...

თუმცა, საკითხავია, რამდენად რეალურია უცხოელის ჩამოყვანაზე ლაპარაკი. ამ ამბის გადამოწმება გუნდის მთავარ მწვრთნელ **მიხეილ ბერუაშვილთან** ვცადეთ. აი, რა გვითხრა ბატონმა მიშამ:

*„ჯერჯერობით ძველი შემადგენლობით ვვარჯიშობთ. ველოდებით მიხეილ ჩიტაშვილს, რომელმაც სეზონი ჩვენთან ერთად დაიწყო, შემდეგ ირანში წავიდა. იქ ჩემპიონატი მალე დასრულდება და ჩიტაშვილი პლეი ოფისთვის შემოგვიერთდება. რაც შეეხება ახალი ლეგიონერის დამატებას, ამ საკითხზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი. უცხოელების დამატების ვადა 1 აპრილს იწურება. მანამდე დიდი დროა".*

ჩვენც ისლა დაგვრჩენია, მოთმინებით დაველოდოთ 1 აპრილს და იმედი დავიტოვოთ, რომ ძლიერ ლეგიონერს არა მხოლოდ „ენერჯი", არამედ სხვა კლუბებიც ჩამოიყვანენ.

ვაჟა სიმონიშვილი

# პანათინაიკოსის გედის სიმღერა
## შერმადინის სარეკორდო წუთები

საქართველოს ნაკრების ცენტრმა **გიორგი შერმადინმა** ევროლიგაზე, „პარტიზანი"-"პანათინაიკოსის" მატჩში 14:54 წუთი ითამაშა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. აქამდე მას ყველაზე მეტი, 14:10 წუთი პოლონური „პროკომის" წინაალმდეგ ჰქონდა ნათამაშები.

216 სმ სიმაღლის ქართველმა ცენტრმა 2-დან 1 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 4 ქულას 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიამატა.

„პანათინაიკოსის" მწვრთნელმა **ჟელკო ობრადოვიჩმა** სერბეთში გამგზავრების წინ ათენში დატოვა ტრავმირებული სასტარტო ცენტრი **ნიკოლა პეკოვიჩი**. „მწვანეების" ხუთეულში გამოჩნდა **მაიკ ბატისტი**, რომელიც მეექვსე წუთზე გიორგი შერმადინმა შეცვალა. ქართველმა პირადი ანგარიში მეორე პერიოდის ბოლოს გახსნა: მეტოქის ფარზე ბურთი მოხსნა და კალათში დააბრუნა.

მორიგი ორი ქულა მან მატჩის 27-ე წუთზე მიითვალა - ამჯერადაც „პარტიზანის" ფარიდან ასხლეტილ ბურთს დაეუფლა და ვიდრე ისროდა, **პეტარ ბოჟიჩმა** წესების დარღვევით შეაჩერა. შერმადინმა ორივე საჯარიმო ჩააგდო და „პანათინაიკოსი" 49:45 დააწინაურა. სერბების საპასუხო შეტევა გიორგიმ ჩაჭრით შეაჩერა, ბურთი გადააწოდა **დიამანტიდისს**, რომელმაც მყის სამქულიანი ისროლა და ასე ჩაეყარა საფუძველი სტუმართა 8:0 გაქცევას. ვინც მატჩს თვალი მიადევნა, დაგვეთანხმება, რომ ეს იყო მატჩის გადამწყვეტი ეპიზოდი. მას მერე „პარტიზანს" თამაშის შემოტრიალების შანსი არ ჰქონია. ბერძნებმა სტუმრად 82:66 გაიმარჯვეს.

საინტერესოა, რომ „პანათინაიკოსმა" ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე პირველი გამარჯვება პეკოვიჩის შერმადინით შეცვლის შემდეგ მოიპოვა. შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ამას ნიშნის მოგებით ვამბობთ, თუმცა არის ერთი მიზეზი, რომელმაც შეიძლება, ბელგრადულ მატჩში გადამწყვეტი როლი ითამაშა: თამაშისას, შერმადინს მეტოქის ფარქვეშ პასი ერთხელაც არ მიუღია, თუმცა არაერთხელ დარჩა თავისუფალ პოზიციაში. შერმადინის მოედანზე შეყვანით მწვრთნელი ხელ-ფეხს უხსნის პერიმეტრის მოთამაშეებს. „მწვანე" უკანახაზელები ბელგრადშიც თავისუფლად ისროდნენ: **პერპეროგლუმ** 4 სამქულიანი ჩააგდო, **ნიკოლამ** - 6 (6-დან), დიამანტიდისმა - 1. მეორე ჯგუფურ ეტაპზე ათენელებმა 11 სამქულიანი პირველად ჩააგდეს... როცა მოედანზე სასტარტო ცენტრი ნიკოლა პეკოვიჩია, კომბინაციების უმეტესობას ის ასრულებს. „პანათინაიკოსის" ასეთი სისტემა კარგად შეისწავლეს მეტოქეებმა და შეიძლება ამიტომაცაა, შერმადინის გუნდმა მეორე ეტაპზე ოთხი მატჩი რომ წააგო.

„პარტიზანთან" გამარჯვებას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა - „პანათინაიკოსს" მეოთხედფინალში გასვლის შანსი ერთი ტურით ადრე, მეოთხე მარცხის შემდეგ გადაეწურა. მას ევროლიგაზე ერთადერთი მატჩიღა დარჩა - 11 მარტს თანამემამულე „მარუსის" მიიღებს.

ვაჟა სიმონიშვილი

## ჩოგბურთი

# ეჰ, წააგეს...

ტეხასისშტატის ქალაქ მაკალენში 15-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის მერვედფინალში 18 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (507) მსოფლიოს ყოფილ მე-7 ჩოგან **მარიო ანჩიჩს** (477) გადაეყარა. ქართველი საკმაოდ გაუძალიანდა 25 წლის ხორვატს და ორი სეტის ჯამში 7 გეიმიც მოუგო - 4:6, 3:6. დღეისათვის ამაზე მეტის მიღწევა ნიკასთვის, ალბათ, ძალზე ძნელი იქნებოდა.

**ოქსანა კალაშნიკოვა** (163) მინსკის საერთაშორისო ტურნირ „სპორტ პარი კაპზე" (25 ათასი დოლარი) ასპარეზობდა. ჩვენებური მე-5 ნომრად განთესეს იქ და მან პირველი ორი წრე იოლად გაიარა. მერვედფინალში ოქსანამ უკრაინელი **ირინა ბურიაჩოკი** (221) დაამარცხა - 6:3, 6:4, მერე კი ის 21 წლის ფრანგ **ირენა პავლოვიჩთან** (260) მოულოდნელად დამარცხდა - 2:6, 5:7.

ტურნირის წყვილთა ბადეს კი **სოფიო შაფათავასა** (349) და ყირგიზი **ქსენია პალკინას** (281) დუეტი გამოეთიშა. მათ მეოთხედფინალში წააგეს მე-4 ნომრად განთესილ ესტონელ **მარეტ ანისთან** (216) და რუს **ვიტალია დიატჩენკოსთან** (142) - 2:6, 7:6, 4:10. ლიონის ტურნირის (10 ათასი დოლარი) მერვედფინალში ზელანდიელ **ელენ ბარისთან** (794) დამარცხდა **სოფიო ქვაცაბაია** (433) - 1:6, 2:6. ამავე ტურნირის წყვილთა ბადეს მეოთხედფინალში დაემშვიდობა ქვაცაბაიასა და **ეკა გორგოძის** (553) დუეტიც.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## წყალბურთი

# ორი მოიგეს, ორიც წააგეს

კიევის ოლქის ქალაქ ბროვარიში 1992 წელს და უფრო გვიან დაბადებულ წყალბურთელთა უკრაინის ღია ჩემპიონატში საქართველოს (1993 წელს დაბადებულნი) ნაკრებიც მონაწილეობს **ლევან ჩომახიძის** ხელმძღვანელობით. შეჯიბრების სტარტზე ჩვენმა ბიჭებმა ზედიზედ ორი მატჩი წააგეს ხარკოვის ოლქისა (3:10) და სევასტოპოლის სასპორტო სკოლის (3:7) წარმომადგენლებთან. სამაგიეროდ, ბოლო ორ პაექრობაში ხარკოვის პირველ და მეორე გუნდებს, შესაბამისად, 8:6 და 17:0 სძლიეს. პირველი წრის ბოლო შეხვედრას ქართველები კიეველებთან გამართავენ.

# მესამე ტური 11 მარტიდან

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები უკრაინის მე-19 ღია ჩემპიონატში ორი ტურის შემდეგ მესამე ადგილზე იმყოფება. 11 მარტიდან დნეპროძერჟინსკი მესამე ტურის პაექრობებს უმასპინძლებს. ჩვენი გუნდი ასპარეზობის პირველ დღეს ერთპიროვნულ ლიდერს - მარიუპოლის „ილიჩევეცს" დაუპირისპირდება. მომდევნო დღეების კალენდარი ასეთია:

12 მარტი. საქართველო-მინსკი, 13 მარტი. საქართველო-კიევი, 14 მარტი. დნეპროპეტროვსკი-საქართველო, სევასტოპოლი-საქართველო.

ვაჟა დანელია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



2009 წლის მაისი. ფინალი. კლერმონი-პერპინიანი

# დეჟავუ თუ ფინალის რეპეტიცია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ექვსი ტური დარჩა. პლეი ოფში გასვლის შანსი, სადაც ჩემპიონობისთვის ექვსი გუნდი იბრძოლებს, ქართველ მორაგბეთა ოთხ გუნდს აქვს. ამათგან ორი -"კასტრი" და „კლერმონი" პირველ-მეორე ადგილებზე გასვლისთვის იბრძვიან, რაც მათ საშუალებას მისცემს, ნახევარფინალში ავტომატურად მოხვდნენ. შეგახსენებთ, რომ მესამე-მეექვსე ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს ნახევარფინალში გასასვლელ პლეი ოფში დაუპირისპირდებიან.

21-ე ტურის ცენტრალური შეხვედრა კლერმონფერანში გაიმართება. „მარსელ მიშელინის" სტადიონზე ერთმანეთს შარშანდელი ფინალისტები, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" და კატალონიური „პერპინიანი" დაუპირისპირდებიან. ორივე გუნდს დღეისთვის 61-61 ქულა აქვს, სატურნირო ცხრილში მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ და შარშანდელივით საჩემპიონო ამბიციები აქვთ.

„ვულკანებს" წლეულს საკუთარ მოედანზე ჯერ არ წაუგიათ და ფარ-ხმალის დაყრას არც ქვეყნის ჩემპიონთან დაპირისპირებაში აპირებენ. გუნდს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებებში მივლენილი ყველა უძლიერესი მორაგბე დაუბრუნდა. ტრავმა მოიშუშა და სრულ მზადყოფნაშია გარემარბი **ორელიან რუჟერი**. ერთადერთი, ვისაც ზელანდიელმა მწვრთნელმა **ვერნ კოტერმა** დასვენების საშუალება მისცა, იტალიელი შუამარბი **გონსალო კანალეა.**

„კლერმონი" რევანშის აღებისთვის სრულ მზადყოფნაშია. შარშან ფინალში წაგების შემდეგ ჩვენებურის გუნდმა პირველი წრის შეხვედრაც დათმო სტუმრად - 3:19.

ცხადია, გულხელდაკრეფილი არც „პერპინიანი" იქნება. ჩემპიონებმა ორი კვირის წინ სტუმრად „მონტობანთან" წააგეს და ახლა შერყეული ავტორიტეტის რეაბილიტაციას შეეცდებიან. გუნდს ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ **მაქსიმ მერმოსი** დაუბრუნდა. ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს საფრანგეთის ნაკრების ნევრი **დავიდ მარტი.**

Planetrugby-ის პროგნოზით, რადგან „კლერმონი" შინ დაუმარცხებელია, სავარაუდოდ, გამარჯვება, მინიმუმ შვიდი ქულით, სწორედ მას დარჩება.

გათამაშების ლიდერი, **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი" შინ **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივს" დაუპირისპირდება. კასტრელებმა, „კლერმონის" მსგავსად,წლეულს საკუთარ მოედანზე წაგების სიმწარე არ იციან. „გლობუსას" გუნდი 62 ქულით პირველ ადგილზეა და ლიდერობის შენარჩუნებისთვის „ბრივთან" აუცილებლად გამარჯვება სჭირდება.

ალსანიშნავია, რომ „კასტრს" საკმაოდ რთული კალენდარი აქვს. დარჩენილ ხუთ ტურში მათ სტუმრად მოუწევთ თამაში პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ „ტულონთან", „კლერმონთან" და „ტულუზთან". გამორიცხული არ არის, ჩვენებურის გუნდმა ამ შეხვედრებში ქულაც ვერ აილოს, რაც შეიძლება პლეი ოფის მიღმა დარჩენის ფასად დაუჯდეს

პლეი ოფში მოხვედრა შეუძლია „ბრივსაც", რომელიც 47 ქულით მე-8 ადგილზეა. „კასტრთან" წარმატების შემთხვევაში ბრიველების შანსები ერთი-ორად გაიზრდება. პირველ წრეში „ბრივმა" მეტოქე შინ 11:9 დაამარცხა. გიორგაძე ტრავმირებულია და გუნდს სეზონის ბოლომდე ველარ დაეხმარება. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

Planetrugby-ის პროგნოზით, ამჯერად გათამაშების ლიდერი მინიმუმ ექვსი ქულით მოიგებს.

პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონიც". ზედიზედ სამ შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვებით ტულონელები სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზე ალზევდნენ.

ჩვენებურის გუნდი 21-ე ტურში უმასპინძლებს ასევე პლეი ოფისთვის მებრძოლ ბასკურ „ბიარიცს", რომელიც 46 ქულით მე-9 ადგილზეა და ნაფორხილების უფლება ალარ აქვს. ბასკების წინაშე ურთულესი ამოცანაა გადასაჭრელი. „ტულონს" წელიწადია, საკუთარ მოედანზე არ წაუგია და არც ამჯერად აპირებს. თუმცა, ჩვენებურის გუნდის სუპერმგეზავი **ჯონი ვილკინსონი** ინგლისის ნაკრების საწვრთნელ ბანაკშია, სამაგიეროდ, ტრავმის მოშუშების შემდეგ სრულ მზადყოფნაშია **პიერ მინონი.**

„ბიარიცს" მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდნენ საფრანგეთის ნაკრების წევრები **დამიან ტრაი** და **დიმიტრი იაშვილი.** პირველ წრეში ბასკებმა შინ 23:9 მოიგეს.

Planetrugby-ის პროგნოზით, „ტულონი" მინიმუმ რვა ქულით მოიგებს.

ურთულესი ბრძოლის გადატანა მოუწევს საკუთარ მოედანზე პარიზულ „მეტრო რასინგთან" **მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიეს". ჩვენებურთა გუნდი 38 ქულით მეათე ადგილზეა და დივიზიონიდან გავარდნის საფრთხე ისევ ემუქრება. მით უფრო, რომ მომდევნო ორ ტურში მონპელიელები სტუმრად ითამაშებენ ფრანგული რაგბის „ვეშაპების" „ტულუზისა" და „კლერმონის" წინაალმდეგ.

მონპელიელთა რიგებს ორმოცდღიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა ქართველი ყოჩი მამუკა გორგოძე. პარიზელთა წინაალმდეგ ითამაშებს ასევე მგეზავი **ფრანსუა ტრინ-დუკი.** წინასამატჩო განაცხადშია გიორგი ჩხაიძეც.

. საკმაოდ მოლონიერებულია „მეტრო რასინგიც", რომელიც 54 ქულით მეექვსე ადგილზეა. გუნდს დაუბრუნდნენ საფრანგეთის ნაკრების წევრები **ლიონელ ნალე** და **სებასტიან შაბალი.** პირველ წრეში პარიზელებმა 18:14 მოიგეს.

Planetrugby-ის პროგნოზით, ამჯერად გამარჯვება, მინიმუმ სამი ქულით, „მონპელიეს" დარჩება.

პირველ დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვის **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანი". ჩვენებურთა გუნდი ესტუმრება უშუალო კონკურენტ „ბურგუენს", რომელსაც სატურნირო ცხრილში ერთი ქულით უსწრებს. „მონტობანს" 37 ქულა აქვს და მე-11 ადგილზეა.

მონტობანელებმა ორი კვირის წინ მე-20 ტურში ქვეყნის ჩემპიონი „პერპინიანი" დაამარცხეს, რაც გუნდის ქომაგებს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს. უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს „ბურგუენსაც". პირველ წრეში ბურგუენელებმა მეტოქე სტუმრად 15:12 დაამარცხეს, რასაც, ცხადია, შინაურ გარემოშიც შეეცდებიან.

ბექა შეყლაშვილი ტრავმის გამო არ ითამაშებს. გოდერძი შველიძე განაცხადშია. პლანეტრუგბყ-ის პროგნოზით, გამარჯვება მინიმალური სხვაობით „ბურგუენს" დარჩება.

მეორე დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე შვიდი ტური დარჩა. აქ დამაჯერებლად ლიდერობს **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენი", რომელიც მეორეადგილოსანს **გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსს" ექვსი ქულით უსწრებს. შეგახსენებთ, რომ პირველ ადგილზე გასული გუნდი ელიტური, პირველი დივიზიონის საგზურს ავტომატურად მიიღებს.

„აჟენი" სტუმრად ითამაშებს პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ „პოსთან". „ოიონაქსსაც" სტუმრად მოუწევს პაექრობა, ოღონდ აუტსაიდერ „კოლომიესთან". ორივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებენ **გურამ კავთიძის** „ლიონი" და **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკი". ლიონელებს ბევრად უკეთესი მდგომარეობა აქვთ: ისინი 61 ქულით მე-4 ადგილზე არიან და შინ ეთამაშებიან მესამეადგილოსან „ლა როშელს".

ორიაკელებს კი 54 ქულა დაუგროვდათ და სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზე არიან. მათ 23-ე ტურში ერთი საფეხურით წინ მყოფი „ნარბონი" უმასპინძლებს.

ევროპის ჩემპიონატი. U-18

# ტრევიზოში კანის გავლით

საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ბოლოსწინა ეტაპზე გადავიდა. მწვრთნელებმა **ლევან მგელაძემ** და **დავით კაკაბაძემ** სასელექციო ეტაპი ორიოდე კვირის წინ დაასრულეს და ახლა მათ განკარგულებაში 27 მორაგბეა, რომელთაგან იტალიის ქალაქ ტრევიზოში საქართველოს ღირსების დასაცავად 26 გაემგზავრება.

უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა" ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში შვიდი საწვრთნელი შეხვედრა გამართეს. სამ-სამჯერ მათ სპარინგპარტნიორობა საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებმა და „ვისოლი ყოჩებმა" გაუწიეს. ერთი შეხვედრა კი პირველლიგელ თბილისის „დევებთან" შედგა.

გუნდი მზადების დასკვნით ეტაპს საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში გაივლის. თვრამეტწლამდელები კანში 16 მარტს გაემგზავრებიან და იქ ერთ საწვრთნელ მატჩს გამართავენ კოტ დაზურის რეგიონის ნაკრებთან.

28 მარტს ჩვენი გუნდის პირველი მეტოქე ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში რუმინეთის ნაკრები იქნება. გამარჯვების შემთხვევაში ნახევარფინალში ირლანდიისა და გერმანიის ნაკრებებს შორის გამარჯვებულს დავუპირისპირდებით. ამ გუნდების გარდა, ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთის, იტალიის, ბელგიისა და რუსეთის ნაკრებები ითამაშებენ.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: ბექა არაბიძე, გიორგი ლომთაძე (ორივე-აია), გიორგი თეთრაშვილი (ხულიგანა), ზაზა ნავროზაშვილი (ივერია), დავით ხიდეშელი, თორნიკე ჯიბლაძე (ორივე-უნივერსიტეტი)

მეორე ხაზი: ლაშა ლომიძე (აკადემია), ბექა ხიპაშვილი (ლელო), ნოდარ მარდალეიშვილი (აია), სანდრო ქოიავა (ლელო)

მესამე ხაზი: ხვიჩა ბუჯიაშვილი (ივერია), ელგუჯა სურგულაძე (ლელო), ბექა მამრიკიშვილი (აია), საბა ბერაძე (ხულიგანა), გურამ შენგელია (ვანი), გიორგი ქოჩიაშვილი (ჯიქები)

№9: გიორგი მისრიაშვილი (არმაზი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები)

№10: გოდერძი ჭინაჭარაული (ლელო), მერაბ შარიქაძე (აკადემია)

№12-13: გიგა გაგოშვილი (შევარდენი), გიორგი ზიბზიბაძე (აია), თამაზ მჭედლიძე (უნივერსიტეტი)

№11-14: დაჩი კოპაძე (ჯიქები), ლევან გოგოლაშვილი (აკადემია), ზურაბ ძნელაძე (აია)

№15: ბახვა კობახიძე (ყოჩები).

**მეოთხედფინალი. 28 მარტი**

საქართველო-რუმინეთი
ირლანდია-გერმანია
საფრანგეთი-იტალია
. ბელგია-რუსეთი

ზე 14



ქუადე კუპერი

# სენსაციით დაიწყო

ზე 14-ის გათამაშების მეოთხე ტური სენსაციით დაიწყო. პირველივე მატჩში ბრისბენის „რედსმა", ერთ-ერთი ფავორიტი, ჰემილთონის „ჩიფსი" სტუმრად დაამარცხა - 23:18.

არადა, „ჩიფსი" მე-20 წუთისთვის 15:0-ს იგებდა. მასპინძელთა მარცხი მგეზავ **სტივენ დონალდის** არაზუსტმა დარტყმებმა გამოიწვია. მან თანაგუნდელთა მიერ გატანილი სამი ლელოდან ვერც ერთი გარდასახა და მხოლოდ ერთი საჯარიმო გაიტანა. სამაგიეროდ, ფეხჩუბინობით გამოირჩა „წითლების" მგეზავი **ქუადე კუპერი,** რომელმაც ორივე ლელო გარდასახა და მონაგარს სამი საჯარიმოც მიუმატა. კვლავ შეუდარებელი იყო „რედსის" ცხრა ნომერი **ვილიამ გენია.**

კიდევ ერთ შეხვედრაში, კანბერაში, „ბრამბიზმა" დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა იოჰანესბურგის „ლაიონზთან" - 24:13. მასპინძლებმა მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს, **მეთ გიტომ** სამივე გარდასახა და ერთი საჯარიმოც მიუმატა.

ტურის სხვა შეხვედრებიდან შეიძლება გამოვარჩიოთ სიდნეის „ვორათაზის" და უკიდურეს კრიზისში მყოფი დურბანის „ნატალ შარქსის" დაპირისპირება. ავსტრალიელებმა განვლილ სამ ტურში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს და „ზვიგენების" დამარცხების შემთხვევაში სატურნირო მდგომარეობას მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებენ. შეგახსენებთ, რომ „შარქსმა" სამიდან სამივე თამაში წააგო.

სერიოზულ ბრძოლას ჰპირდება ქრაისთჩერჩში ადგილობრივ „კრუსეიდერზს" ოქლენდის „ბლუზი". ორივე გუნდს ორ-ორი მოგება აქვს და საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად იბრძვიან.

მეოთხე ტურში „ბლუ ბულზი" და „ფორსი" ისვენებენ.

**სატურნირო მდგომარეობა: 1.ბლუ ბულზი - 15 ქულა, 2. ჩიფსი - 15, 3. ჰარიკენზი - 14, 4. ბრამბიზი - 12, 5. კრუსეიდერზი - 10, 6. რედსი - 9, 7. სტორმერზი - 9, 8. ბლუზი - 9, 9. ჰაილენდერზი -5, 10. ჩიტაზი - 5, 11. ვორათაზი - 5, 12 შარქსი - 2, 13. ლაიონზი - 2, 14. ფორსი - 0.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთ

ამბები

ჩოგბურთი

## ნადალი ინდიან უელსისთვის მზად არის

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** საკუთარ ვებგვერდზე გულშემატკივრებს უამბო ინდიან უელსის ტურნირისთვის მზადების შესახებ. შეგახსენებთ, რომ ესპანელი იანვარში მუხლის ტრავმის გამო ავსტრალიის ღია პირველობიდან მოიხსნა და მას შემდეგ კორტზე აღარ გასულა.

*„გასულმა კვირამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ძალიან კარგად ვვარჯიშობდი და ბევრს ვმუშაობდი. წვრთნაში მარკ ლოპესი მეხმარება. ახლა თავს გაცილებით კარგად ვგრძნობ. რა თქმა უნდა, ინდიან უელსში ვითამაშებ. მოუთმენლად ველი ამ ტურნირის დაწყებას“,* - წერს ნადალი.

პროფესიული ტურის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მასტერსი მომავალი კვირის ოთხშაბათს აიღებს სტარტს.

კალათბურთი

## შარლოტი 175 მილიონი ღირს

ლეგენდარულმა **მაიკლ ჯორდანმა** „შარლოტ ბობკეტსის“ წინა მფლობელებთან საბოლოოდ შეათანხმა კლუბის შეძენის დეტალები.

„ბობკეტსის“ ყიდვა მაიკლს 175 მილიონი დოლარი დაუჯდება და ამ გარიგების შემდეგ ჯორდანი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციის კლუბის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელი გახდება.

ახლა ჯერი ლიგაზეა, რომელმაც უნდა მოიწონოს და დაამტკიცოს ეს გარიგება. სწორედ ამის შემდეგ ჩაიბარებს „ბობკეტს“ ჯორდანი.

უნდა აღინიშნოს, რომ „შარლოტის“ ფასი მნიშვნელოვნად დავარდა - კლუბის წინა მფლობელი **რობერტ ჯონსონი** 300 მილიონს ითხოვდა იმის მიუხედავად, რომ გუნდი სხვა წყაროებიდან რეგულარულად იღებდა ფულად დახმარებას.

## ნოა სამი კვირა დაისვენებს

„ჩიკაგო ბულზის“ ცენტრი **ჟოაკიმ ნოა** კიდევ სამ კვირას გამოტოვებს მარცხენა ფეხთან დაკავშირებული პრობლემების გამო - წერს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი. დაავადება, რომელსაც ფასციტი ჰქვია, რთულად იკურნება და ამიტომაც კალათბურთელს კონსერვატიული თერაპიის დამატებითი კურსი დაუნიშნეს.

ნოა, რომელიც წელს NBA-ში თავის საუკეთესო სეზონს ატარებს (საშუალოდ, 10,7 ქულა და 11,4 მოხსნა მატჩში), იძულებულია მნიშვნელოვანი მატჩები გამოტოვოს. ის არ ითამაშებს „დალასის“ (ორჯერ), „ორლანდოს“, „მაიამისა“ და „კლივლენდის“ წინააღმდეგ.

## ტერიმ ოპერაცია გაიკეთა

„დალას მავერიქსის“ მცველმა **ჯეისონ ტერიმ**, რომელიც ბოლო მატჩებში ძალიან ძლიერად ათამაშდა, გუშინ სახეზე ოპერაცია გადაიტანა.

ქირურგიული ჩარევა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც ბოლო ტურში დალასელ კალათბურთელს იდაყვი ჩაარტყეს სახეში. ტერიმ თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო, რადგან მარცხენა თვალიდან ვერ ხედავდა და ცხვირიდან სისხლი სდიოდა. კალათბურთელის მოედანზე დაბრუნების თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

კრივი

## ტუნი ახალ ამპლუაში

ლეგენდარულმა ამერიკელმა მოკრივემ **ჯეიმს ტუნიმ** გადაწყვიტა შერეულ ორთაბრძოლებში მოსინჯოს ძალები.

სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა ორგანიზაცია UFC-სთან გააფორმა ხელშეკრულება. ჯერჯერობით უცნობია 41 წლის ტუნის (72-6-3, 44KO) პირველი ორთაბრძოლის თარიღი და მეტოქე.

*„ბევრი პროფესიონალი მოკრივე გადასულა შერეულ ორთაბრძოლებში, მაგრამ განსაკუთრებული შედეგებისთვის არ მიუღწევიათ. ვნახოთ, რა გამოუვა ტუნის. ჩვენ ბოლომდე მხარს ვუჭერთ მის გადაწყვეტილებას და იმედი გვაქვს, რომ ჯეიმსი ახალ ამპლუაშიც გამოიჩენს თავს“,* - ამბობს UFC-ის პრეზიდენტი **დანა უაიტი**.

ჯეიმს ტუნის 2006 წლის შემდეგ არ ჩაუტარებია სერიოზული სატიტულო ბრძოლები, თანაც ის აკრძალული პრეპარატის მიღებაში ამხილეს. ამერიკელმა ბოლო ორთაბრძოლა გასული წლის 12 სექტემბერს ჩაატარა, როცა ორ რაუნდში დაამარცხა **მეტიუ გრირი**.

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ტორონტო 3:2 (ბ)**

1:1, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 შატანი-4 (შ. ტორნტონი-8), 1:1 სტალბერგი-3 (ბოშემენი-19, ლუნდმარკი-6), 2:1 ბოიჩუკი-3 (შტურმი-11, რეკი-19), 2:2 ბოჟაკი-4 (კულემინი-11, კაპუტი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** შატანი (ბოსტონი).

**რეინჯერსი-პიტსბურგი 4:5 (ო)**

2:2, 2:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ანისიმოვი-10 (შ. ეივერი-17, რედენი-10), 1:1 კუნიტცი-9 (ჯ. სტაალი-24, გონჩარი-30), 1:2 ჯ. სტაალი-17, 2:2 დრური-11 (დელ ზოტო-21, ო. იოკინენი-28), 3:2 როჟსივალი-2 (პროსპალი-34, ო. იოკინენი-29), 4:2 დუბინსკი-15 (როჟსივალი-16, გილროი-9), 4:3 რუპი-12 (კროსბი-38, კუნიტცი-15), 4:4 გოლიგოსკი-7 (კუნიტცი-16, ფედოტენკო-16), 4:5 ჯ. სტაალი-18 (მალკინი-46, გონჩარი-31).

**კაროლინა-ოტავა 4:1**

2:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 კომტოპულოსი-8 (ბოიჩუკი-4), 2:0 ბრინდამორი-6 (ბოიჩუკი-5, კარსონი-6), 3:0 ლაროუზი-5 (ე. სტაალი-32, ტ. რუუტუ-17), 3:1 კულენი-13 (ალფრედსონი-34, ფიშერი-25), 4:1 ბ. სუტერი-16.

**ნეშვილი-ლოს ანჯელესი 4:2**

1:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 0:1 ფროლოვი-15 (სტოლი-24), 1:1 დუმონი-12 (სალივანი-26, ჰამპუისი-14), 2:1 არნოტი-16 (ერატი-19, ჰორნკვისტი-15), 3:1 გოკი-11 (ერატი-20), 3:2 დაუტი-12 (რ. სმიტი-20, კოპიტარი-37), 4:2 სმიტსონი-8 (ჯ. უორდი-18, რ. სუტერი-26).

**დალასი-სტ. ლუისი 1:6**

1:3, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 კარია-13, 1:1 ლ. ერიქსონი-24 (ჯ. ნილი-22, ბ. რიჩარდსი-51), 1:2 ბოიესი-12 (სტინი-16, პოლაკი-14), 1:3 კარია-14 (ოში-25, ბეკსი-24), 1:4 სტინი-16 (კოლაიაკოვო-17), 1:5 ბერგლუნდი-10 (პერონი-19, ენდი მაკდონალდი-20), 1:6 ოში-15 (კარია-20, ე. ჯონსონი-24).

**ფინიქსი-კოლორადო 3:1**

1:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 სტემპნიაკი-15 (ფიდლერი-15, კორპიკოსკი-4), 1:1 ლაილსი-5 (პ. მიულერი-14, შჩასტნი-47), 2:1 ვოლსკი-18 (დოუნი-31, ლეპისტო-9), 3:1 ვრბატა-21 (ზ. მიხალეკი-10).

**სან ხოსე-მონრეალი 3:2**

0:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 0:1 ჯონტა-18 (გომესი-33), 1:1 მარლო-39 (რ. ბლეიკი-16, ნიკოლი-13), 1:2 გომესი-11 (ჯონტა-15, მარკოვი-16), 2:2 ჰიტლი-33 (ბოილი-35, მარლო-27), 3:2 მალორტა-10 (ტ. მიტჩელი-4, ჰასკინსი-15).

**ატლანტა-აილენდერსი 6:3**

4:1, 2:0, 0:2

**გოლები:** 1:0 ბერგფორსი-17 (ლიტლი-17, ანტროპოვი-36), 2:0 ანტროპოვი-16 (ლიტლი-18, ჰეინსი-14), 3:0 მაკარტური-14 (აფინოგენოვი-30), 4:0 აფინოგენოვი-20 (პევერლი-28), 4:1 შტრაიტი-9 (უეიტი-16, ბეილი-15), 5:1 ანტროპოვი-17 (ბერგფორსი-16, ბოგოსიანი-12), 6:1 არტიუხინი-5, 6:2 შრემპი-7 (მოულსონი-16, ტავარესი-18), 6:3 ჯეკმენი-3 (კონი-4, შრემპი-18).

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 5:4**

1:1, 2:1, 2:2

**გოლები:** 1:0 ფერი-16, 1:1 დაუნი-16 (ფოსტერი-22, სენტ ლუისი-51), 2:1 ნუბლი-24 (ლეიჩი-27, ბ. მორისონი-24), 3:1 ნუბლი-25 (ბექსტრომი-51, ოვეჩკინი-48), 3:2 ლეკავალიე-16 (სენტ ლუისი-52, ფოსტერი-23), 4:2 ს. უოკერი-4 (მაიკ გრინი-47, ბ. გორდონი-5), 4:3 ლეკავალიე-17 (პურსელი-4, მეზაროში-7), 4:4 სტემკოსი-38 (ოლუნდი-13, სენტ ლუისი-53), 5:4 ს. უოკერი-5 (მაიკ გრინი-48, ჩიმერა-16).

ფორმულა 1

# სეზონის წინ: ფერარი

## მარანელოს გუნდი შარშან შორს იყო ჩემპიონობისგან და წელს შეცდომების გამოსწორება მოუწევს



გასული სეზონის მთავარ მოვლენად **კიმი რაიკონენის** ადგილზე **ფერნანდო ალონსოს** მისვლა გახდა. გუნდის მეორე პილოტი კვლავ **ფელიპე მასა** იქნება, რომელიც შარშან საშინელ ავარიაში მოყვა, მაგრამ ხანგრძლივი აღდგენითი პროცესის შემდეგ ახალი ძალით აპირებს ჩემპიონატში ჩართვას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „ფერარიში“ წელს შარშანდელი პრობლემები არ განმეორდება.

„ფერარიმ“ ამ სეზონისთვის მზადება პრაქტიკულად წელიწად-ნახევრის წინ დაიწყო, როცა პირველი ჭორები გაჩნდა „სკუდერიაში“ ფერნანდო ალონსოს გადასვლასთან დაკავშირებით. მაგრამ ესპანელ პილოტს მხოლოდ ახლა მიეცემა „ფერარის“ ბოლიდით თავის გამოჩენის საშუალება. ამისთვის საჯინიბო არ მოერიდა კიმი რაიკონენთან კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტას და ეს გარიგება იმხელა თანხა დაუჯდა, რომელიც გაკოტრებისგან გადაარჩენდა რამდენიმე დებიუტანტ გუნდს. შარშან იტალიელებმა სეზონი აშკარად ჩააგდეს. სავსებით სავარაუდოა, რომ ამის მთავარი მიზეზი ხელმძღვანელობაში არსებულმა კრიზისმა გამოიწვია. **შუმახერი-ტოდტი-ბრაუნის** ეპოქის შემდეგ ორი სეზონი „სკუდერიამ“ ნორმალურად ჩაატარა, მაგრამ 2009 წელს ჩავარდნის დრო დადგა.

ეს ჩავარდნა იმით იყო განპირობებული, რომ „ფერარიში“ სწრაფად ვერ აუღეს ალღო ახალ ტექნიკურ რეგლამენტს. მარანელოში მთელი ძალები KERS-ის სისტემის დახვეწაზე იყო მიმართული, მაგრამ ამ დროს პრაქტიკულად ყველა გუნდმა უარი თქვა მის გამოყენებაზე. 2009 წლის სეზონის სტარტზე საქმეები ცუდად მიდიოდა, მაგრამ თანდათანობით „ფერარი“ ახალ დონეზე გავიდა და მოულოდნელად მორიგი მძიმე დარტყმა მიიღო ფელიპე მასას ავარიის სახით. ეს კატასტროფა მართლაც ცუდ დროს მოხდა, რადგან მანქანამ აშკარად მოუმატა სიჩქარეს. სწორედ იმ პერიოდში გუნდმა გადაწყვიტა, ნაადრევად დაეწყო მზადება ახალი სეზონისთვის და ამით კონკურენტებზე უპირატესობა მიეღო.

„ფერარის“ დირექტორისთვის - **სტეფანო დომენიკალისთვის** ახალი სეზონი მორიგი გამოცდა იქნება. იტალიური კომპანიის პრეზიდენტ **ლუკა დე მონტეძემოლოს** რომ დიდი მოთმინება აქვს, ამაში ათი წლის წინ ტოდტის მუშაობის პერიოდში დავრწმუნდით. ჟანს ოთხი წელი დასჭირდა კონსტრუქტორთა თასის მოსაგებად. სავარაუდოდ, დომენიკალისაც ასეთ ვადას დაუწესებენ.

თებერვლის ტესტებზე გუნდს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. ყურადღებას იმსახურებს ერთი მომენტი. ხერესში გამართულ ოფიციალურ ვარჯიშებზე ფოტოგრაფებს მოარიდეს დიფუზორი. გასაგებია, რომ ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება - როგორც ჩანს, მარანელოში ახალ ტექნიკურ გადაწყვეტას მიაგნეს. თანაც ახლა „ფერარის“ ალონსო ჰყავს, რომელიც განთქმულია მექანიკოსებთან ნაყოფიერი მუშაობით.

არც მეორე პილოტი, ფელიპე მასა უნდა დარჩეს უკანა პლანზე. უბრალოდ, მას ყურადღება იმიტომ მოაკლდა, რომ გუნდში ახალი ადამიანი მივიდა, ვის სავარაუდო ტრანსფერზეც თითქმის ორი წელი დაუღალავად ლაპარაკობდნენ. ახლა კი ჟურნალისტები და სპეციალისტები ახალ კითხვას სვამენ - რა შედეგებს მიაღწევს ესპანელი „ფერარიში“?. ამასობაში კი ფელიპე მძიმე ავარიის შემდეგ გამოჯანმრთელდა. სხვათა შორის, „ფერარიში“ ასეთი სიტუაცია ერთხელ უკვე იყო. 1998 წელს შუმახერი ბოლო მომენტამდე იბრძოდა ჩემპიონობისთვის, მომდევნო წელს კი ავარიაში მოყვა და რამდენიმე თვე მკურნალობდა. მასას ორი წლის წინ 500 მეტრი აშორებდა ჩემპიონობამდე, რის შემდეგაც საშინელი სეზონი ჩაატარა - დამარცხებების სერია და ბოლოს საშინელი ავარია.

ტესტებზე „ფერარი“ ყველაზე სასურველი სტუმარი იყო. ფერნანდო ალონსომ ვალენსიაში 40 ათასი (!) მაყურებელი შეკრიბა - ესპანელებს თავიანთი კერპის წითელ მანქანაში ხილვა სურდათ. ფერნანდომ და ფელიპემ ტესტებზე ყველაზე მეტი კილომეტრი გაიარეს. ძირითადი ყურადღება მიექცა საბურავებს, მანქანის საიმედოობას და ახალ აეროდინამიკურ ელემენტებს.

ბოლოს, კიდევ ერთი ისტორიული დამთხვევის შესახებ. 1950 წელს პირველ რბოლებზე დაფიქსირდა „ფა“-ს ტრიო - **ფანხიო, ფარინა, ფაჯოლი.** ამჯერად საქმე გვაქვს სამ „ფე“-სთან - „ფერარი“, ფელიპე, ფერნანდო. საინტერესოა, რას მოიტანს ეს დამთხვევა.

**სრული სახელწოდება** - Scuderia Ferrari Malboro
**ქვეყანა** - იტალია
**ბაზა** - მარანელო, იტალია
**ვებგვერდი** - www.ferrari.com
**დირექტორი** - სტეფანო დომენიკალი
**დებიუტი** - მონაკოს გრან-პრი (1950)
**გრან-პრის რაოდენობა** - 793
**გამარჯვება** - 210
**პოული** - 203
**სწრაფი წრე** - 219
**კონსტრუქტორთა თასი** - 16 (1961, 1964, 1975, 1976, 197, 1979, 1982, 1983, 1999, 2000, 2001, 2002, 2003, 2004, 2007, 2008)
**მსოფლიოს ჩემპიონი** - 15:
- ალბერტო ასკარი (1952, 1953)
- ხუან მანუელ ფანხიო (1956)
- მაიკ ჰოტორნი (1958)
- ფილ ჰილი (1961)
- ჯონ სერტისი (1964)
- ნიკი ლაუდა (1975, 1977)
- ჯოდი შექტერი (1979)
- მიხაელ შუმახერი (2000-2004)
- კიმი რაიკონენი (2007)

2010 წლის სეზონი

**პილოტები:**
- ფელიპე მასა
- ფერნანდო ალონსო
- ჯანკარლო ფიზიკელა (ტესტ-პილოტი)
- ლუკა ბადოერი (ტესტ-პილოტი)
- მარკ ჟენე (ტესტ-პილოტი)

**შასი** - F10
**ძრავა** - ფერარი

№ 7. ფელიპე მასა

**მოქალაქეობა** - ბრაზილია
**დაბადების თარიღი** - 25.04.1981
**ვებგვერდი** - www.felipemassa.com
**დებიუტი** - ავსტრალიის გრან-პრი (2002)
**გრან-პრის რაოდენობა** - 116
**გამარჯვება** - 11
**პოული** - 15
**სწრაფი წრე** - 12
**ქულა** - 320
**საუკეთესო შედეგი** - ვიცე-ჩემპიონი (2008)
**კარიერა:**
- ზაუბერი (2002, 2004, 2005)
- ფერარი (2006-09)

№8. ფერნანდო ალონსო

**მოქალაქეობა** - ესპანეთი
**დაბადების თარიღი** - 29.07.1981
**ვებგვერდი** - www.fernandoalonso.com
**დებიუტი** - ავსტრალიის გრან-პრი (2001)
**გრან-პრის რაოდენობა** - 140
**გამარჯვება** - 21
**პოული** - 18
**სწრაფი წრე** - 13
**ქულა** - 577
**საუკეთესო შედეგი** - მსოფლიოს ჩემპიონი (2005, 2006)
**კარიერა:**
- მინარდი (2001);
- რენო (2002-2006, 2008,2009);
- მაკლარენი (2007).

ბოლო ვაკანსია შეივსო

# ფორმულა 1-ში მეორე ინდოელი პილოტი გამოჩნდა

ბოლო გუნდი, რომელმაც ახალი სეზონისთვის 2010 წლის ბოლიდის პრეზენტაცია მოაწყო - HRT (Hispania Racing Team) გახლავთ. მანქანის შასი იტალიური კომპანია „დალარას“ მიერ არის დაპროექტებული, ძრავას კი ამ გუნდს კომპანია „კოსუორტი“ აწვდის. ბოლიდი რუხი ფერისაა - თეთრი და ნარინჯისფერი ზოლებით გაწყობილი. ყურადღებას იქცევს უჩვეულოდ ქვემოთ დაწეული ცხვირით.

როგორც იცით, ორი დღის წინ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ 2010 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა ოფიციალური სია გამოაქვეყნა და პილოტებს შორის ერთადერთი ვაკანსია იყო შესავსები, რომელიც სწორედ „ისპანია-რეისინგს“ ეკუთვნოდა. როგორც ვარაუდობდნენ, ეს ადგილი ინდოელმა პილოტმა **კარუნ ჩანდჰოკმა** დაიკავა.

ამ ავტომრბოლმა კარიერა 2000 წელს დაიწყო და თავიდანვე „ფორმულა რენოს“ აზიურ სერიაში გაიმარჯვა, შემდეგ ევროპაში გადავიდა, სადაც კარიერა ბრიტანულ F3-სა და „რენოს“ მსოფლიო სერიაში გააგრძელა.

რაც შეეხება ფორმულა 1-ში გამოსვლის გამოცდილებას, ჩანდჰოკს „რედ ბულის“ მანქანით აქვს გავლილი ტესტები. კარუნი მეორე ინდოელი პილოტია, ვინც ფორმულა 1-ის ჩემპიონატში ცდის ძალებს. პირველი **ნარაიან კართიკეიანი** იყო, რომელმაც 2005 წელს 19 რბოლა ჩაატარა „ჯორდანის“ ბოლიდით და აშშ-ის გრან-პრიზე მეოთხე ადგილი დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ „ისპანია რეისინგის“ მეორე პილოტი ბრაზილიელი **ბრუნო სენა** გახლავთ.

ორივე პილოტი ესწრებოდა HRT-ის ბოლიდის პრეზენტაციას, აქვე იყო გუნდის შეფი **ხუან რამონ კარაბანტე** და სპორტული დირექტორი **კოლინ კოლესი**. იმის გამო, რომ „ისპანია“ არ მონაწილეობდა თებერვლის ტესტებში, ამ გუნდს პირველად საქმეში 12 მარტს, ბაჰრეინის გრან-პრის უიქ ენდის პირველ დღეს ვიხილავთ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი — NBA რეგულარული ჩემპიონატი

# უეიდმა კობის მოუგო

გუშინდელ სათამაშო დღეს ხსნიდა მატჩი ფლორიდაში, სადაც „მაიამის" სტუმრად „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ეწვია. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა შეხვედრამ ბოლო წამებამდე ასიამოვნა მაყურებელი.

თუმცა პირველმა ნახევარმა საკმაოდ მშვიდ ბრძოლაში ჩაიარა და გაქცევა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, დიდი შესვენების შემდეგ ბრძოლა დაიძაბა და თამაშიც უფრო საინტერესო გახდა. თავიდან მასპინძლებმა განახორციელეს სპურტი, მაგრამ დიდად ვერ დაშორდნენ მეტოქეს, რის შემდეგაც მეოთხე მეოთხედში „ლეიკერსმა" საპასუხო გაქცევა მოაწყო და ანგარიში გაათანაბრა. როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩის მსვლელობისას მაყურებელმა **კობი ბრაიანტისა** და **დუეინ უეიდის** დუელი იხილა. ორივე ლიდერი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ჩვეულებისამებრ, ისინი თავიანთი გუნდების ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები გახდნენ.

ბოლო მეოთხედის დასრულებამდე 11 წამით ადრე **კვენტინ რიჩარდსონმა** უეიდის პასით ურთულესი სამქულიანი ჩააგდო და თავისი გუნდი წინ გაიყვანა - 99:97. მაგრამ კობიმ იკმარა დარჩენილი დრო ანგარიშის გასათანაბრებლად და მატჩის ოვერტაიმში გადასაყვანად. დამატებით დროში სურათი დიდად არ შეცვლილა. გუნდები მორიგეობით ზუსტად ასრულებდნენ შეტევებს და ასე გაგრძელდა იქამდე, სანამ 18 წამით ადრე არბიტრებმა შეტევაში ჯარიმა არ მისცეს ბრაიანტს. იმ მომენტისთვის „ჰიტი" ორი ქულით იგებდა და მშვიდად მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე, რითაც კალიფორნიელებთან პირველ შეხვედრაში დასანანი მარცხისთვის რევანში აიღო.

კვლავ სასწაულებს ახდენს „მემფის გრიზლისი". ამჯერად **ლიონელ ჰოლინზის** გუნდმა სტუმრად დაამარცხა „ჩიკაგო". მატჩის სადებიუტო მონაკვეთის წაგების შემდეგ, „დათვებმა" გამონახეს ძალები და არა მარტო გაათანაბრეს თამაში, არამედ გამარჯვება გამოსტაცეს „ხარებს".

სტუმრებმა გაუძლეს პირველ მეოთხედში **დერიკ როუზისა** და **ლუოლ დენგის** მიერ მოწყობილ ქარიშხალს, მეორე მეოთხედში თანდათან გონს მოვიდნენ, შეხვედრის შუა ნაწილში თანაბრად ეთამაშნენ მეტოქეს და ბოლო 10-წუთეულში უკანმოუხედავად გაიქცნენ. ტენესელთა შემადგენლობაში მთავარი გმირი **ზაკ რენდოლფი** გახდა. „მემფისის" „ბიგმენის" 31 ქულა და 18 მოხსნა გადაუჭრელი პრობლემა აღმოჩნდა **ვინი დელ ნეგროს** შეგირდებისთვის.

შედეგიანი მატჩი ითამაშეს „ფინიქსმა" და „იუტამ". ორივე გუნდი მონდომებით იბრძვის დასავლეთ კონფერენციაში მაქსიმალურად მაღალი ადგილის დასაკავებლად, ამიტომაც ეს დუელი საინტერესო გამოვიდა. შეხვედრის სტარტი არიზონელებს დარჩათ. გუნდის ლიდერის **სტივ ნეშის** ბრწყინვალე თამაშმა მასპინძლებს სოლიდური სხვაობით დაწინაურების საშუალება მისცა. მოგვიანებით, კანადელის დაწყებული საქმე **ამარე სტაუდმაიერმა** და **ჯეისონ რიჩარდსონმა** გააგრძელეს, მაგრამ ამასობაში, სტუმრებიც გააქტიურდნენ. „ჯაზმენებმა" ამჯერადაც გამოავლინეს მებრძოლი ხასიათი და მეოთხე მეოთხედში უნაკლო კალათბურთი ითამაშეს. **დერონ უილიამსისა** და **მეჰმეთ ოქურის** ბრწყინვალე მოქმედებამ სრულად შეცვალა მატჩის ხასიათი. 41:22 - სწორედ ასეთი ანგარიშით დასრულდა ბოლო მეოთხედი. თავადაც ხვდებით, რომ მოედანზე ერთი გუნდი ბატონობდა.

**ჩიკაგო-მემფისი 96:105**

32:19, 19:26, 29:31, 16:29

ჩ: დენგი (23+6 მოხსნა), როუზი (20), მილერი (14+7 მოხსნა), ჰაინრიხი (13).

მ: რენდოლფი (31+18 მოხსნა), მაიო (20+9 მოხსნა), გეი (17+6 მოხსნა+5 ჩაჭრა), კონლი (14+8 პასი), გასოლი (12+6 მოხსნა).

**მაიამი-ლეიკერსი 114:111 (ო)**

26:27, 18:20, 30:21, 25:31, 15:12

მ: უეიდი (27+14 პასი+5 მოხსნა), რიჩარდსონი (25+5 მოხსნა), აროიო (17+5 პასი), ო'ნილი (13), ჰასლემი (12+11 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (39), ფიშერი (14), ოდომი (13+11 მოხსნა), ბინუმი (12+10 მოხსნა), გასოლი (10+9 მოხსნა), პასლემი (10).

**ფინიქსი-იუტა 108:116**

34:24, 23:25, 29:26, 22:41

ფ: სტაუდმაიერი (30+7 მოხსნა), რიჩარდსონი (22+7 მოხსნა), ჰილი (17+7 მოხსნა), ნეში (14+15 პასი), ლოპესი (10+7 მოხსნა).

ი: უილიამსი (27+9 პასი), ოქური (24+6 მოხსნა), ბუზერი (15+15 მოხსნა), მაილზი (15), კირილენკო (12+6 მოხსნა), მეტიუზი (10).

ევროლიგა. TOP 16. V ტური

# ევროლიგა იტალიის გარეშე დარჩა

ევროლიგის მეხუთე ტურის შემდეგ კიდევ რამდენიმე მეოთხედფინალისტი გაირკვა. ყველაზე არეული სიტუაცია F ჯგუფში იყო შექმნილი, სადაც ოთხივე გუნდს თანაბარი მაჩვენებლები ჰქონდა, მაგრამ „სიკვდილის ქვეჯგუფში" ხუთშაბათს გამართული ორი მატჩის შემდეგ პლეი ოფში გამსვლელთა ვინაობა გაირკვა. მეოთხედფინალში თამაში გაინაღდეს მადრიდის „რეალმა" და თელ-ავივის „მაქაბიმ".

მადრიდელებმა ორი განსხვავებული ტაიმი ჩაატარეს სტუმრად „ეფეს პილსენის" წინააღმდეგ. პირველ ნახევარში ესპანელები მოედნის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ, მეტოქეს მხოლოდ 29 ქულა ჩააგდებინეს და 15 ქულით დაწინაურდნენ.

სამაგიეროდ, მასპინძლებმა მეორე ტაიმში მკვეთრად უმატეს თამაშს და მაქსიმალურად მიუახლოვდნენ მეტოქეს. თურქებს მატჩის მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ ფინალურ სირენასთან ერთად **იგორ რაკოჩევიჩის** ნასროლი სამქულიანი მიზანს ასცდა და „რეალმა" გაჭირვებით - ორი ქულით დაამარცხა თურქული გუნდი.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო **ხორხე გარბახოსა** იყო, რომელმაც ორმაგი დუბლი მიითვალა - 16 ქულა და 11 მოხსნა. „რეალის" რიგებში კიდევ ოთხმა კალათბურთელმა დააგროვა 10-ზე მეტი ქულა.

იტალიის სერია A-ში დაუმარცხებლად მოასპარეზე „მონტეპასკიმ" სტუმრად თელ-ავივში წააგო. ქვეყნის ჩემპიონატში სიენელებს 19-დან 19 მოგება აქვთ, მაგრამ ევროლიგაში თავი ვერაფრით გამოიჩინეს და პლეი ოფის მიღმა დარჩნენ.

მატჩის ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყდა. მეოთხე 10-წუთეულის წინ იტალიელები 3 ქულით იგებდნენ, მაგრამ შეხვედრის დასკვნით ნაწილში „მაქაბიმ" იდეალური კალათბურთი ითამაშა - ბოლო 10 წუთში ამ გუნდმა 43 ქულა დააგროვა და მისმა უპირატესობამ 15 ქულა შეადგინა.

შეუდარებელნი იყვნენ იმ დღეს „მაქაბის" ამერიკელი ლეგიონერები - **ალან ანდერსონი და დორონ პერკინსი**. პირველმა 24 ქულა დააგროვა, პერკინსმა კი ყველა ბურთი ჩააგდო და 14 ქულით დაეხმარა თავის გუნდს.

ბოლო ტურში „რეალი" და „მაქაბი" ერთმანეთში გაარკვევენ პირველი ადგილის ბედს.

კიდევ ერთი მეოთხედფინალისტი გახდა „ბარსელონა". კატალონელებმა პლეი ოფში თამაშის უფლება ძალიან იოლად მოიპოვეს. ათენში საბერძნეთის „მარუსთან" მატჩი „ბარსამ" 27 ქულით მოიგო.

მასპინძლებმა მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუწიეს წინააღმდეგობა მეტოქეს და ორი ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ „ბარსელონამ" ჯერ მეორე მეოთხედი მოიგო ცხრა ქულით, გადამწყვეტი დარტყმა მეტოქეს კი მესამე მეოთხედში მიაყენა, როცა მოწინააღმდეგეს მხოლოდ სამი ქულა (!) ჩააგდებინა, თავად კი 17 ქულა მიითვალა.

უმოტივაციო „პანათინაიკოსთან" „პარტიზანის" დამარცხების შემდეგ, კატალონელებმა ჯგუფში პირველი ადგილი და შესაბამისად, მეოთხედფინალში საკუთარი მოედნის უპირატესობაც გაინაღდეს.

## ტურის მოთამაშე

მეხუთე ტურის საუკეთესო მოთამაშედ ზაგრების „ციბონას" ფორვარდი **ბოიან ბოგდანოვიჩი** დასახელდა. ამ კალათბურთელმა „ხიმკისთან" მატჩში 22 ქულა (ხუთიდან ორი ორქულიანი და ექვსიდან ექვსი სამქულიანი ჩააგდო), 9 მოხსნა, თითო-თითო პასი და ჩაჭრა მიითვალა. გარდა ამისა, მასზე სამჯერ დაჯარიმდნენ მეტოქე კალათბურთელები. ამ ყველაფერმა ბოგდანოვიჩს 28 სარეიტინგო ქულა მოუტანა.

ტურის ხუთ საუკეთესო მოთამაშეს შორის მოხვდნენ: **მირზა ტელეტოვიჩი** („კახა ლაბორალი"), **ჯოშ ჩილდრესი** („ოლიმპიაკოსი"), **მარკუს ბრაუნი** („ჟალგირისი") და **ხორხე გარბახოსა** („რეალი").

ამ ტურის შემდეგ შეიცვალა ლიდერი სეზონის რეიტინგში. პირველ ადგილზე გადავიდა „პარტიზანის" ცენტრი **ალექს მარიჩი**.

**E ჯგუფი**

**მარუსი-ბარსელონა 58:85**

20:18, 15:24, 3:17, 20:26

მ: კისი (12), კაიმაკოგლუ (9).

ბ: ლორბეკი (14), ნავარო (13), მორისი (12+8 მოხსნა+5 ჩაჭრა), ლაკოვიჩი (10+4 პასი), მაიკელი (8+10 მოხსნა).

**პარტიზანი-პანათინაიკოსი 66:82**

19:19, 13:16, 18:25, 16:22

პარ: მაკალები (22), ვესელი (8+8 მოხსნა).

პან: ნიკოლასი (22), პერპეროგლუ (16), ბატისტი (12+5 მოხსნა+3 დაფარება).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4/1 | 51 |
| 2. პარტიზანი | 3/2 | -15 |
| 3. მარუსი | 2/3 | -30 |
| 4. პანათინაიკოსი | 1/4 | -6 |

ბოლო ტური: 10-11 მარტი. პანათინაიკოსი-მარუსი, ბარსელონა-პარტიზანი

**F ჯგუფი**

**ეფესი-რეალი 75:77**

19:23, 10:21, 23:12, 23:21

ე: კასუნი (13+11 მოხსნა), სმიტი (13+3 ჩაჭრა), ნახბარი (12).

რ: გარბახოსა (16+11 მოხსნა), ლული (12), რეიესი (12+5 მოხსნა), ლავრინოვიჩი (11), იარიჩი (10+5 მოხსნა).

**მაქაბი-მონტეპასკი 97:82**

19:21, 24:16, 11:20, 43:25

მაკ: ანდერსონი (24), ეიდსონი (16+5 მოხსნა+4 პასი), პერკინსი (14+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბლუტენტალი (13), ვიშნევსკი (11).

მონ: დომერკანტი (21), მაკინტაირი (14), ეზე (10+4 ჩაჭრა).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. მაქაბი | 3/2 | 19 |
| 2. რეალი | 3/2 | 5 |
| 3. ეფესი | 2/3 | -2 |
| 4. მონტეპასკი | 2/3 | -22 |

ბოლო ტური: 10-11 მარტი. მონტეპასკი-ეფესი, რეალი-მაკაბი

**G ჯგუფი**

**უნიკახა-ცსკა 70:76**

10:24, 8:9, 22:16, 30:27

უ: კუკი (17+8 პასი), პრინტეზისი (15), დაუდელი (14).

ც: შიშკაუსკასი (16+5 მოხსნა), კაუნი (14), ვორონცევიჩი (13), ხრიაპა (11+5 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა+2 დაფარება), პლანინიჩი (10).

**ჟალგირისი-პროკომი 93:88**

22:18, 28:16, 23:29, 20:25

ჟ: ბრაუნი (23), სალენგა (11), ბეგიჩი (11+7 მოხსნა), კალნიეტისი (11+4 პასი), პოჩიუსი (10), კლიმავიჩუსი (10+5 მოხსნა), უოტსონი (9+11 მოხსნა).

პ: ლოგანი (22), ვუდსი (17), ვარდა (13+7 მოხსნა), იუინგი (11+5 პასი), ბარელი (10+7 მოხსნა+2 დაფარება).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 4/1 | 33 |
| 2. პროკომი | 3/2 | 35 |
| 3. ჟალგირისი | 2/3 | -47 |
| 4. უნიკახა | 1/4 | -21 |

ბოლო ტური: 10-11 მარტი. პროკომი-უნიკახა, ცსკა-ჟალგირისი

**H ჯგუფი**

**ციბონა-ხიმკი 82:63**

20:17, 20:8, 18:18, 24:20

ც: გორდონი (23+8 მოხსნა), ბოგდანოვიჩი (22+9 მოხსნა), ტომაში (15), ანდრიჩი (9+9 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ხ: ლონგფორდი (16+3 პასი), მაკარტი (10), იავტოკასი (8+6 მოხსნა).

**ოლიმპიაკ.-კახა ლაბორ. 102:85**

22:29, 27:16, 31:16, 22:24

ო: ჩილდრესი (20+10 მოხსნა), შორცანიტისი (19), კლეიზა (17+5 მოხსნა+4 პასი), ვუიჩიჩი (14+5 მოხსნა+5 პასი), ტეოდოშიჩი (14+4 პასი+3 ჩაჭრა).

კ-ლ: ტელეტოვიჩი (25+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ინგლიში (14), სან ემეტერიო (11), ბარაცი (11+2 დაფარება).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 5/0 | 45 |
| 2. კახა ლაბორალი | 2/3 | -18 |
| 2. ხიმკი | 2/3 | -24 |
| 4. ციბონა | 1/4 | -3 |

ბოლო ტური: 10-11 მარტი. ხიმკი-ოლიმპიაკოსი, კახა ლაბორალი-ციბონა

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ჩეზენა-სასუოლო | 0:0 შეწყდა |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ხიმნასტიკი-სალამანკა | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ჰანზა-ალენი | 0:1 |
| ობერჰაუზენი-კობლენცი | 2:0 |
| ფორტუნა-ფიურტი | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-ვანი | 1:1 |
| არლი-ისტრი | 3:0 |
| შატორუ-ბასტია | 2:2 |
| კლერმონი-ბრესტი | 0:1 |
| სედანი-კაენი | 0:0 |
| სტრასბური-ანჟერსი | 1:2 |
| გინგამი-ნიმი | 0:0 |
| ჰავრი-დიჟონი | 1:1 |
| ნანტი-ტური | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-მაასტრიხტი | 5:1 |
| კამბური-ცვოლე | 3:0 |
| ექსელსიორი-ტოპ ოსი | 4:4 |
| დენ ბოში-ჰელმონდი | 2:1 |
| ეინდჰოვენი II-ემენი | 1:2 |
| ვოლენდამი-როსენდაალი | 3:3 |
| ფორტუნა-ტელსტარი | 2:0 |
| იგლზი-დორდრეხტი | 1:2 |
| ვეენდამი-ომნივორლდი | გადაიდო |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| მონსი-ლიეჟი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლეირია-ლეიქსოეში | 2:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| დორნბირნი-ავსტრია (ლ) | 3:2 |
| ლუშტენაუ-ალტახი | 0:1 |
| ზალცბურგი II-ავსტრია II | 1:1 |
| სტ. პოლტენი-გრატკორნი | 3:2 |
| ვენა-ჰარტბურგი | 2:0 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-სპორტინგი | 1:0 |
| ბრეი-დანდალკი | 0:1 |
| დროგედა-უნივერსიტი | 0:3 |
| სტ. პატსი-გალვე | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| დერი-ფორასი | 1:1 |
| მერვუ-ლიმერიკი | 1:1 |
| უოტერფორდი-უექსფორდი | 3:0 |
| შელბურნი-მონეგანი | 1:1 |
| **უელსი** | |
| ბალა-ტნს | 0:1 |
| ძონეჰსი-პრესტატინი | 1:1 |
| **ჩეხეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვიტკოვიცე-სოკოლოვი | 3:1 |
| იულავა-ულინი | 0:1 |
| **პოლონეთი** | |
| კორონა-პოლონია (ბ) | 1:0 |
| ვისლა-არკა | 0:1 |
| **უნგრეთი** | |
| ჰალადაში-კაპოშვარი | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| რაპიდი-ტიმიშოარა | 1:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ლოკომოტივი (მ)-სლავია | 0:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ბრემერჰავენი-ტელეკომი | 90:91 |
| დიუსელდორფი-მიტლდოიჩე | 58:70 |
| **საფრანგეთი** | |
| პარიზი-ვილერბანი | 75:71 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-დინამო (მ) | 2:2 ბულ. 0:1 |
| ბარისი-დინამო (რ) | 3:5 |
| ს. იულიაევი-დინამო (მ) | 4:1 |
| ვიტიაზი-მეტალურგი (ნ) | 2:1 |
| ლოკომოტივი-ნეფტეხიმიკი | 0:2 |
| სევერსტალი-ავტომობილისტი | 2:3 |
| სკა-მეტალურგი (მ) | 3:2 |
| ტორპედო-ამური | 2:4 |
| ატლანტი-ტრაქტორი | 3:1 |
| სპარტაკი-ლადა | 6:2 |
| მვდ-აკ ბარსი | 2:2 ბულ. 0:1 |
| ცსკა-სიბირი | 4:2 |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-ფრანქფურტი | 1:3 |
| ჰამბურგი-იზერლონი | 3:4 |
| ინგოლშტადტი-კრეფელდი | 2:7 |
| კიოლნი-დიუსელდორფი | 3:4 |
| მანჰაიმი-ვოლფსბურგი | 2:1 |
| შტრაუბინგი-ნიურნბერგი | 2:5 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-ჰვიდოვრე | 1:0 |
| ესბერგი-ჰერნინგი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ჟილინა | 4:2 |
| მიკულაში-ტრენჩინი | 6:6 ბულ. 1:0 |
| პოპრადი-ბისტრიცა | 0:2 |
| სლოვანი-ნიტრა | 2:1 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-კერპეტი | 3:1 |
| ილვესი-ჰიფკ | 1:4 |
| ლუკო-ესეტი | 4:4 ბულ. 1:0 |
| ტპს-ჰპკ | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ულინი | 1:2 |
| კლადნო-ლიტვინოვი | 7:1 |
| ბოლესლავი-სლავია | 1:2 |
| პარდუბიცე-ტრშინეცი | 6:1 |
| პლზენი-სპარტა | 1:3 |
| ბრნო-კარლოვი ვარი | 1:2 |
| ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 3:3 დ.დ. 3:4 |

**ჩოგბურთი**

**WTA. მონტერეი**

პავლიუჩენკოვა-ზაკოპალოვა 6:2, 6:2

**დევისის თასი**

| | |
|---|---|
| **რუსეთი-ინდოეთი 2:0** | |
| კუნიცინი-დევარმანი | 6:7, 7:6, 6:3, 6:4 |
| იუჟნი-ბოპანა | 6:4, 6:2, 6:3 |
| **საფრანგეთი-გერმანია 2:0** | |
| მონფილსი-კოლშრაიბერი | 6:1, 6:4, 7:6 |
| ცონგა-ბეკერი | 6:3, 6:2, 6:7, 6:3 |
| **ჩეხეთი-ბელგია 2:0** | |
| ბერდიხი-ო. როხუსი | 6:3, 6:0, 6:4 |
| შტეპანეკი-მალისე | 6:2, 6:4, 7:6 |
| **ესპანეთი-შვეიცარია 1:1** | |
| ალმაგრო-ვავრინკა | 6:3, 4:6, 6:3, 5:7, 3:6 |
| ფერერი-ჩიუდინელი | 6:2, 7:6, 6:1 |
| **ხორვატია-ეკვადორი 2:0** | |
| კარლოვიჩი-ნ. ლაპენტი | 6:2, 5:7, 6:7, 6:3, 6:4 |
| ჩილიჩი-ჯ. ლაპენტი | 6:4, 6:3, 6:3 |
| **შვედეთი-არგენტინა 1:1** | |
| სიოდერლინგი-შვანკი | 6:1, 7:6, 7:5 |
| ი. იოჰანსონი-ლ. მაიერი | 7:5, 3:6, 5:7, 4:6 |
| **სერბეთი-აშშ 2:0** | |
| ტროიცკი-ისნერი | 7:6, 6:7, 7:5, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-კუერი | 6:2, 7:6, 2:6, 6:3 |

## TV პროგრამა

**6 მარტი. შაბათი**

**I არხი**

13:55 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თსუ-საუ (LIVE).
18:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-ოლიმპი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბარნლი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-იუვენტუსი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-მილანი (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი (LIVE).
21:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (დ)-ბორუსია (მ) (LIVE).

**EUROSPORT**

12:30 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. სპრინტი. ოტეპაია. ესტონეთი (LIVE).
13:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
14:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. კვიტფიელი. ნორვეგია (LIVE).
15:45 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. სპრინტი. ოტეპაია. ესტონეთი (LIVE).
16:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. რბოლა გამოდევნებით. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
18:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა 10 კმ. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
19:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS130. გუნდური. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
21:00 სნუკერი. მსოფლიოს სერია. I დღე. ჯიდა. საუდის არაბეთი (LIVE).
23:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. კურიტიბა. ბრაზილია (LIVE).
23:45 სნუკერი. მსოფლიოს სერია. I დღე. ჯიდა. საუდის არაბეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

16:00 სნოუბორდი. ლია ჩემპიონატი. ჰალფ-პაიპი. ლეიზენი. შვეიცარია (LIVE).
19:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური გიგანტური სლალომი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

**7 მარტი. კვირა**

**I არხი**

19:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**რუსთავი 2**

14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ლევერკუზენი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ჯენოა (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჰალი (LIVE).

**EUROSPORT**

12:30 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. რბოლა გამოდევნებით. ოტეპაია. ესტონეთი (LIVE).
13:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. ესტაფეტა 4x5 კმ. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
14:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერგიგანტი. კვიტფიელი. ნორვეგია (LIVE).
15:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. ესტაფეტა 4x10 კმ. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
18:45 სნუკერი. მსოფლიოს სერია. II დღე. ჯიდა. საუდის არაბეთი (LIVE).
21:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. კურიტიბა. ბრაზილია (LIVE).
23:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. კურიტიბა. ბრაზილია (LIVE).
00:30 სნუკერი. მსოფლიოს სერია. II დღე. ჯიდა. საუდის არაბეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამერიკა ყველაზე მსუქანი ერია

ლეგენდარული მუჰამედ ალის ქალიშვილი - ლეილა ალი დღეს ამერიკაში სიმსუქნის პრობლემას ებრძვის, თუმცა მალე აპირებს რინგზე დაბრუნებას. ამასთან, ის ფულს ჟურნალისტის პროფესიითაც შოულობს, მონაწილეობას იღებს ამერიკულ ტელეშოუში - „ცეკვა ვარსკვლავებთან" და კიდევ, თავისი პირველი შვილის აღზრდით არის დაკავებული. თავის მამაზე ასე ამბობს: *„შედარებით კარგად არის, მაგრამ პარკინსონის ავადმყოფობა ყოველ წელს ასვამს დაღს მის ჯანმრთელობას".*

დღევანდელ ლეილას არაფერი აქვს საერთო იმ ქალთან, რომელიც რინგზე ერთიმეორის მიყოლებით ანადგურებდა მოწინააღმდეგეებს. ის ერთი წლის კერტისისთვის მზრუნველი დედაა. 31 წლის ალიმ, რომელმაც კარიერაში 24 ბრძოლიდან 21 მოიგო, ხელთათმანები ლურსმანზე 2007 წელს ჩამოკიდა, მაგრამ ახლა კვლავ რინგზე დაბრუნება აქვს გადაწყვეტილი.



**- თქვენ არ იცით რა არის დაღლა. ყველაზე კარგად რომელი საქმე გამოგდით?**

- ამ მომენტისთვის ვცდილობ კარგი დედა ვიყო. მაგრამ მიმაჩნია, რომ პირველ რიგში, კარგი მოკრივე ვიყავი: რინგი ჩემი პირველი სიყვარულია. სწორედ ამან მომიტანა წარმატება.

**- თქვენ ფიტნესსა და ჯანმრთელ კვებას უწევთ პროპაგანდას და სწორედ მათი მეშვეობით ებრძვით დიაბეტსა და გასუქებას...**

- ჩვენ, ამერიკელები ძალიან ბევრს და არასწორად ვჭამთ და ამიტომაც ვართ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსუქანი ერი. ადამიანები ქსელური „სწრაფი კვების" მარკეტინგული სტრატეგიის ანკესზე ეგებიან: „გადაიხადე ერთი დოლარით მეტი და მიიღებ ორჯერ დიდ სენდვიჩს". და ყველა ტყუვდება, განსაკუთრებით ბავშვები.

**- არ ნანობთ, რომ კრივი მიატოვეთ?**

- წავედი იმიტომ, რომ შვილი მინდოდა. თანაც მეტოქეთა შერჩევისას პრობლემები შეიქმნა - ბევრი უარს ამბობდა ბრძოლაზე. ამბობდნენ, რომ მე მეშინოდა ჩხუბის, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სხვანაირად იყო.

**- როგორ იყო?**

- ჩემთან ბრძოლისთვის გოგონები ძალიან დიდ თანხას ითხოვდნენ - მათ ეგონათ, რომ ჩემი სახელი დიდი საპრიზო ფონდის მოზიდვის გარანტია იყო. ამიტომაც იქცეოდნენ ასე. მე ვეკითხებოდი - რა საბაბით ითხოვთ ასეთ თანხას? სწორედ ამ დროს ავრცელებდნენ ჭორს - თითქოს მე მათ წინააღმდეგ რინგზე გასვლის მეშინოდა. იცით, რა მალიზიანებდა ყველაზე მეტად?

**- რა?**

- როცა ვილაც, ვისაც ჩემ წინააღმდეგ არ უჩხუბია, ამტკიცებდა, რომ მასზე სუსტი ვიყავი და მისი მეშინოდა. თუ რომელიმე მეტოქე ნოკაუტში ჩამაგდებს, მაშინ მას მართლა შეუძლია ყველგან იყვიროს, რომ ის ლეილაზე ძლიერია. მხოლოდ სიტყვებით ამის მტკიცება არასერიოზულია.

**- ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მალე კვლავ გიხილავთ რინგზე. როდის მოხდება ეს?**

- მთლიანად ვიზიარებ თქვენს გრძნობებს - მე დავბრუნდები რინგზე.

**- თქვენს გამოჩენამდე ბევრს ეგონა, რომ ქალი და კრივი დიდად ვერ ეწყობიან ერთმანეთს...**

- ქალები კრივში ჩემამდეც იყვნენ. მათ უბრალოდ რეკლამა არ ჰყოფნიდათ. ქალთა კრივისთვის არავის ეცალა. აი, რაში ვხედავ ჩემს დამსახურებას - სწორედ ლეილა ალის წყალობითაა, რომ ქალთა კრივის მიმართ ინტერესი გაჩნდა.

**- მიგაჩნიათ, რომ ქალები დისკრიმინაციისგან იჩაგრებიან? ცხოვრების ნებისმიერ სფეროს ვგულისხმობ...**

- სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარადაა საქმე. რა თქმა უნდა, არის ადგილები, სადაც ქალებს, უბრალოდ, საშინლად ექცევიან. და ეს ძალიან მაღელვებს! მინდა ყველას გავუწიო დახმარება, მაგრამ ეს არარეალურია. თუმცა ყოველთვის, როცა რინგზე გავდივარ, სპორტულად ჯავრს მათზეც ვიყრი - მხოლოდ ჩემთვის არ ვიგებდი ამ ორთაბრძოლებს.

**- მე ამერიკის შეერთებული შტატები მაქვს მხედველობაში. როგორ ფიქრობთ, ჩვენთან ქალები დაცულად გრძნობენ თავს?**

- ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ სხვებზე უკეთესები ვართ. მაგალითად, დაუშვებელია, რომ ამერიკაში არ არსებობს უფასო სამედიცინო დახმარება. ჩვენთან ექიმები ამა თუ იმ წამალს იმის გამო გინიშნავენ, რომ ფარმინდუსტრია გაამდიდრონ და არა იმიტომ, რომ შენ ის გჭირდება. ძალიან მოხერხებულია ღარიბი ხალხის საინფორმაციო ვაკუუმში მოქცევა - წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვენ. აქ მხოლოდ ქალებში არ არის საქმე, ეს ნებისმიერ მოქალაქეს ეხება - ხშირად მათ სულელებად თვლიან. ჩვენ შავკანიანი პრეზიდენტი ავირჩიეთ, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე წარმოშობით ესპანელია. ეს სერიოზული გარღვევაა, მაგრამ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

**- ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მამათქვენს ველაპარაკები. როგორ არის მუჰამედ ალი?**

- შედარებით კარგად, მაგრამ პარკინსონის ავადმყოფობა ყოველ წელს ასვამს დაღს მის ჯანმრთელობას.

**- ვინ არის ყველაზე ქარიზმატული პიროვნება, რომელსაც პირადად შეხვედრიხართ?**

- ნელსონ მანდელა. აღფრთოვანებული ვარ მისი ერთი თვისებით - ის თავისი მოსაზრებებით მუდმივად წინსვლას ცდილობდა და შედეგები არ აშინებდა.

**- მანდელასა და მამათქვენს დაახლოებით ერთნაირი ხასიათი აქვთ...**

- დიახ, მანდელა და მუჰამედ ალი ის ადამიანები არიან, რომლებსაც ყველაზე დიდ პატივს ვცემ. ბავშვობაში ვერაფრით ვიგებდი პოლიტიკის შესახებ მამის ნალაპარაკებს, მოსაწყენი მეჩვენებოდა ეს საუბრები. გავიზარდე და გავაცნობიერე, რა ჭკვიან ადამიანთან მქონია საქმე, მიუხედავად იმისა, რომ განათლება არ ჰქონდა მიღებული. მან იცოდა, როგორ მიეწვდინა ხალხამდე საკუთარი აზრი - ეს დიდი ნიჭია. კრივშიც ღმერთისგან იყო დაჯილდოებული - თუმცა რატომ გიხსნით, თავად გაქვთ ეს ყველაფერი ნანახი!

**- ვინ არის თანამედროვეობის საუკეთესო მოკრივე?**

- ორს დაგისახელებთ: მენი პაკიაო და ფლოიდ მეივეზერი.

**- არ გეჩვენებათ, რომ კრივისადმი ინტერესმა შესამჩნევად იკლო?**

- გეთანხმებით. დღეს იშვიათად ნახავ კარგ ბრძოლას, სუპერმძიმე კატეგორია კი სულ უფრო და უფრო სუსტი და მოსაწყენი ხდება. ცოტანი არიან დიადი პიროვნებები, ამიტომაც ხალხს მოსწყინდა ეს სანახაობა.

**- რატომ სრულდება ხშირად მოკრივეთა ცხოვრება ტრაგიკული ფინალით?**

- იმიტომ, რომ კრივი ისე არ არის მოწყობილი, როგორც ფეხბური ან კალათბურთი. ნებისმიერს შეუძლია ჩაიცვას ხელთათმანი, გახდეს მწვრთნელი ან პრომოუტერი. ამასთან, არ არსებობს კონკრეტული პროექტები სპორტსმენების პენსიებითა და სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფის შესახებ.

**- რას აპირებთ მომავალში?**

- ვისურვებდი ტელევიზიაში წამყვანად დაბრუნებას. და კიდევ, მინდა საკუთარი სახელი კომერციული პროდუქციისთვის გამოვიყენო.

**- მიგაჩნიათ, რომ სახელი „ალი" პრივილეგიაა?**

- რა თქმა უნდა, თუმცა მე რომ ასე კარგად გამოვსულიყავი რინგზე, მამაჩემის სახელი დიდად ვერ დამეხმარებოდა...

**გია თვალაბეიშვილი**




